



ამონაშიორები უნმიღესისა და უნეტახესის იღია II-ის
საშობაო ეპისკოპოლებიდან


ბ3. 4



ინტერვიუ შემოქმედი
მიუჩობოცის ითხებთან
ბ3. 12

ნმიღა იოანე ოქროპინის
ქადაგება

ბ3. 10



ჩონი მეფეველი
მაღლითა და სიკეთით
მოსიღი საგვარეულო
ბ3. 25

ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას
მოგზაურობა
ყაო-კლასიურობი

ბ3. 17



კონკრეტული ნახატები
ბიბლიის თემებზე
ბ3. 34



საქართველოს ჩვენს
კულტურული და სამეცნიერო
ბ3. 38



ლიხსეული შვილთა აღსაზრებად
ბ3. 35



ნმიღა ექვთიმე თაყაიშვილის
ლვანი ქათული ყელუხის
ნინაშვილი ბ3. 44

კაცების ისუონია
V მსოფლიო საეკლესიო
კარიბი

ბ3. 42



ახერავინყება
იპოლიტე...
ბ3. 47



SOS!
სეჩიალო-მანია
ბ3. 49

„ახალგაზრდა
ფეხმეტა
სახლის“ გვერდი
ბ3. 56



მეტიცინა
განვითარებული ვიზუალისა და
ე. ლოგის განვითარებული
შესახებ


ბ3. 52






სარჩევი

გილოცავთ! -----	3
ამონარიცები ეპისტოლებიდან -----	4
წმიდა სინოდის სხდომა -----	9
იოანე ოქროპირის ქაფაგება მართვის შესახებ -----	10
მიტროპოლიტი იოსები: „როცა ქართველი ხალხის დიდი ნაწილი დაუბრუნდება დედაქალესიას, მაშინ ღმერთი აუცილებლად დაგვასაჩუქრებს ჩვენ ქვეყნის გაერთიანებით“ -----	12
ინტელექტუალური კონკურსი „ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას“ გრძელდება -----	17
ფროში მოგზაურობა-----	18
როინ მეტრეველი: მაცლითა და სიკეთით მოსილი საგვარეულო -----	25
ლიტერატურულ კონკურსში გამარჯვებული ნამუშევრები -----	57
კონკურსი - „ნახატები ბიბლიურ თემებზე“ -----	34
ფირსეულ შვილთა აღსაზრდელად -----	35
ცრუნქმენები ჩვენს ცხოვრებაში -----	38
ახალ წელთან დაკავშირებული ცრუნქმენები -----	40
ცრუ-ფლესასწაული „ვალენტინობა“ -----	41
V მსოფლიო საეკლესიო კრება -----	42
წმიდა ექვთიმე თაყაიშვილის ღვაწლი ქართული კულტურის წინაშე -----	44
იპოლიტე... -----	47
SOS! სერიალო-მანია -----	49
მანდილოსანო, თეთიყუშს რომ დამსგავსებიხარ და კაცივით დიდ ნაბიჯებს დგამ, რისი იმედი გაქვს? -----	51
ქალწულება -----	51
გრიძის ვირუსისა და ე.ნ. „ოორის გრიძიონს“ შესახებ -----	52
და, თქვენი კვება იყოს თქვენი მეფიცინა და თქვენი საკები თქვენი წამალი -----	56



მარტინაშვილი!



საქართველოს საპატიოარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინფელექტუალური განვითარების ცენტრი და უერნალი „ახალგაზრდობა“ ულოცავს უწმინდესსა და უნეტარეს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატიოარქს ილია II-ს აღსაყდრების 32 წლისთავსა და დაბადების 77 წელს.

უსურვებს ჯანმრთელობას, დღეგრძელობასა და დვთის შეწევნას.

ასევე ვულოცავთ მის უწმინდესობასა და მთელ საქართველოს მაცხოვრის შობის ბრწყინვალე დღესასწაულს. დაე, ეს დღესასწაული ყოფილიყოს საწყისი ყოველ ჩვენგანში სულიერი ფერისცვალებისა, მომგანი სიყვარულისა და კეთილდღეობისა და ქვეყანაში მშვიდობისა და საბლვრების გამთლიანებისა. ყველას გულში შემოსულიყოს და შობილიყოს უფალი, მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე!



ამონატიღიშვილი უწმიდესისა და უნიფატესის სტულიარ საქართველოს კათოლიკოს-პატიარქის ილია II-ის გვიანდელი გვიანდელი

* * *

განვლო საუკუნეებმა, მიდის წლები, ქრისტიანული სამყარო კი, როგორც ყოველთვის, გეიმით ხვდება ერთ-ერთ უდიდეს საეკლესიო დღესასწაულს – ქრისტეს შობას. დღეს ჩვენი ფიქრები მიმართულია იმ მორეული დროისაკენ, ბეთლემის იმ კურთხეული გამოქვაბულისაკენ, რომელმაც შეიფარა ახალშობილი იესო – გზა, ჭეშმარიტება და ცხოვრება მთელი კაცობრიობისა. ის იშვა, როდესაც ეძინა ბეთლემს, ეძინა იუდეველთა ქვეყანას, ეძინა მთელს კაცობრიობას. პირველი, რომელთაც შემოჰსმათ ანგელოზთა გალობა – „დიდება მაღალთა შინა ღმერთისა, ქუეყანასა ზედა მშვიდობა და ეპითა შორის სათხოება“ და რომელნიც ლირს იქმნენ თაყვანი ეცათ ახალშობილი იესოს-ათვის – იყვნენ უბრალო, წმიდა გულის მწყემსები. ეს იყო დასაწყისი ახალი აღთქმისა, დასაწყისი ახალი, ქრისტიანული რწმენისა, რომელსაც უნდა გარდაექმნა მთელი კაცობრიობა. „სიგვანი განკაცნა, რათა ჩვენ ღმერთ-ვიქმნეთ“, – სთქვა წმიდა ათანასე დიდმა.

წმიდა იოანე ოქროპირი ამბობს, რომ ქრისტეს დაბადება შეუძლებელია გაატეულ იქნას ადამიანური ლოგიკით. ეს არის სასწაული, რომელიც აღემაგება ადამიანის გონებას. „ნუ შემეკითხები: როგორ მოხდა ეს სასწაული? რამეთუ, როდესაც ბრძანებს უფალი, ბუნება მხოლოდ მორჩილებს; მან ინება და შეძლო, მოვიდა და გვიხსნა! ლვის ნებამ არ იცის რა არის წინააღმდეგობა და არსებული უწინარეს ყოველთა საუკუნეთა – დღეს ხორციელდება!“ მაგრამ ლვის განხორციელების საიდუმლო გასაგები ხდება მისთვის, ვისი გულიც გამთბარია რწმენითა და სიყვარულით, იმიგომ, რომ ეს სიყვარულის საიდუმლოა. სიყვარულის საიდუმლო გაუგებარია იმათვის, ვისაც არ ძალუძს რწმენა და სიყვარული, მაგრამ გასაგებია შათოვის, ვისაც ძალუძს თავისი სიყვარულით უპასუხოს ჩვენს მოყვარულ უფალს.

1979-80 წ. ქრისტეს შობა

* * *

ყოველმა მეცნიერმა უნდა იცოდეს, რა შედეგი მოჰყვება მის მეცნიერულ კვლევა-დიებებს, რას მოუგანს მისი ნაღვაწი ხალხებს: სიკეთეს თუ დაღუპვას. ა. აინშტაინი ამის შესახებ წერდა: „როდესაც მე თავი მეცნიერებას მივუძღვენი, ვხელმძღვანელობდი არა ისეთი გარეგნული მოგივებით, როგორიცაა ფულის მოპოვება, ან საკუთარი პატივმოყვარეობის დაქმაყოფილება და არც იმით (უკიდურეს შემთხვევაში, არა მხოლოდ იმით), რასაც ხშირად სპორტად თვლიან ან გვინის ვარჯიშად, რაც დიდ სიამოვნებას მაყენებს. არამედ როგორც მეცნიერებისაკენ მიღრეკილებისათვის, ჩემთვის ძირითადს ერთი საკითხი წარმოადგენს: რა სურს, ან რა მიზანს ისახავს ის მეცნიერება, რომელსაც მე თავი მივუძღვენი? რამდენადაა მისი ძირითადი შედეგები დაკავშირებული ჭეშმარიტებასთან“.

1980-81 წ. ქრისტეს შობა

Կ



ეპისტოლეში განსაკუთრებით მინდა შევეხო ქორწინებას და ოჯახს. ყოველი ერის ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანია სიცოცხლისუნარიანობა, შობადობა, გამძლეობა. პირველი პირობა ჭეშმარიტად ქრისტიანული შეუღლებისა, თავისუფლებაა. ქორწინება, რომელიც ფიზიკური ან მორალური ძალდაგანებით მოხდება, არაკანონიერია. უფალმა იესო ქრისტემ თავისი დასწრებით აკურთხა ქორწილი გალილეის კანაში. დაქორწინებისას მეუღლეებს უნდა ახსოვდეთ, რომ ქორწინებას პირადი თავისუფლების გნეობრივი შეზღუდვა მოაქვს, მაგრამ ეს შეზღუდვა მეუღლეთა ურთიერთსიყვარულითა და მათი შვილების სიყვარულით ნაზღაურდება. მეუღლეთა ცხოვრებაში ყველაზე მთავარი პირობა ერთგულებაა. სიძვა ოჯახის სიწმინდეს არღვევს და მძიმე ცოდვაა ღვთის წინაშე.

მინდა განსაკუთრებით შევეხო შობადობის რეგულირების საკითხს, რადგან ეს ჩვენი დროის ავადმყოფობად იქცა. ყველა ჩვენგანს უნდა ახსოვდეს, რომ აბორტი უღილესი ცოდვაა ღვთის წინაშე და დანაშაული ერის წინაშე. ეს არის მკვლელობა ცოცხალი ადამიანისა, საკუთარი ვაჟისა და ქალისა, რომელიც ვეღურ მხეცებსაც არ ახასიათებთ.

მექქვეს მსოფლიო კრების 77-ე მუხლი პირდაპირ ამბობს, რომ ადამიანი ჩამდენი ამ მძიმე ცოდვისა, როგორც კაცის მკვლელი ისე უნდა დაისახოს. თვითონ განსაჯეთ, ჩანასახშივე რომ მოეკლათ და არ დაბადებულიყო შოთა რუსთაველი, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, ილია ჭავჭავაძე, ვაჟა-შაველა, კათოლიკოს-პატრიარქი: კირიონი, კალისტორაგე და სხვანი, რა იქნებოდა ჩვენი ენა, ისტორია, კულტურა, და საერთოდ სულიერი სახე საქართველოსი.

განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აკისრიათ აგრეთვე შეიღებსაც. მათი ბეღნიერება და კეთილდღეობა დამოკიდებულია მასზე, თუ როგორ ეპყრობიან ისინი მშობლებს.

1981-82 წ. ქრისტეს შობა



ერთ-ერთი დიდი მაღლი, რომელიც აუცილებელია თითოეული ჩვენგანისათვის, არის მშვიდობა, მშვიდობა ღმერთან, მშვიდობა მოყვასთან, მშვიდობა ბუნებასთან, მშვიდობა საკუთარ თავთან – აი ის პირობები, რომლებიც აუცილებელია ადამიანის ნორმალური ფიზიკური და სულიერი განვითარებისათვის. ზოგიერთი ფიქრობს, რომ ბირთვული კატასტროფა და აქედან გამომდინარე დედამიწაზე სიცოცხლის მოსპობის საფრთხე შედეგია მეცნიერების და ტექნიკის სწრაფი განვითარებისა, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციისა. ეს მცდარი განსჯაა, სინამდვილეში მეცნიერებამ და ტექნიკამ ახალი გზები და საშუალებები გამოავლინეს ადამიანის განვითარებისათვის. მთელი უბედურება ისაა, რომ ამ მეცნიერულ მიღწევებს კაცობრიობა სულიერად და მორალურად მოუმზადებელი შეხვდა და სიკეთის ნაცვლად იგი ზოგიერთმა ბოროტების სათავედ აქცია. დღეს ყოველმხრივ უნდა შევეცადოთ მეცნიარჩუნოთ ადამიანთა, ხალხებსა და სახელმწიფოთა მორის მშვიდობა და გაუფრთხილდეთ მას, როგორც ღვთისგანბოძებულ უდიდეს მაღლს, როგორც ჩვენი ყველაზე აუცილებელ პირობას.

1983-84 წ. ქრისტეს შობა



კაცთა ხსნის მნებებელი უფალი, მოციქული პეტრეს მსგავსად მიმართავს თითოეულ ჩვენგანს: „მენ მე შემომიდევ“ (იოანე 21; 22) მაგრამ საკითხავია, ვინ შეძლებს მისდიოს მას ან სად მიგვიყვანს იგი?

ვიდრე მაცხოვარს გავყვებოდეთ, ჯერ უნდა ვირწმუნოთ ქრისტესი, შევიყვაროთ იგი და შემდეგ აღვასრულოთ სიტყვანი მისი: „რომელსა პნებავს შემოდგომად ჩემდა, უარ-ყავნ თავი თვისი და აღიდენ ჯვარი თვისი და შემომიდევინ მე” (მათე 16; 24). უფალი კი არ გვიბრძანებს ამას, არამედ გვთავაზობს, საშუალებას გვაძლევს თავისუფალი არჩევანისას. მან იცის, რომ ყველა არ მოუსმენს და ამიტომაც ამბობს: „რომელმან არა აიღოს ჯვარი თვისი და შემომიდევს მე, არა არს ჩემდა ღირს” (მათე 10; 38). „აღიღე ჯვარი შენი”... ეს ნიშნავს არ შეუშინდე, არ გაექცე შენი წილი ცხოვრების ტვირთს, რომლის სიმძიმეს იგრძნობ სიცრუისა და სიყალბის მოძალებით, იმედთა გაცრუებით და ა.შ. მოისურვებ ჯვრის დაგოვებას, განდგომას და განთავისუფლებას მისგან, მაგრამ ეს არ არის გამოსავალი, შენი ჯვარი შენთან უნდა იყოს, ნუ შეშინდები, ნუ დაგაბრკოლებს განსაცდელი. მთელი სასოებით მიენდე უფალს, რომელიც ყოველთვის განგამტკიცებს შენ. ესეც გახსოვდეს, უჯვრო იოლი ანუ ფართო გბაა, რომლითაც ცოდვილნი ვლნან და რომელიც მხოლოდ მარადიულ საჭანჯველს განუმზადებს კაცს.

1985-86 წ. ქრისტეს შობა



აბსოლუტური ჭეშმარიტება არის ღმერთი. ე. ი. თავისუფლება მიიღწევა ჭეშმარიტების – ღვთის შეცნობით. ღვთის შეცნობა კი უნდა დავიწყოთ საკუთარი თავის შესწავლით, საკუთარი ნაკლის დანახვით და ყოველთა ცოდვათა ღვდის – ამპარტავნებისა და ეგოიზმის დაძლევით. ამ სულიერ ბრძოლაში მეტად ღილია შემწეობა ეკლესიისა, უძლურთა მკურნალი და ნაკლულევანთა აღმასებელი მისი ღვთაებრივი მადლისა. ფრიად სცდებიან რომელნიც თავს მართლმადიდებელად მიიჩნევენ, ეკლესიის და მის კანონებს კი უარყოფენ. უნდა გვახსოვდეს, რომ ეკლესია კაცთაგან კი არ არის დადგენილი, არამედ ღვთის მიერაა დაწესებული. ესაა უფლისაკენ მიმავალი გბა, ცხოვრება ღმერთში; ამავე ღროს იგია მისგიური სხეული ქრისტესი, რომელიც მის ადამიანურ ბუნებასაც მოიცავს. ეკლესია – სხეულია ქრისტესი და როცა ეკლესიაზე ვსაუბრობთ, უწინარეს ყოვლისა, ვგულისხმობთ მის სულიერ არსს და შემდეგ კი – ეკლესიისთვის დამახასიათებელ გარეგნულ ნიშნებს. ეს იმიტომ, რომ თავისი არსით ქრისტეს მსგავსად ორბუნებოვანია. იგია ის ღვთაებრივ-ადამიანური ერთობა, რომელიც პირველ რიგში ენათესავება ღმერთს, შემდეგ კი ამქვეყნიურ ცხოვრებაში, ღროულ ყოფაში ვლინდება.

წმიდა მამები მიწიერ ეკლესიას ხშირად უწოდებენ მებრძოლ ეკლესიას, რომელიც ცოდვათა დაძლევით უნდა გახდეს გამარჯვებული და მომზეიმე. ასეთია ზეციური ეკლესია. იქ ზეიმობენ ჩვენი წმიდა მამები და წინაპრები, რომელთაც მრავალი განსაცდელისა და გაჭირვების გადალახვით, რწმენით, სიყვარულითა და სასოებით მოიპოვეს სასუფეველი ღვთისა. ეკლესია წმიდაა, რადგან მაცხოვრის უცოდველობა განსაზღვრავს მის სიწმინდეს. იგი ხომ სხეულია ქრისტესი და განა შეიძლება, ქრისტეს სხეული არ იყოს წმიდა? „ქრისტემან შეიყუარა ეკლესია და თავი თვისი მისცა მისთვის, რაითა იგი წმიდა ჰყოს” (ეფე. 5; 25-26). ეკლესიის განწმენდა ხდებოდა და ხდება იესო ქრისტეს მსხვერპლად გადებული სისხლით, რომელიც კაცთა ხსნისათვის ჯვარზე დაიღვარა.

სიწმინდე არის მთავარი არსი ეკლესიისა. ესაა ის, რისთვისაც მოწოდებულია თითოეული ჩვენგანი. ასე რომ, ეკლესიური ცხოვრება ესაა გამუდმებული ბრძოლა კეთილსა და ბოროტს შორის, ესაა ბნელისაგან ნათლის გამოყოფის და საბოლოოდ მისი გამარჯვების პროცესი, ესაა გბა გადარჩენისა.

1989 წ. ქრისტეს შობა.



ამ საშობაო ეპისტოლეში მინდა მივმართო საქართველოში მცხოვრებ არაქართველ მოსახლეობას: რუსებს, აფხაზებს, ოსებს, ებრაელებს, ბერძნებს, სომხებს, ესგონელებს, აზერბაიჯანელებს, უკრაინელებს, ქურთებს და სხვათ. დანო და ძმანო ჩვენი, მამაშვილური სიყვარულით შეგახსენებთ, რომ თქვენც ჩვენი ისეთივე სულიერი შვილები ხართ, როგორც ქართველნი. საქართველოში არასოდეს ყოფილა ვინმეს შევიწროება ეროვნული ან სარწმუნოებრივი ნიშნით; თქვენ იყავით და კვლავაც იქნებით ჩვენი ძმები და ამ დამოკიდებულებას ვერავითარი ძალა ვერ დაარღვევს. გახსოვდეთ, ქართველთა ბეჭინირება თქვენი ბეჭინირებაცა. ჩვენ ერთად უნდა ვიცხოვოთ, ერთად უნდა ვიშრომოთ, ჩვენი სულიერი და მატერიალური კეთილდღეობისათვის.

1990 წ. ქრისტეს შობა



ქრისტეს შობა არის ადამიანის ხელახალი დაბადება. შობა ქრისტესი არის საიდუმლო ღვთის განხორციელებისა. მე ღვთისა მოგვევლინა ძედ კაცისა, რათა დაცემული ცამდე აღვემაღლებინეთ. მან არასწორი განვითარება კაცობრიობისა შეცვალა ახლით, სამყაროს მიზიდულობის ცენტრი, ცოდვის შედეგად ღმერთს მოწყვეტილი, თავის ძველ აღვილს დაუბრუნა და მოღვამა ყოველი და უამი ყოველი მოიცვა, რათა მსოფლიოსთვის მოეგანა ნამდვილი თავისუფლება და ჭეშმარიტი სიყვარული და ეჩვენებინა გზა განღმრთობისა.

1991 წ. ქრისტეს შობა



სამშობლოს, შენი სახელმწიფოს წინაშე მოვალეობის გრძნობა ერთ-ერთი ყველაზე მაღალი და საუკეთესო თვისებაა ადამიანისა, ბიბლიაც და ჩვენი ქვეყნის ისტორიაც სავსეა მამულისა და ქვეყნისადმი თავდაღებული სიყვარულის მაგალითებით. ძეველ აღთქმაში ვკითხულობთ მოსე წინასწარმეტყველის, ისე ნავეს, სამუელის, მეფე დავითის, ელიას, ძმათა მაკაბელთა და სხვათა შესანიშნავ ცხოვრებებს; ისინი სამშობლოსთვის სანთლებად იწვოდნენ და მზად იყვნენ, ყოველ წესს გაეწირათ სიცოცხლე თავიანთი ხალხის დაცვისათვის.

ჩვენი ქვეყნის წარსულიც მამულისადმი თავაგანწირული სიყვარულის მრავალი მაგალითითაა სავსე: მოწამეებმა დავითმა და კონსტანტინემ, მეფეებმა არჩილმა და ლუარსაბმა, დიმიტრი თავდაღებულმა, ქეთევან დედოფალმა, და ათასობით სხვამ თავი დადეს რწმენისა და სამშობლოსათვის და როგორც მისაბაძი მაგალითნი, ჩვენი ხალხისა და ეკლესიის ისტორიაში დიდ წმინდანებად შევიდნენ.

ჩვენი ახალგამრდობის აღზრდა ამ მიმართულებითაც უნდა გაძლიერდეს. ბავშვებს მამულის სიყვარულის, სულის სიძლიერის და ვაჟკაცობის გრძნობა, პირველ ყოვლისა, მშობლებმა უნდა ჩაუნერგონ; ეს უნდა ასწავლონ სკოლაშიც; ამ თემაზე უნდა დაიწეროს წიგნები და სპექტაკლები და კინოფილმები უნდა შეიქმნას.

განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ახალგამრდობის აღზრდის საქმეში ეკლესიას ენიჭება. ყოველნაირად უნდა ვეცადოთ, რომ მომავალი თაობა ამავე ღროს მშვიდობის და მეცნიერობის სულისკვეთებით აღვგარდოთ. ეს გრძნობები ჩვენი ხალხისათვის ოდითგანვე მახლობელი იყო, მაგრამ ურწმუნოებამ ბევრი რამ დაამახინჯა და ამიგომაც ეგოიზმს აყოლილი ჩვენი ახალგამრდები ხშირად ავლენენ დაუნდობლობას მოყვასის მიმართ.

1997 წ. ქრისტეს შობა





შეენიშნავთ იმასაც, რომ ქრისტიანული პატრიოტიზმი და ეროვნულობის გრძნობა სრულიად განსხვავდება შოვინიზმისა და ვიწრო ნაციონალიზმისაგან, რომელთაც საფუძვლად ნაციონალური ამპარატავნება უდევთ: ქრისტიანული ცნობიერებისათვის კი ამ-პარტავნება მომაკვდინებელ ცოდვად ითვლება.

ეროვნულობა ქრისტიანობაში ნიშნავს ბრუნვას შენი ხალხის იმ ნაკლოვანებათა გამოსწორებისთვის, რაც მის ცხოვრებას თან სდევს; ნიშნავს ბრუნვას მისი სულიერი და გნეობრივი განვითარებისათვის, ნიშნავს იმ გრადიციებისა და გნე-ჩვეულებების დაცვას, რაც მის თავისთავადობას, მეობას განაპირობებს და ყველაფერი ეს ამავე ღროს სხვა ხალხებისა და ქვეყნებისადმი პატივისცემასა და კეთილგანწყობას გულისხმობს.

აი, რას ამბობს ვაჟა-ფშაველა პატრიოტიზმის შესახებ: „...რომელი ადამიანიც თავის ერს ემსახურება ეკთილგონიერად და ცდილობს თავის სამშობლო აღამაღლოს გონებრივ, ქონებრივ და გნეობრივ, ამით ის უმზადებს მთელს კაცობრიობას საუკეთესო წევრებს, საუკეთესო მეგობრებს, ხელს უწყობს მთელი კაცობრიობის განვითარებას, კეთილდღეობას... ყოველი მამულიშვილი თავის სამშობლოს უნდა ემსახუროს მთელის თავის ძალდონით, თანამომმეთა სარგებლობაზე უნდა ფიქრობდეს და, რამდენადაც გონივრული იქნება მისი შრომა, რამდენადაც სასარგებლო გამოდგება მშობელი ქვეყნისათვის მისი ღვაწლი, იმდენადვე სასარგებლო იქნება მთელი კაცობრიობისათვის“ („კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“).

ეროვნულობის დაცვის საუკეთესო მაგალითს თვითონ ბიბლია იძლევა. მთელი ძველი აღთქმა ამ სულისკვეთებითაა სავსე. ახალი აღთქმიდანაც არაერთი მაგალითის დამოწმება შეიძლება. გავიხსენოთ თუნდაც მოციქულის სიტყვები: „დიდია ჩემი მწევარება და დაუმცხოვალია ტკივილი ჩემი გულისა... ვისურვებდი თავად ვყოფილიყავ შეჩვენებული ქრისტიანოზი ჩემი ძმების, ჩემი სისხლის და ხორცის გამო, რომლებიც არიან ისრაიელინი...“ (რომ. 9,2-4).

ანდა „თუ ქვიცეს შვილები ან შვილიშვილები ჰყავს, დაე მათ თავდაპირველად ისწავლონ თავიანთი სახლის პატივისცემა და სანაცვლო მიაგონ მშობლებს, რადგან ეს სათონ უჩინს ღმერთს“ (რომ. 9,4).

„ხოლო, თუ ვინმე თავისიანთა და მით უმეტეს, სახლეულთათვის არ ბრუნავს, რწმენის უარმყოფელთა და ურწმუნობელაც უარესი“ (I ტიმ. 5,4,8).

ასე რომ, ოჯახი, ახლობელთა წრე, სამშობლო, მოყვასი, სამყარო ის კიბეა, რომლის თითოეული საფეხური მომდევნოს საყრდენია და მის გარეშე და რწმენის გარეშე წარმოუდგენელია პიროვნების შინაგანი მთლიანობის შექმნა. ამიტომაც, თუ გვსურს ვიყოთ თავისთავალი და არა უფორმო, უსახო, სამოგადო მასის წარმომადგენელი, უნდა ვიყოთ ეროვნული სულის ღირსეული მატარებელი. ასე აღმრდილი ადამიანი ყოველთვის პატივის მიაგებს სხვა ეროვნების წარმომადგენელთ, სათანადოდ აფასებს როგორც საკუთარს, ისე სხვათა ღირსებასა და თავისთავადობას. ასეთი ადამიანი პიროვნებაა, რადგან მას თავისი მეობა აქვს. იგივე ითქმის ერგეც. ასეთი ადამიანებისაგან შემდგარი ერი პიროვნელი სახის მატარებელია, თავისთავადია და ამით არის სწორედ დასაფასებელი.

2000 წ. ქრისტიანული შობა

გაგრძელება იხილეთ გვ. 16, 17, 33, 37, 43, 50, 57



ცენტრალური განაცხადის სამსახური

სახელითა მამისათა, და ძისათა და სულისა წმიდასათა!

წმიდა იოანე ოქროპირი ბრძნებს: დიდება ღმერთს ყველაფრისათვის!

ჩვეულებით უფალს იმ წყალობისათვის, რასაც იგი ავლენს ჩვენს კულტურისა და ქვეყნისა ზედა. ვმადლობთ უფალს, რომ წმიდა სინოდს აქვს ერთსულოვნება და ამ ერთობით წლების მანძილზე ვემსახურებით ღმერთს და სამშობლოს, ჩვენს ხალხს. ქრისტეს კულტის მიზანც მაცხოვნებელ რწმენაში საყოველთაო ერთობის მიღწევაა ღვთის სადიდებლად.

აღვნიშვნათ იმასაც, რომ არიან ძალები, რომელთაც არ სურთ კულტის მთლიანობა და სისაცსე, არ სურთ ეროვნული და ზნეობრივი ფასეულობების დაცვა. ისინ ფსევდოლიბერალიზმის, ფსევდოკულტურისა და რელიგიური ინდეფერენციზმის დანრგვისაკენ მოგვინდებენ და ამ მიზნის მისაღწევად ყველა სახის სიცრუესა და შეურაცხებულის მიმართავნ, რათა ხალხს კულტისადმი სიყვარული და ნდობა დააკარგინონ. ამით კი სურთ, ერს მთავარი საყრდენი გამოაცალონ.

ჩვენ ქვეწის ისტორია გვიჩვენებს, რომ სახელმწიფოს აღორძინებასა და წინსვლას წინ ყოველთვის კულტის განმტკიცება უძღვოდა. ეს პოცესი კულტისა დაწყებულია, თუმცა ისეც უნდა ითქვას, რომ ბოლო დროს, სასულიერო პრეზიდენტის გამრავლებამ, სკოლებთან ერთად, გარკვეული სურთულეებიც შექმნა, რაზეც მსჯელობა, სჯულისკანონიდან გამომდინარე, წმიდა სინოდის სხდომებზე უნდა ხდებოდეს.

სამუხრაოა, რომ მიმდინარე პოცესებში მასტედის ის საშუალებებიც იღებრ მონაწილეობას, რომელიც ხელისუფლების კონტროლს ეცვემდებარებიან.

წმიდა სინოდი აღნიშნავს, რომ ანტიკულესტურ კამიანის ზარ, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოს-თვის მოაქვს, რადგან ეს არის საზოგადოებაში გამხეთქმულების შეტანის მცდელობა. პოცესები თუ ასე გაგრძელდა, ჩვენ იძულებული ვიქებით შესაბამისი ნაბიჯები გადავდგათ, რათა დაფიცვათ ჩვენ კულტისა და ერს ღირსება.

2. მსოფლიოს მართლმადიდებელი ადგილობრივი ეკლესიების დიპტიხთან, ავტოკეფალისა და ავტონომის მინიჭებასა და გამოცხადებასთან დაკავშირებით, მართლმადიდებელი ეკლესიების წარმომადგენლობა შეხვედრა გაიმართა შაბბეზში (შვეიცარია). ამის თაობაზე მოხსენება გააკეთა ამ სხდომის მონაწილეობის, საქართველოს სამოციქულო კულტის დელეგაციის ხელმძღვანელმა, ზუგდიდისა და ცაშის მიტროპოლიტმა გერასიმე (შარაშენი) და დედოფლისკარისა და ჰერიტის ეპისკოპოსმა მელქისედეკმა (ხაჩიძე). წმიდა სინოდი დაეთანხმა ყველა იმ გადაწყვეტილებას პოცედურულ საკითხებთან დაკავშირებით, რაც უკავშირდება ამა თუ იმ კულტისათვის ავტოკეფალისა და ავტონომის მინიჭებასა და გამოცხადებას, და მოინონა ჩვენ დელეგაციის პოზიცია (დიპტიხის საკითხი სამომავლოდ გადაიდო).

3. წმიდა სინოდმა მოისმინა ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტ დიმიტრის (შიომლაშვილი) მოხსენება იერუსალიმში ვიზიტთან დაკავშირებით. მან ისაუბრა იერუსალიმის პატრიარქთან შეხვედრის დეტალებზე. შეხვედრისას დაისვა საკითხი ქართველი სამღვდელოების იერუსალიმში ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. მოლაპარაკებები დადებითად შექასდა, რაც იმედს გვაძლევს, რომ ჩვენს ორ უძველეს კულტისას შერის ურთიერთობები მომავალში უფრო მეტად განტიცვდება.

4. დიდ ბრტყანეთისა და ირლანდიაში ქართველი მრევლისა და ჩვენ კულტის მდგომარეობის შესახებ ისაუბრა დმინისა და აგარა-ტაშირის, დიდი ბრტყანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდის სამრევლოების მმართველმა, ეპისკოპოსმა ზენონმა (იარაჯელი).

სინოდის სხდომაზე აღნიშნა, რომ საქართველოს კულტის წარმომადგენლობის სტატუსი დიდი ბრტყანეთის მაგალითზე განსაზღვროს შემდეგნაირად: „საქართველოს საპატრიარქოს დიდი ბრტყანეთისა და ირლანდიის ეპარქია“ (შენიშვნა: ეს საკითხი შეთანხმებულია კენტერბერიის მთავარეპისკოპოსთან).

5. წმიდა სინოდმა მოისმინა წინადადება ეპისკოპოს ქრისტეფორეგასთვის (წამალაძე) შეჩერებული მღვდელმოქმედების აღდგენის შესახებ. თავის მხრივ, მეუფე ქრისტეფორემ შენდობა ითხოვა საეკლესიო დარღვევებისა და შეცდომების გამო.

წმიდა სინოდმა განაჩინა: ეპისკოპოს ქრისტეფორე გაიგზავნოს გამოსაცდელი ვადით ახალქალაქსა და კუმურდოს ეპარქაში და შემდეგ მოხდეს მისი საკითხის განხილვა.

6. წმიდა სინოდმა მოისმინა ბათუმ მკალავიშვილისა და მღვდელ ვახტანგ მარგიანის წერილობითი თხოვა დედაქულესაში დაბრუნების შესახებ და განაჩინა:

ბათუმ მკალავიშვილი და მღვდელი ვახტანგ მარგიანი გაიგზავნონ ბალდათისა და ვანის ეპარქაში სინაწულისათვის.



თანე თქმითი ქადაგი მაჩევის შესახებ

ისევ გვიხმობს წმიდა მარხვა და კვლავ გვთავაზობს მადლს.

კვლავ მოგვიწოდებს, რომ შევუერთდეთ მოსაგრებს. ისევ სურს, რომ გავხდეთ მამაცნ, ვნებათა დამთრგუნველი, უზტექი სულიერებით განვპრწყინდეთ და ჩვენ შრომის საზღაურად გვირგვინთ შევიმკოთ თავი.

მართლაც და, რა არს მარხვა, თუ არა გვირგვინ გმირობისა, საფუძველი ჯილდოსი და გზა ცხოვნებისა?! მარხვით ვიხსნებით მონობისაგან და თავისუფლებას ვიხვეჭთ, მა-მულს ვუპრუნდებით უცხო ქვეყანაში დატყვევებულნი, მარხვა კურნავს სულიერ ჭრილობებს და აახლებს ცოდვით გახრნილ სულს. იგი განამტკიცებული გონიერი განვითარებას და უზრუნველყოფას მიუღიანდება.

მარხვის უამს ცხრებიან ვნებან, აღსდგები-

ან სათნოებან, უმეტესი სიწმიდით ელვარებს უბინება, ხორცი მორჩილ ხდება სულისა და მას ემსახურება.

სიხარულით შეუდებელი მარხვას და ნუ ემსაგაქსები იმ თვალთმაქცე, რომელიც კაცთა სახილველად მწუხარე სახით დადინა. ამ მწუხარების გამო ისნო ვერ იღებენ იმ ჯილდოს, მარხვის გამო რომ ეძლევა ადამიანს. მაცხოვარი პრძნებს: „ხოლო შენ რაჟამს იმარხვიდე, იცხე თავსა შენსა და დაიბანე პარ შენ, რაითა არა ეჩუუნო კაცთა მმარხველად, არამედ მამასა შენსა დაფარულად“ (მათ 6, 17-18).

ნუ განუდგები, საყვარელო, მარხვას, რამეთუ იგია დედა სათნოებათა, საფუძველი სიკეთისა, წყაროა უბინებისა და მცველია ლვთისმოსაობისა. იგია გამომზირალი წმიდათა, თანამყოფია ანგელოზთა, წინამებრძოლი ბოროტი ძალისა, მეგობარი წმიდა სულისა; მის გამო გვშორდებიან ვნებან და გვცილდებიან ეშმაკეულნი, მისი მიზეზით ცხრება მრისხანება, ითრგუნება აქხორცი გულისთქმა, ცოცხლდებიან და ბრნყინდებიან ჩვენში სათნოებანი; მისი წყალობით მშვიდდებიან ვნებან და ცხრება გულისთქმათა ამბოხი; გონება თითქოსდა წყნარ ზღვაში ექცევა, იგი წარმატებით ებრძვის უკეთურ საქმეთა ქარიშხ-

ლის მღელვარებას და ხომალდი სათნოებათა ნავთსაყუდელში მიჰყავს.

მარხვა მოგაგებს უზრნელ გასამრჯელოს, მის საზღაურს ვერაფერი გაანადგურებს, თუკი სულინმიდის მცნებებს აღსარულებ, თუკი ლვთის შიშში განმტკიცებული უარპყოფ წუთიერს და მიჰყვები წმიდა წერილის სიტყვებს: „ნუ გიყუარნ სოფელი ესე, ნუცა-ლაი რა არს სოფლისა ამისა“ (I იოანე 2, 15). ნუ გექნება სიყვარული ამა სოფლის სიამეთა, მძიმე ტვირთივით რომ აწევს ჩვენს სულს და ჩაძირული ხომალდივით ფსკერისკენ მიაქანებს. განაარ იცი, რომ საჭმლის გემოს მხოლოდ ყელი გრძნობს, ხოლო სასჯელი, რომელიც მოჰყვება მას სასტიკ ტანჯვას განგვაცდევინებს? თავშეუკავებლობა პილწავს მათ, ვინც არ ინახავს მარხვას; იგი ამანიჯებს

სულის მშვიდებას, გვამად აქცევს სი-ცოცხლით აღვეხგულს. იგი უკეთურე-პისაკინ მოუწოდებს ადამიანს, ადაგ-ზებს ლამოვნებებს, ამრავლებს ომებს, აღვივებს მტრობას და გოლოსდაპო-ლოს, სათონების უნარს უკარგავს კაცს, რადგან, როცა სხეული უძლურდება და ღვიძის ჭარბი სხით განსჯა იკარგვ-ჩა, ადამიანი ვეღარ აოულობს თინააღმ-დეგობის ძალას და მფრთათვის იოლი დასაძლებელი ხდება. ამ

დროს იგი ემსგავსება ქართ გატაცებულ ხომალდს, რომელსაც არა ჰყავს მესაჭე, რომ შეებრძოლოს აზვირთებულ ტალღებს და ზღვის სიკრცეში უგზოუკლოდ დაკარგული დასაღუ-პადაა განწირული.

ამიტომ გვედრები, მარხვის შემდგომ ნუ შეუდგები განცხომით ცხოვრებას, უზრუნ-ველობის გამო ნუ გადაჲყრი წყალში შრომას, არამედ საქმეს საქმე დაამატე და იმედი გქონდეს, რომ მოგეხბა. ნუ დავლუ-პავთ მარხვის ძალას და ნუ მივცემთ ნებას ჩვენს გონებას, განსჯა დაჲკარგოს სია-მოვნებებით, რათა სულს ამქვეყნიური გა-მოსწორებული ბორო-ტება არ ვაგემოთ. თუ

გსურს მარხვის შემდგომ განიკურნო სხეული, დაუძლურებისას თავისშეკავებით უნდა უნამლო მას, რათა მსუბუქად დატვირთუ-ლი ხომალდის მსგავსად, სული ბინიერი ტალღების ზემოთ მოექცეს, რათა მან გა-ნაგოს ზრახვან და მზად იყო წინ აღუდგე მათ შემოტევას, რომ განსაცდელისაგან იხსნა ხომალდი.

მარხვასთან ერთად ამ ბრძოლაში ადამიანს ერთი მოკავშირეც ჰყავს - ესაა ლოცვა. სიკვდილის უამი იქნება თუ რაიმე სხვა განსაცდელისა, მარხვითა და ლოცვით ყვე-ლაფერ ქარწყლდება; მარხვის შიშით ძრინან და ილტვიან ბოროტნ სულნი, იმუსრება

დემონური ძალების მეუფება; მარხვის ძალა განსაკუთრებულია გაშინ, როცა მას ჰყავს მოკავშირე ლოცვის სახით. მარხვამ და ლოცვამ აღმაღლლა ზეცად ილია წინამდებრებული, დაღუპვას გადაარჩინა წინეველი, მარხვამ დაიცვა დანიელი უვნებოდ ლომებით სავსე ორმოში, მარხვამ გადაარჩინა შეუწელად აგ-იზიზებულ ღუმელში სამი ყრმა; მარხვამ შემოსა უსაზღვრო დიდებით მოსე; მარხვამ აქცია წინასწარმეტყველად ელისე. რა შეი-

ძლება ითქვას კიდევ მარხვის შესახებ? რომ არ ყოფილიყო მარხ-ვა - ხსნისა და მარა-დიული ცხოვრების მიღწევის გზა, ღმერ-თი არ დაადგენდა მას დასაბამიდან. თუკი ადამი დაიცავდა მარხ-ვას, სკვდილი ვერ მიეკარებოდა მას, არ დაჲკარგავდა იგი ღირსებას, ღვთისაგან რომ ებოძა, არ განიდევნებოდა იგი სამოთხიდან და არ დაისჯებოდა ტანჯუ-ლი ცხოვრებით. მა-გრამ რადგან დაემორ-ჩილა სტომაქს ხმას, სიკვდილის მონა შეიქმნა.


მარხვა სახეა ან-გელოზებრივი ცხ-ოვრებისა. და რაც უმთავრესია, მარხ-ვა დაიცვა მაცხო-ვარმა; მან იმარხ-

ულა არა იმიტომ, რომ იგი საშიროებ-და მას საკურნებელად, არამედ იმის გამო, რომ სსის გზაზე მარხვის მა-გალითი მიეცა კაციათვის.

ცხოვრების თანამგზარულ გაიხადე მარხვა, რათა დაგიცვას და სკვდილს გადაგარჩინოს, გამსაცდელი აგაცილოს და სასუფელის ბჭესთან მიგიყვანოს.

მადლი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ჩვენ თანა, რომელსაც შვენის დიდება, თანა მამით და სულით წმიდითურთ, ან და მარა-დის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

მოამზადა
ნათია გოგუაძემ





მიტროპოლიტი იოსები:

„კრისტიანები ხარებს
ერთ ნანგრევ დაუკავშირა
დედაქარის ასახულ გამოიყენება
ჩატარებულის ჩემ მიზანს გამოიყენება“

1995 წლის 4 აპრილს, წმიდა სინოდის ეპარქია, რომელიც მოიცავს ოზურგეთის, 1995 წლის 7 აპრილს, საქართველოს უნიტერესი ილია II-ის ლოცვა-კურთხევით პოსად იკურთხა და შემოქმედის ეპარქიის (კივაძე). მისი ხელმძღვანელობით წლების ეკლესია-მონასტერი, გაისხნა სამრევლო დაინტერესო ეკლესიური ცხოვრება. ეპარქიაში დროს დანგრეული ტაძრების აღდგენა. ეპარქიის სამღვდელოების დაუდალავი ლოცვითა და შრომით იქმნება.

ახლახანს, 17 ნოემბერს, შემოქმედის ეპარქიაში უწმიდესი და უნიტერესი ილია მეორე ჩაბრძანდა. ჩოხატაურის რაიონში, პატრიარქმა წმინდა იოაკიმესა და ანას სახელობის ახლადაშენებულ ტაძარში სამადლობელი პარაკლისი აღავლინა და ეკლესის ერთგული სამსახურისთვის გურიის სამღვდელოება დააჯილდოვა.

ჩვენი უურნალის სტუმარია შემოქმედელი მიტროპოლიტი იოსები.

— დაგვლოცეთ მეუფეო! რას გაიხსნებდით თქვენი ბავშვობის შესახებ?

— ღმერთმა დაგლოცოთ. ბავშვობაში მიყვარდა ხატვა და ბუნებაში სეირნობა. იმ დროს დედაჩემი ჩოხატაურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი გახლდათ. სკოლაში სწავლისას მუზეუმის ფონდში ვამზადებდი გაკვეთილებს. იქ ვნახულობდი სხვადასხვა ხატებს, სინმიდეებს, რამაც დიდი ზეგავლენა მოახდინა ჩემს ცხოვრებაზე.

შემდგომში ხატები და სინმიდეები ჩოხატაურის ტაძარში გადაიტანეს. დედაჩემი კომუნისტი გახლდათ, როგორც ყველა იმ დროს. ჯერ პარტიის წევრი იყო, ხოლო შემდგომში რაიკომის მდივანი გახდა. თუმცა,

განჩინებით კვლავ აღდგა შემოქმედის ჩოხატაურისა და ლანჩხუთის რაიონებს. კათოლიკოს-პატრიარქის უწმიდესისა და და წმიდა სინოდის განჩინებით ეპისკო-მღვდელმთავრად დაინიშნა მეუფე იოსები განმავლობაში გურიაში აღდგა უამრავი სკოლები და, რაც მთავარია, ხალხმა დღემდე გრძელდება საბჭოთა პერიოდის ეს ყველაფერი მეუფე იოსებისა და შრომით იქმნება.

ახლახანს, 17 ნოემბერს, შემოქმედის ეპარქიაში უწმიდესი და უნიტერესი ილია მეორე ჩაბრძანდა. პატრიარქმა წმინდა იოაკიმესა და ანას სახელობის ახლადაშენებულ ტაძარში სამადლობელი პარაკლისი აღავლინა და ეკლესის ერთგული სამსახურისთვის გურიის სამღვდელოება დააჯილდოვა.

ჩვენი უურნალის სტუმარია შემოქმედელი მიტროპოლიტი იოსები.

ამის მიუხედავად, მახსოვს, პატარა რომ ვიყავი, დედამ ჩუმად წამიყვანა ბათუმში და მომნათლა. ალბათ შინაგანად სწამდა ღმერთის, უბრალოდ იმდროინდელი იდეოლოგიდან გამომდინარე ყველა მაღავდა თავის რწმნას, მათ შორის დედაც. მე, რა თქმა უნდა, გავყევი ხატვას, ჩავაბარე ნკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში, გარკვეული წლები ვმუშაობდი საშუალო სკოლის პედაგოგად. შემდგომ ჩავაბარე სამხატვრო აკადემიაში, მერე სასულიერო აკადემიაში და ასე ნელ-ნელა მივედი ეკლესიაში. თუმცა ჩემი მშობლები წინააღმდეგნი იყვნენ ჩემი ასეთი გადაწყვეტილების, მაგრამ მე შევძლი და შევეწინააღმდეგე მათ. დღეს, ღვთის მადლით, ისინ მორწმუნები არიან.

მახსოვს, ბავშობაში გურიაში ტაძარი არ იყო, თითქმის ყველა ეკლესია დანგრეული გახლდათ. ამიტომ ბავშვები სალოცავად არ დავდიოდით. მერვე კლასის შემდეგ, თბილისში, ნიკოლაძეში რომ ჩავაბარე, მაშინ დავიწყე ტაძარში სიარული. თუმცა, გარკვეული პერიოდი არ ვიცოდი, ვინ იყო უფალი იქსო ქრისტე ან რა იყო სახარება და ასე შემდეგ. ძალიან მიყვარდა ტაძრების ხატვა, ციხეებისა და სხვადასხვა ისტორიული ძეგლების მოლოცვა.

მინდა გავიხსენო ბებია, რომელმაც მასწავლა პირჯვრის გადაწერა. ის სულ მეუბნებოდა: „ყოველთვის გადაიწერე პირჯვრი და მთელი დღის მანძილზე დაგიცავსო“.

სკოლაში ხშირად პირჯვრის გადაწერა შეუძლებელი იყო, ყურადღებას მიიქცევდა და შეიძლება სკოლიდან გავერიცხე. ამიტომ ძირითადად გონიერი ვიწერდი პირჯვარს, არა მარტი ჩემთვის, არამედ სხვებისთვისაც.

ბებია მეუბნებოდა: „ზოგ ადამიანს ცუდი თვალი აქვს და სხვას რომ შეხედავს, შეიძლება ცუდად გახდესო“. მე არ მინდიოდა ასე მომხდარიყო და ვინც კი შემხვდებოდა ყველას პირჯვარს ვწერდი. რეალურად იმდენად ჩემვად გადამექცა, რომ უნებურად ვაკეთებდი ამას და მხოლოდ მაშინ გადავეჩირე, როცა ტაძარში მივედი. მაშინ კომუნისტური პერიოდი იყო და რელიგია განსაკუთრებით იდევნებოდა. ასეთ დროს ბუნდოვნად, მაგრამ მანც მახსოვს უწმიდესისა და უწეტარესი ილია ॥-ის პატრიარქად კურთხევა სვეტიცხოველში. მაშინ ბავშვი ვიყავი. მახსოვს ასევე უწმიდესისა და უნეტარესი ილია ॥-ის ნირვა სიონში. იმდროინდელი კომუნისტური იდეოლოგიდან გამომდინარე, ტაძარში მხოლოდ რამდენიმე ადამიანი ესწრებოდა ნირვას.

— სტუდენტობის პერიოდში როგორ დამოკიდებულება გქონდათ ახალგაზრდებს რწმენის მიმართ?

— მახსოვს, აღდგომის დღეს ახალგაზრდები ვცდილობდით ეკლესიაში მივსულიყოვთ, მათ შორის მეც. თუმცა არ ვიცოდით რა იყო ჩემი სარწმუნობა. უბრალ-



ოდ ვიცოდით, რომ იქსო ქრისტე არის ღმერთი და მეტი არაფერი. არაფერი ვიცოდით მისი ცხოვრების შესახებ, რა გვწამდა რეალურად გათვიცნობიერებული არ გვქონდა. დაახლოებით ოცდახუთი წლის ვიყავი, როცა სერიოზულად მოექცა ჩემი გონიერი. ეს მოხდა მაშინ, როცა დავიწყე სახარების კითხვა, რამაც უდიდესი ზეგავლენა მოახდინა ჩემზე. ფაქტობრივად ყველა იმ კითხვას გასცა პასუხი, რაც მაინტერესებდა მთელი ცხოვრების მანძილზე. გადავწყვიტე დამეწყო ეკლესიური ცხოვრება და გავმხდარიყვავი ეკლესის მრევლი. შემდგომში მინდოდა მონასტერში წავლა. მახსოვს, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მაკურთხა, რომ ჯერ დამემთავრებინა სამხატვრო აკადემია. უნივერსიტეტში სწავლა რომ დავამთავრე, მონასტერში წავედი, თუმცა დიდი წინააღმდეგობა გამინიეს მშობლებმა და კვლავ უწმიდესის კურთხევით ჩავაბარე სასულიერო აკადემიაში. ჩემი მშობლები ნელნელა ეჩვეოდნენ ჩემს ასეთ ცხოვრებას. დღეს, რა თქმა უნდა, ისინი ძალიან შეიცვალნენ. შეიძლება ითქვას, ისინც აღმსარებელნ და მაზიარებელნ არიან.

— როდის მოხდა თქვენი პირველი შეხვედრა უწმინდესსა და უნეტარეს, ილია მეორესთან?

— უწმიდესთან შეხვედრა მოხდა მაშინ, როცა პირველად ჩავაბარე აღსარება მეუფე დანიელს (მაშინ მამა დავითი იყო).





სწორედ მან მიმიკვანა წირ-
ვაზე. მასშოვს პატრიარქი თავის
ტახტზე იჯდა და როცა
შევტედე მას, დავინახე, რომ
ეს ადამიანი არის ის, ვისაც
უნდა დავმორჩილებოდი,
რამეთუ იყო მთლიანად შე-
მოსილი ნათლით. ვფიქრობ-
დი, ხომ არ მეჩვენებოდა, მა-
გრამ ჩენი პატრიარქი ხშირ-
ად მინახავს ასე ნათლით შე-
მოსილი და ნამდვილად არ
მეჩვენებოდა. რა თქმა უნდა,
პატრიარქს ალსარებას არ ვა-
ბარებდი, მაგრამ ყოველთვის
მიმაჩნდა, რომ ის არის ჩემი
მოძღვარი. სწორედ მაშინ მოხ-
და პირველი შეხვედრა, დავი-
ჩოქე და ლოცვა-კურთხევა
აკიდე. ასე დაახლოებით 1985-
1986 წლები იქნებოდა. მაშინ
ჯერ კიდევ სამხატვრო აკა-
დემიის სტუდენტი ვიყავო.

1986 ଶ୍ରୀଲଙ୍କାର ମେଉଁଜ୍ ଧାର୍ଯ୍ୟ-
ଲ୍ଲି (ମାଶିନ ମାମା ଧାର୍ଯ୍ୟିତା)
ସାମତାଗ୍ରହିଳେ ମନ୍ଦାକିନୀରୁ ନୀ-
ବାନିଧିକ୍ରମାଧି ଧାର୍ଯ୍ୟିତା. ମେ ଧାର୍ଯ୍ୟିତା-
ବ୍ୟକ୍ତି ମାତ୍ର, ରାଜ୍ୟପାତ୍ର ସଂକ୍ଷିପ୍ତ-
ରକ୍ଷଣାକାରୀ ଏବଂ ବ୍ୟକ୍ତିଗତ କ୍ଷର୍ମିତା-
କ୍ଷର୍ମି ମନ୍ଦାକିନୀରୁ.

სასულეირო აკადემიაში
ჩაბარების შემდეგ წავიდი სკოტ-
იქნოვლის მონასტერში და
გაფეხდი მორჩილი.

ბერად 1990 წელს აღმოცეცხა.
მასსოგეს, შვიდ დღეში, დავით
გარეჯობას უწმიდესი და უნ-
ეტარესი ილია მეოროს ლოც-
ვა-კურთხევით, მე და ულუმ-

A photograph showing a monk with a beard and a shaved head, wearing dark monastic robes, sitting on the ground in a field. He is looking towards a large, traditional stone church with a tiled roof and a balcony. The church has some trees in front of it. The monk is positioned on the left side of the frame, while the church is on the right.

აფხაზეთიდან რომ დავბ-
რუნდით, იმ დღესვე უშმიდესმა
არქიმანდროფად მაკურთხა და
სვეტიცხოვლის წინამძღვრად
დამადგინა. სვეტიცხოვლის
წინამძღვარი გახლდით 1995
წლამდე. ამავე წელს პატრი-
არქმა მაკურთხა ეპისკოპოსად

და დამიშნა მღვდელმთავრად
შემოქმედის ეპარქაში. პრველი
ნირვა ამ ეპარქაში აღდგომა
ფლის ჩატარებული.

მასსოფს, იმ დროს გურა-
ის გუბერნატორ იყო ბატო-
ნი მიხეილ ჭკუასელი. მან თვი-
ოთონ აღდგომის წინა დღეს
ჩამომავითხა სკოლურებში და
წამიყვანა ეპარქიაში. მაშინ ფაქ-
ტობრივად გაისხანა შემოქმე-
დის ეპარქა. ეს ის წელი
იყო, როცა ბათუმის ეპარ-
ქას გამოეყო გურია და ცალკე
ეპარქიად ჩამოყალიბდა.

შემოქმედის ტაძარში პრველ სააღდგომო ნირვას უამრავი ადამიანი ესწრებოდა, მათ შორის დედაც. ამ დროს ყველას ნინაშე მოხდა უდიდესი სასწაული, ღამის 12 საათზე შემოქმედის ტაძარი ცაზე გამოისახა. ამას უყურებდა მოელი გურია. შემოქმედის ტაძარი განთიადამდე ეხატა ცაზე. ამ სასწაულმა იმდენად ძლიერ იმოქმედა დედაჩემზე, რომ მას შემდეგ აღსარებაც ჩაბარა და ეზიარა კიდეც. იმ დღეს ძალიან ბეჭრი ადამიანი მოექცა ქრისტიანობაზე. ვფიქრობ, სასწაული იმიტომ აღვლინა, რომ ღმერთმა ამით ჩვენს მოსახლეობას მოულოდა შემოქმედის ეპარქის აღდგენა. ეს იყო უდიდესი სიხარული.

მახსოვეს, 21 სექტემბერს,





ღვთისმშობლის შობის დღეს, კიდევ განმეორდა სასწაული. ამ დღეს განსაკუთრებით აღნაშვნავენ გურიაში. აღდგომის დღეს არ მოდის ტაძარში იმდენი ხალხი, რამდენიც ღვთისმშობლობას. ამ ბრწყინვალე დღესასწაულზე, ცაზე კვლავ გამოისახა შემოქმედის ტაძარი, ოლონდ მცირე ხნით. ტაძრის გალავანში კი მოდიოდა თეთრი წვიმა, რომელიც არავის ასველებდა. მართლაც უცნაური მდგომარეობა იყო, ყველა გახარებული იყო ნანახით.

მას შემდეგ გავიდა თხუთმეტი წელი. ღვთის მადლით და პატრიარქის ლოცვა-კურთხევით გაძლიერდა როგორც სხვა ეპარქები, ასევე ჩვენ ეპარქია; როგორც ტაძრები, ასევე სამღვდელოება.

დღეს ჩვენს ეპარქაში დაახლოებით 90-მდე მოქმედი ტაძარი და 14 მოქმედი მონასტრი. რა თქმა უნდა, გვყავს ბერმონაზვნობა, 32 სასულიერო პირი და რამდენიმე დიაკონი. ასევე ფუნქციონირებს სასწავლებელი (სამრევლო სკოლა) ოზურგეთში, ჩოხატაურისა და ლანჩხუთში. მოსახლეობა ცდილობს დაექმაროს ეკლესიას.

დღეს დიდი ავტორიტეტი აქვს ეკლესიას. ეს, რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, ჩვენ პატრიარქისა და სამღვდელოების დამსახურებაა. ყვე-

ლაფერი კი ღვთის ნებით და კურთხევით გვეძლება. ხანდახან ისეთი რამ ხდება, რომ, უბრალოდ, შენ თვითონ გიკვირს. ვიტყვი იმას, რომ მე არაფერს ვაკეთებ, ყველაფერს აკეთებს ღმერთი. უბრალოდ ჩვენ არ ვუშლით ხელს უფალს, რომ ასეთი სასწაული აღევლინოს. ფაქტობრივად, თავიდან ხდება ჩვენი ეპარქიის მოქცევა, ასევე საქართველოს.

2009 წლის 18 აპრილს აღდგომა რომ ვიზემეთ, ძალიან ბეჭრი ადამიანი მოვიდა ტაძარში. დილიდან დაახლოებით ათას კაცზე მეტი ადამიანი ეზიარა. ამდენი ადამიანი თუ ცხოვრიბდა გურიაში, ნამდვილად არ მეგონა. ისე კიდევ რამდენი იყო მოსული ტაძარში, ვინ იცის. ამან ძალიან დიდი სიხარული დატოვა ჩემს გულში. დარწმუნებული ვარ, ასე იქნებოდა საქართველოს ყველა კუთხეში. მადლობა ღმერთს, რომ ხალხი ნელ-ნელა უბრუნდება თავის სარწმუნოებას — ჭეშმარტი მართლმადიდებლობას.

განსაკუთრებული იმედი მაქს ახალგაზრდების, რამეთუ 80% ეკლესიაში ახალგაზრდები დადიან და, რა თქმა უნდა, მათ უნდა შექმნან მომავალი. მე ვიტყოდი, რომ ეს არის დამსახურება უწმიდესისა და უნეტარესი ილია II-ისა, წმიდა სინოდის და სამღვდელოების.


მინდა ხაზი გავუსვა, რომ ყველა ეპისკოპოსი და სამღვდელოების უმრავლესი ნაწილი პატრიარქის ნაკურთხია. ასეთი რამ საქართველოს ისტორიას არ ახსოვს. ეს არის

უდიდესი სასწაული ღვთისა, რაც ხდება საქართველოში.

დღეს, მართალია, საქართველო ძალიან დიდ განსაცდელ-შია, ტეროტორები დაკარგული გვაქს, მაგრამ ღრმად მჯერა და მწამს, და ეს ნამდვილად ასე იქნება, რომ საქართველო გამთლიანდება, უბრალოდ ამას დრო სჭირდება. ხალხი მისვდება თუ რა არის მთავარი ქართველისთვის, რომ უნდა ვიყოთ ქრისტიანები. ქრისტიანულად უნდა ვიცხოვოთ და ვიყოთ მეტად შემწინარებლები. ერთმანეთი დაკიდოთ და ღმერთი აუცილებლად დაგვასაჩუქრებს ჩვენ გაერთიანებით. ბედნიერი იქნება ის ადამიანი, ვის დროსაც



ეს მოხდება. ასევე, ალბათ ბედნიერი იქნება ქვეყნის ის ხელისუფალი, ვის დროსაც საქართველოს გაერთიანება მოხდება, რამეთუ ნამდვილად ოქროს ასოებით შევა იგი საქართველოს ისტორიაში. ეს აუცილებლად მოხდება, მაშინ, როცა ქართველი ხალხი, მათი უმრავლესი ნაწილი დაუბრუნდება დედაეკლესიას. დღეს, რა თქმა უნდა, საქართველოში ხალხის დიდი ნაწილი დადის ეკლესიაში, მაგრამ, მე ვერ ვიტყოდი, რომ მათგან ყველა მოსულია ტაძარში. მართალია ჩვენ ტაძრები გადაჭედილია, თითქმის ტევა არ არის, მაგრამ მაინც უნდა





ითქვას, რომ 10-15% იქნება, ვინც ეკლესიური ცხოვრების წესით ცხოვრობს. სხვა ან მხოლოდ უთანაგრძნობს ეკლესიას ან უბრალოდ არ დადის ტაძარში, არ მიაჩნა ეს აუცილებელ პრობად. გავა დრო და ისინც მიხვდებიან, რომ ტაძარში სიარული და ქრისტიანული, ეკლესიური ცხოვრება აუცილებელია. ეს სულ მალე მოხდება, მე ამის იმედი მაქს. ღმერთმა ქნას, რომ ეს მალე მოხდეს, ამინ.

— თავისუფალ დროს ხომ არ ხატავთ? თქვენ ძეველი პროფესია არ გენატრებათ?

თავისუფალი დრო ფაქტობრივად არ გრი-ჩება და თუ გრიჩება, იმდენად დაღლილები ვართ, რომ დასვენებასაც ვერ ვასწრებთ. ვცდი-ლობ ვხატო, მაგრამ ჯერჯერობით არ გა-მომდის, იმიტომ რომ ვერ ვიცლი.

— რას გვირჩევდით ახალგაზრდებს, როგორ უნდა ვიცხოვოთ, რომ უფრო მეტად დაუახლოედეთ ტაძარს, უფალს?

— სახარებაში წერია: „გიყვარდეს ღმერ-თი, ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა“. მსგავსი ამისა მცნებაა „გიყ-ვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“. თუ ასე იცხოვებთ, ეკლესიურებიც იქნებით და ბედნიერებიც, რამეთუ ღმერთი იქნება თქვენთან. ამ ორი მცნების დაცვით დადიოდა ყველა წინასწარმეტყველი. თუ გვეყვარება ჭეშ-მარტი ღმერთი, ვიქნებით ჭეშმარტი სარწ-მუნოების აღმსარებელი, გვეყვარება ადამიანე-ბი და ვიცხოვებთ ღვთისა და მამულისათვის თავდადებული, ნამდვილად ვცხონდებით და გადაზრჩებით. ეს არის მიზანი ჩვენი ცხოვრე-ბისა. ყველაფერს რასაც ვაკეთებთ, ვმარჩე-ლობთ, ვლოცულობთ, თუ ეკლესიაში დავდი-ვართ ან სულაც ვცდილობთ რომ ვიაროთ,



ვაკეთებთ იმისთვის, რომ მადლი შევიძინოთ, რომ „გვიყვარდეს ღმერთი ჩვენ და გვიყ-ვარდეს მოყვასი ჩვენ, ვითარცა თავი ჩვენი“.

— დაგვლოცეთ მეუფეო.

— ღმერთმა დაგვლოცოთ და გაგახაროთ უფალმა, ღმერთმა გაამთლიანოს და გააძლი-ეროს საქართველო და არავინ დარჩენილიყოს ღვთის მადლისა და კურთხევის გარეშე. ყვე-ლანი მოქცეულიყვნენ, მიმშვდარიყვნენ, რომ ღვთის გარეშე უაზროა არსებობა, ღვთის გარეშე შეუძლებელია სიცოცხლე, რამეთუ ღმერთი თვითონ სიცოცხლეა, სიყვარულია, და თუ გინდა რომ იყო ცოცხალი და მარადიული, აუცილებლად ღმერთთან უნდა იყო, იმიტომ რომ ღმერთი ბედნიერება და სიცოცხლეა.

ესაბრა
ნათია გოგუაძე

ამონარიფი უნიფერსის ეპისტოლეფან



შეიყვარე ღმერთი ყოვლითა გულითა, გონებითა და ყოვლითა სულითა შენითა. შეიყვარე მოყვასი შენი ვითარცა თავი თვისი - ბრძანებს უფალი. აი, ამ ორ მცნებაზეა დაფუძნებული ქრისტიანული გნეობისა და აბროვნების მთავარი არსი. ამიტომაც ძალიან ღილია პასუხ-ისმგელობა პედაგოგებისა, რადგან მათ წინაშე და მათი ბედამხედველობით ათასობით ბავშვის - საქართველოს მომავლის შინაგანი სამყარო ყალიბდება. ჩვენს სკოლებსა და სასწავლე-ბლებში კი არ ასწავლიან, მაგალითად, მოტარდები სხვადასხვა სიგუანიაში როგორ უნდა მოექცენებ მშობლებს, დაძმებს, მეგობრებს; რა დამოკიდებულება უნდა ჰქონდეთ მათ ავალმყოფთა, მოხუცთა, უცხოთა, თვისტომთა, საკუთარი მფრებისა თუ სხვათა მიმართ ავისმეტნელთათვის; არ ასწავლიან იმას, თუ რა არის სინამდვილეში ბოროტება, რა - სიკეთე; რისთვის არის ადამიანი ამქვეყნად გაჩენილი, რა უნდა იყოს მისი ცხოვრების მიზანი და რაგომ?

2001 წ. ქრისტეს შობა

— ინტელექტუალური კონკურსი —

„ჩვენ კსნავრობთ მიმღის“

გრალიძება

უკვე მეორე წელია, რაც საპატირიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრი, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხელშეწყობით ატარებს ინტელექტუალურ კონკურსს „ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას“. პირველი წელი საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა კონკურსისათვის, რადგან მასში საქართველოს თითქმის ყველა ქალაქის საჯარო და კერძო სკოლები ჩაერთნენ და დიდი ინტერესიც გამოამჟღვნეს.

2009 წლის შემოდგომაზე, სასკოლო ეტაპისათვის ახალგაზრდულ ცენტრში საქართველოს ყველა რეგიონიდან 800-მდე განაცხადი შემოვიდა. ტრადიციულად აქტიურობით გამოიჩინეოდნენ სამეგრელოსა და იმერეთის წარმომადგენლები. ასევე აღსანიშნავია თბილისის 191-ე სკოლა, რომელიც სასკოლო ეტაპისათვის 20 გუნდით იყო წარმოდგენილი და შესაბამისად მოიპოვა უფლება, სარაიონო ეტაპზე ერთის მაგისტრად 4 გუნდით წარდგეს.

ინტელექტუალური კონკურსის I (სასკოლო) ეტაპზე 4 დეკემბერს დასრულდა და კონკურსის სარაიონო ეტაპისთვის განაცხადების მიღების ბოლო ვადად 15 დეკემბერი გამოიცხადა გუნდები, რომლებიც დააგვიანებენ განაცხადების შემოტანას, ჯარიმდებიან -3 (თუ განაცხადის შემოტანა დაგვიანდება 1 კვირით) სოლო -5 ქულით, თუ განაცხადი დაგვიანდება 1 კვირაზე შეტი სწორ. 30 დეკემბერს განაცხადების მიღება წყდება.

მეორე (სარაიონო) ეტაპი 2010 წლის იანვრის ბოლოს დაიწყება.

საქართველოს საპატიკოარქეტოს ახალგაზრდული ცენტრი წარმატებას უსურვებს ყველა მონაცილეს.

အမြဲနှင့်အထွေထံ မြန်မာစာတို့၏ ပုဂ္ဂိုလ်မှုပေါ်တွင်



სასიხარულოა, რომ უკვე ხშირია შემთხვევები, როდესაც ნარკოტიკებს მიჯაჭვული ადამიანები მოღიან ეკლესიაში, იწყებენ ლოცვას, მარხვას, შრომას, ამბობენ აღსარებას, ეზიარებიან და თავისუფლებიან ამ საშინელი ავადმყოფობისაგან მაშინ, როცა ეკლესის დახმარების გარეშე ამ სენისაგან თავის დაღწევა მათთვის შეაძლებელი ჩანდა.

ნარკოტიკების მიღება ცოდვაა, მაგრამ გაცლებით მძიმე ცოდვაა მისი გავრცელება. ამის ჩამდენი, ფაქტიურად ადამიანთა მასობრივი სულიერი და ფიზიკური მკელელობის თანამონაწილეა და ამი- ტომაც ლეთისგან სასტიკად დაისჯება. მეტად შემაშოთებელია, რომ საქართველოში ორგანიზებუ- ლი ნარკოტიკების სრულ ფიც მასშეაბატს დღებს.

დღეს ერთ-ერთი უმძიმესი პროდალგმაა ლირებულებათა გაუფასურებაც. ადამიანებს, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებს, არწმუნებენ, თითქოს სამშობლოს სიყვარული, უფროსისადმი პატივისცემა, პატიოსნად ცხოვრება (ენისა და სარწმუნოების დაცვა) და სხვა, ჩვენი ერისათვის დამახსასიათებელი გრადიცები, მოძველება; არადა, როგორ შეიძლება მოძველებელი ის, რაც მარადიცებულ ლირებულებებს წარმოადგინს.

საბოგადოებრივი ცნობილერების გარკვენა მოგიერთს „პროგრესად“ მანჩნია. მსგავსი აზროვნება ჩვენს ისტორიაში ჟავე იყო XX საუკუნის დასაწყისში, როცა საქართველოში უცხო იდეოლოგიურმა მოძღვრებამ იწყო გავრცელება. მანინაც მკვეთრად შეუტიეს ტრადიციულ ლირიკულებებს, სანაცვლოდ კი ადამიანებს საყოველთათ კეთილდღეობას შეპირდნენ. თუ რა შედეგი მივიღეთ, კვლეულად ვიტო.

2002 წ. ქრისტეს შობიდან

ტაოში მოგზაურობა



დღევანდელ დღემდე მოგვიყვანა.

2009 წლის 18 ოქტომბრამდე ჯერ კიდევ ვერ ვაცნობიერებდი, სად მივ-დიოდი, თუმცა ვხვდებოდი, რომ ეს უბრალო ექსკურსია არ იყო, განა მხოლოდ იმიტომ, რომ ტაო-კლარჯეთი ისეთი მხარეა, სადაც ყველა ვერ წავა ადვილად, არამედ იმიტომაც, რომ ვნახ-ავდი იმ ისტორიულ მხარეს, საიდანაც დაიწყო არაბებისგან დასუსტებული საქართველოს როგორც სულიერი, ისე კულტურული გარეთიანება. ცხადად შევხ-ებოდი იმ ისტორიას, რომელსაც სკო-ლის მერხიდან ვეცნობოდი.

დილის 9 საათზე, წირვის შემდეგ, სამების ტაძრის ეზოდან, ინტელექტუალურ კონკურსში „ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას“ 2008-2009 წლის გათამაშების II-III ადგილებზე გასული სურამის, სენაკის, ქარელისა და ნინოშვილის გუნდები, პედაგოგები, ახალ-გაზრდული ცენტრის ხელმძღვანელი მეუფე

„დროში მოგზაურობა“... ბევრი ფიქრი არ დამჭირვებია ნერილისთვის ამ სათაუ-რის შესარჩევად, რადგანაც რეკორდულ დროში (3 დღე) ისეთ ადგილებში ვიმოგ-ზაურე, რომელებიც მარადისობაშია გახვეუ-ლი და ინახავს იმ ისტორიას, რომელმაც

სტეფანე და ამავე ცენტრის რამდენიმე წევრი ორი სამარშრუტო ტაქსით გავედით. 1 საათისთვის უკვე ვალეს საბაჟოზე ვიყავით. პირველად აქ დაგვჭვდა უზარმაზარი წარწერა TURKIYE. გარკვეული მიზეზების გამო, საზღვარზე საკმაო ხნით შეგვაყოვნეს. სწორედ იმ დღეს წმინდა გრიგოლ სანთელის სსენება დაემთხვა და მეუფის კურთხევით, მისი სავედრებელი ლოცვა ვისწავლეთ და ვიგალობეთ. დასრულებული არ გვქონდა გაღლბა, რომ საზღვრის გადაკვეთის ნება დაგწოტეს. ეს იყო პირველი სასწაული, რომელიც ამ კურთხეული მიწისკენ მიმავალ გზაზე გვიჩვენა უფალმა. სწორედ ეს გახდა მიზეზი, რომ ხელში კალამი ამელო და ფოცხოვის ულელ-ტეხილთან წერა დამეწყო:

„ყვითლად შეფერილი წვრილტანიანი ხეებიდან მტრედების გუნდი აფრინდა და მთებს შუა გაიშალა. ვიწრო ატოტვილი ხეები მთელი ტანით, თანაბრად, მწკრივად მიისწრაფიან ცისკენ. ისეთი სიყვითლე აქვს ბუნებას, პოეტურად ხანძარს რომ ეძახიან. ზურმუხტი-ისფერ-მოლურჯო მთის ტანზე ხალებივით კრთის ვარდისფერი, ქარვისფერი და მონითალო ფერების თამაში. წვრილეროიან ბუჩქებს შორის, მზის ათას ნაწილად გაპოპილი სხივები, საღამოს სევდიან და იდუმალ ელფერს სძენს. საოცარი სითბო იღვრება ამ ცისა და მიწისგან.“

ეს სითბო ჯერ კიდევ საბაჟოზე ვიგრძენით. თურქები მესაზღვრეები ალმაცერად და დაკვირვებით გვათვალიერებდნენ სტუმრებს. პასპორტების დარიგებისას „ალაპ აქბარის“ წარმოთქმას მიჩვეული ბაგები საშინლად ამახინჯებდნენ ქართულ გვარებს და მახსოვს როგორ გაგვაოცა ერთერთი მათგანს დანახვამ, რომელიც გარეგნობით სრულიად განსხვავდებოდა მათგან. გვარ-სახელს სუფთა ქართუ-


ლით (ცოტა თურქული აქცენტით) კითხულობდა, ბავშვებს ღიმილით გადაუსავადა თავზე ხელს და ლოცავდა „გზა მშვიდობისა“. ერთერთი მასწავლებელი აღფრთოვანებული მიუახლოვდა მას:

— ლაზი ხარ?
მარგალი?

— ლაზი? —
გაუკვირდა მას:
ქართველი ვარ...

„ამასობაში სურათი იცვლება,
გამშირდა ოქროს-ფერი, თეთრი ნამტვრევი ქვით მოფენილი
მთა-გორები. პატარა ლარიბული სოფლები,
რომელთა შუაგულშიც თითო რაკეტისმაგვარი
მინარეთი დგას. სოფლის შარაგზის
პრის სკამზე ჩამომსხდარი მოხუცები მანქანის
ქართული ნომრების დანახვაზე ხელით
გვესალმებიან, ბავშვები კი ინგლისურ სიტვებს
მოგვძახიან...“

პირველი გამაოგნებელი შთაბეჭდილება იყო ოქროსფერი ბანა, რომელთანაც მზის ჩასვლისას მივედით. ეს უზარმაზარი გარსშემოსავლელიანი ტაძარი ფერად მთებს შუაა ამოზნდილი. ტაძარში მეუფემ პარაკლისი გადაიხადა, შემდეგ კი გიდი გვესაუბრა ტაძრის შესახებ, რომელზეც სულ ცოტას გიამბობთ. ბანას ტაძარი ფერნისინყლის ხეობაში დგას. იგი IX-X საუკუნებში აუშენებია ადარნასე დავით კურაპალატის ძეს, კვირიკე ბანელის ხელით, რომელიც ბანას | ეპისკოპოსი გამზდარა. იგი გარსშემოსავლელიან ტეტრაკონქს წარმოადგენს. სამსართულიანი ყოფილა. თურქების შემოსევისას ციხე-სიმაგრედ უქცევიათ. ტაძარი მე-19 საუკუნემდე პირვანდელი სახით იყო შემორჩენილი, 60-იან წლებისთვის უკვე გუმბათი ჩამონგრევია. ოდესაც უდიდესი და უდიადესი ტაძარი, ახლა სრული სახით მხოლოდ გონებაში შეიძლება წარმოვიდგინოთ, თუმცა დღევან-





დელი შთაბეჭდილებაც ძალიან
ძლიეროს.

ყველაფერი ფირზე აღმოჩნდა და სასტუმროსკენ გავე-
ჭდეთ და სასტუმროსკენ გავე-
მართეთ. მანქანა ლრმა ხე-
ობაში შევიდა და კლდის
ისეთ ვიწრო გზაზე გავიდა,
სადაც ორი მანქანა ერთმა-
ნეთს გაჭირვებით აუქცევდა
გვერდს. მაშინვე ამოტივტივ-
და გონებაში ჩემი საყვარე-
ლი წიგნის რეშად ნური
გიოუნთექნის „ნარჩიტადან“
ფრაზა, რომლითაც მთავარი
გმირი ანატოლიას ახსიათებს:
„კლდეებს შორის მინარეთის
კბესავით დაკლაკრილ ვიწრო
ბილკვზე ვეშვებოდით...“ შე-
მოგვალაძეა, მოულოდნელი და
სასამოვნო იყო ქართული
წარწერის დანახვა: „თქვენ
ქართველი ძმა — მუხო, სას-
ტუმრი აგარა“ — წავიკითხეთ
აპრაზე და ცოტა ხანში
ულამაზეს ხეობაში ჩადგმულ
სასტუმროს მივადექთ. ჩვენ-
მა ქართველმა მასპინძელმა
შესანიშნავად მიგვილო.

մեռնող գովազդ

სხვა ტაძრების მოსანანაულე-
ბლად. გზად „ახალაში“ გა-
ვიარეთ, რომელსაც დღეს
„იუსუფელს“ უწოდებენ. გიდე-
ბის თქმით, ეს ქართული
სოფელი 1923 წელს რუსებმა
თურქეთს „აჩუქეს“. დღეს კი,
იქ ქართული ენა კი არა,
ქართული წარწერაც კი არ
არის არსად. დროის სიმ-
ცირის გამო, პარხალი ვერ
ვნახეთ და პირდაპირ ოთხთა
ეკლესისკენ გავემართოთ.
საქართველოს ამ კუთხეში
საერთოდ განსხვავებული
ლანდშაფტია. კლდოვანი მწვრ-
ვალები უზარმაზარ სტალაქ-
ტიტებს წააგავს. ასეთ შემთხ-
ვევაში ქალაქს შეჩვეული ად-
ამანი გრძნობა, რომ შენ ჯერ
კიდევ არ გინახავს შენ ქვეყ-
ანა. ჭოროხის ხეობაში,
უზარმაზარ სავეტზე აშენებუ-
ლი X-XI საუკუნის მონას-
ტერი და კავკასიონების ციხე-
სიმაგრე ვნახეთ. იქდან უკვე
მაღლევი მივადექთ უმნიშვრიერეს
ტაძარს — ოთხთა ეკლესისა,
რომელსაც თურქები „დორთ-
ქალისას“ უწოდებენ. იგი X
საუკუნეში მეფე დავით ჰურა-
პალატმა ააშენა და ოთხი
მახარებლის სახელზე ნა-
კურთხი. მისი სახელწოდებაც
აქედან მომდინარეობს. მის

გვერდით სემინარია ყოფილა,
ტაძარს უკავშირდება მრავა-
ლი წმიდა მამის სახელი.
იოანე მთაწმინდელი აქ შემდ-
გარა ბერად. ტაძარს სამჩრეთ-
აღმოსავლეთ მხრიდან ძველი,
პატარა ტაძარი-საძვალე უდ-
გას. ზემოთ, მთის ნაპირას
კი, პატარა ბაზილიკა დგას.
ოთხთაში განიჩევა საკურთხე-
ვლის ფრესკები, რომლებიც
ერთადერთია, რასაც ხელი არ
შექებია. მთელი ტაძარი
თურქულად ამოკანრული წარ-
წერებითაა შელახული.

სწორედ აქ მოხდა მეორე
სასწაული. მეუფემ ღვთისმ-
შობლის პარაკლის გადაიხა-
და და რამდენიმე წუთში
ჩვენთან, სამცხე-ჯავახეთიდან
მოსულ მომლოცველთა ხე-
ლით, ღვთისმშობლის ხატი
მოპრანდა. საოცრად დაიწ-
ყო ეს დილა!

ამაღლებული განწყობით
გავრმართეთ იშანისკენ, რომელ-
იც საკმაოდ მაღლა, მთაზე
მდებარეობს. რაც მაოცებდა
გზაზე, იყო ნაჟაღლებში ჩაფლუ-
ლი რამდენიმე სათბურო, ქვის
პატარა აუზები და კიდევ ის,
რომ ყველაზე მიუვალი სოფ-
ლისკენ გზა დაგებულია. ამ-
იტომ ისეთ კლდეებზეც კი
არის მოსახლეობა, თვალს





„ჯამედ“ აქცევდნენ. ტაძარში შემონახულია ორნამენტები. ჩემზე ყველაზე დიდი შთაბეჭდი ილება გუმბათის მოხატულობამ მოახდინა — ლაუვარდოვან ფონში ჩაწერილმა ჯვარმა, რომელსაც ანგელოზები ამაღლებენ. ფრესკა, რომელთანაც აქმდე არაერთხელ მქონია შეხება.


ტაძრის მახლობლად, გორაკზე, სახლებს შორის აღმართული მინარეთიდან მოლამ მოუხმო ხალხს სალოცავად. სამწუხარო იყო უძველეს მართლმადიდებლურ ტაძარში ეზანის მოსმენა.

ტაძარში შევედით და ვიგალობეთ. ამ დროს შემოვიდა შუახნის ყავარჯინანი კაცი და თბილად მოგვესალმა თუქრულად. როგორც დავადგინეთ,

ძლივს რომ ააწვდენ. ტაძარს რომ მიუჟალოვდით, აღარ ვიცოდით გვეტირა თუ ხელი შეგვეშალა ბავშვებისთვის, რომლებიც ტაძრის ჩრდილოეთ კედელს ფეხბურთის კარად იყენებდნენ. აქაც როგორც ოთხთაში, უხვადაა კედლებზე თურქული წარწერები. ტაძარში დაგვევდა მრგვალი საკურთხეველი, რომელიც VII საუკუნის ყოფილა. ექსკურსიამძლოლმა აგვისნა, რომ ეს საკურთხეველი კათალიკოს ნერსეს აუგია. 781 წელს კი გრიგოლ სანდოელს მასზე ტაძარი დაუშენებია. აქ დაწერილა მეტის სახარება (X ს.), 923 წელს, მოხატა და XVII საუკუნის ბოლომდე აღევლინებოდა ნირვა, სანამ თურქები



ბი უნიდებენ, დღეს მეჩეთია. რისი მიზეზიც სამწუხაროა, ფაქტი კი სასხარულო, იგი სწორედ ამ ფუნქციის მინიჭებით შემოინახეს კარგად. ამ ადგილას პრველად IX საუკუნეში დავით კურაპალატმა ააგო ლვისმშობლის სახელობის ბაზილიკა, ხოლო თავად ხახულის ტაძარი, X საუკუნეში, — დავით მესამემ. ამ ტაძარს ისეთი წმიდა მამებ-



გურჯი იყო, თუმცა ქართულად ერთი სიტყვაც არ იცოდა. მხოლოდ ერთსა და იმავეს იმეორებდა: „უანდარმა“. ტაძრიდან გამოსვლისას, როდესაც ეზოში თურქული პოლიციის ფურგონი შემოვიდა, მივწვდით, რას ნიშავდა მისი სიტყვები. იარაღასხმული უანდარმები მოგვიახლოვდნენ და ჩვენს გიდს მიმართეს. როგორც შემდეგ გაირკვა, მათ აინტერესებდათ ლვისმსახურება ხომ არ ჩავატარეთ იშხანში. საბედნიეროდ, ლვთის ნებით, მეუფე შემოსილი არ იყო, ამიტომ ვერაფერი დაგვიმტკიცეს და ცოტა ხან შორიახლო მოგვყვებოდნენ.

აღშფოთებულები გავეშურეთ ხახულისკენ. „პაგბასი“, როგორც მას თუქრე-





ის სახელები უკავშირდება, როგორებიც იყვნენ იოანე სახულელი, გიორგი მთაწმინდელი, სტეფანე გრძელი. ამ ტაძარში იყო დაბრძანებული სახულის ღვთისმშობლის ხატი, რომელიც 1852 წელს გაიძარცვა და გაიყიდა. 1923 წელს იგი ბოტკინის კოლექციაში აღმოჩნდა, დღეს კი — ხელოვნების მუზეუმში, ოქროს ფონდშია დაცული. XIX საუკუნემდე ხახულში წირვა აღესრულებოდა, ახლა კი მხოლოდ მამაკაცები შეუშეს, მათაც აიძულეს ფეხზე გაეხადათ. ქალები და გოგონები კი მხოლოდ გარე ფასადების დათვალიერებით დაკამაყოფილდით. ტაძარი მდიდარია უმშვენიერესი რელიეფებით, მათ შორის გამორჩეულია არწივი, ორბი, რომელიც, მისი მნიშვნელობის შესახებ გამოთქმული სხვადასხვა მოსაზრებიდან, ერთ-ერთის მიხედვით, წმიდა ნინოსთანაა გაიგივებული.

ეზოში შეგვხდა ქართველ მომლოცველთა ჯგუფიც. ჩვენ ცოტა ხანს გავჩერდით, რადგანაც, დღის ამ მოკლე მონაკვეთში, ოშეის ნახვაც უნდა მოგვესწრო და მალევე გავუდექთ გზას. უკვე საღამო იყო, როცა ტაძარს მივადექთ. ჩემი ყურადღება ტაძრის წინ განთავსებულმა აპრამ მიიქცია, რომელიც ქართულად და ინგლისურად იყო შესრულებული. ეს იყო ერთადერთი ტაძარი, სადაც ქართულად ენერა მისი აგების ისტორია. იგი იოანე ნათლისმცემლის სახელზე ააშენეს ადარნასე კურაპალატის შვილებმა, დავით III-მ და ბაგრატ ერისთავთერისთავმა 963-973 წლებში. 1022 წელს, როცა ეს რეგიონი

ბიზანტიას დაექვემდებარა, ბასილი III-ის და კონსტანტინე VIII-ს დროს შეკეთდა ჩამონგრული გუმბათი, ხოლო 1036 წელს პატრიკის ჯოვანის დაკვეთით, მოიხატა. XV საუკუნემდე აქ კულტურული ცენტრი იყო. XIX საუკუნის ბოლოდან მეჩეთად იყენებდნენ, ხოლო 1985 წელს კი დასაცავი, უძრავი კულტურული მემკვიდრეობის სიაში შეიტანეს. მას ახლა გვერდით მეჩეთი უდგას.

ტაძარში შესულებს ფეხშეულებოდა ნანგრევები. მიწა კი მოფენილი იყო ბუმბულით. როდესაც მაღლა ავიხედეთ, სვეტისთავებზე და ნიშებზე უამრავი მტრედი შევნიშნეთ. ვიგალობეთ და ნაჩერევად წამოვედით სასტუმროსკენ. გზაში ისევ დაგვალამდა.

მეორე დილით, 6 საათზე, როდესაც ჯერ კადევ ბეჭლოდა და ეზოში გამოსულმა შევრწყეროგორ მკვეთრდებოდა ცის ფონზე მთების კონტურები. სევდიანად გავაცნობიერე, რომ ერთი დღედა მრჩებოდა, ამ მშვენიერ კუთხეში ყოფინისა. ამ დღის ნახევარი მიეძღვნა ხანძთას, რომლისკენაც საკმაოდ დიდი გზა იყო გასავლელი. ეს იყო მაღალი მთები, რომლის მსგავსი რაჭაშიც არ მინახავს და ისეთი ფორმის კლდეები, როგორც ხევსურეთში, კლდეების სამეფოშიც არ არის. განა ეს უფრო ლამაზი სანახავი იყო?! არა, უძრალოდ განსხვავებული. თითოეული კლდის წვერი ისე ბოლოვდებოდა, დაუკვირვებელ თვალს ციხის ნანგრევი ეგონებოდა. არაჩვეულებრივი ყვითელი კლდეები და გზები, რომლებიც ისეთ სიმაღლეზე ადიოდნენ, მიუწვეველს იქიდან გადახედვა

თავბრუს დაახვევდა. ამ საოცრების შემყურე, ერთ-ერთმა ჩვენგანმა შემოსძახა ფრიდონ ხალვაშის ლექსის ნაწყვეტი, რომელმაც თვალზე ცრემლი მოგვაყენა და გული უფრო მეტად აგვითორთოლა:

„მითხარ, როგორაა
მემლექეთი,
ჩემი სანატრელი

საქართველო,
რაღაც იმნაირი გამაგონე
გული დაკლილი გავამზელო“

როცა ხანძთისკენ მიმაგალი სამანქანო გზა დამთავრდა, სვლა ფეხით გავაგრძელეთ. ძნელია, კალმით აღვერო, იმ ადგილების სილამაზე, რომლის გავლაც მოგვინია. ფოტოები უკეთ ინახავენ.

პრველად ვისტლეთ ის ადგილი, სადაც წმიდა გრიგოლმა ძელის ეკლესია აღაშენა. აქვე დაგას 782 წელს აშენებული პატარა ქვის ტაძარი, რომლის საკურთხევლიდანც წყარო გადმოედინება. წყაროდან შექვით და გავემართეთ იქვე მდგარი დიდი ტაძრისკენ, რომელსაც გუმბათი ჩამონაგრული აქვს. იქ შეგვხვდა ერთი ხრისტიანული მამაკაცი, რომელმაც კითხვაზე — ქართველი სარ? გვიპასუხა — „ნენეი გურჯი, ბათუმი...“ ამ ქართველმაც არ იცოდა არც ერთი სიტყვა მშობლიურ ენაზე. მშობლოდ ერთი ფიქრი არ მაძლევდა ამის გამგონეს მოსვენებას: ნუთუ ასე ძნელია, ერთმა თაობაშ მეორეს გადასცეს სამშობლოს სიყვარული და სარწმუნოების ერთგულება? — ფაქტი ფაქტად რჩებოდა.

მეუფემ აქაც პარაკლისი გადაიხადა და იქადაგა. სანთლები ავანთეთ გუმბათიდან ჩამოცვენილ ქვებზე და კვლავ ტკბილხმოვანი ქართული გალობა ავახმიანეთ.

ხანძთის მონახულების შემდეგ გზად ოპიზას სანახავად შევიარეთ, მაგრამ ვნახეთ ის, რამაც ყველას ძალიან ცუდად გვაგრძნობინა თავი. ტაძარი აფეთქებულია, შუაში სოფლის გზაა გაყვინილი, აქეთ-იქთ დარჩენილი კედლებიდან ერთზე ფეხბურთის კარია მიხატული და საპრფარეშოა მიდგმული. გვერდით აღმართულია მინარეთი, რომლის დინამიკიდანაც მოლას ხმის აუდიოჩანაწერი ისმის, გარკვეულ საათებში. მეჩეთზე ინგლისური ასოებით ქართული სიტყვებიც აქერთა კონკრეტულად კი რამდენიმე ფრაზა, მაგ: ალაპის გარდა ღმერთი არ არის გასაღმერთი...“ და ა.შ.) მოკლედ, რა სამწუხაროც არ უნდა იყოს, ჩვენ სიწმინდეები, ადგილობრივების მიერ ყოველმხრივ ათვისებულია.

ასეთი განწყობით წამოვედით დოლისყანისაკენ, რომელიც უკანასკნელი ტაძარი იქნებოდა, რომელსაც ვნახავდით ამ მიწაზე. თავს ალარ შეგანყინთ იმ „გულთბილი“ დახვედრის აღნერით, როგორც შეგვხვდნენ ტაძრის გვერდით მდებარე სკოლისა თუ პანსიონის აღსაზრდელები. ალარც ის გაგვიკირვებია, მის გვერდით აგებული მეჩეთი რომ დაგვხვდა. ჩვენ აღშვიოთება იმან გამოიწვია, რომ ამ მშვენიერი ტაძრის ფრესკების ნაწილი ჩამოფხევილი დაგვხვდა და ზედ ყურანის ტექსტები იყო დაწერილი. საბედნიეროდ, ასომთავრულიც კარგადაა შემორჩენილი, როგორც ფრესკებზე, ისე ქვაზე ამოტვიფრული. უკანასკნელად ვიგალობეთ და ამით თითქოს დავემშვიდობეთ იმ ლამაზ სამყაროს, რომელიც ხელიდან






გამოგვეცალა. ამ ტკივილთან ერთად თან წამოვიდეთ მიწა, ქვები, ფრესკებიდან ჩამოცვენლი ნატეხები და უამრავი ფოტო თუ ვიდეო მასალა.

საზღვრამდე გზა აღარ მოგვჩვენებია დიდი. თვალს უვლებ ჩანაწერებს: „პლა უკვე

საზღვარზე ვდგავარ, მინარეთიდან მუეძინის ხმა მესმის და მაინც არ მაქვს შეგრძნება იმისა, რომ საქართველოს გარეთ ვარ. დიახ, მე ვარ „საზღვარგარეთ“, მაგრამ არა — „უცხოეთში“, ამ სიტყვების პირდაპირი გაგებით...“



მოვდიოდი უკან და მახსენდებოდა პარხალის ხეობა, იუსუფელი, იგივე ახალა; თურქ, რომელსაც დედა ჰყავდა ქართველი; კლდეები, რომ-ლებზეც მოხტუნავე ჯიხვებიც კი ჩანდა; ის სიწმინდეები, რომლებიც მოვილოცეთ და მიჭირდა დაჯერება, რომ ეს ყველაფერი სამშა დღემდა დაიტია. რა თქმა უნდა, დროის მხრივ იგი მეტად მოკლე იყო და სწრაფად გავიდა, მაგრამ ნაყოფიერი აღმოჩნდა, რომ ეს ყველაფერი გულში ღრმად განმეცადა და ლექსად გადმომეცა:



ჩამავარი მზის ხეივეზი მტკიცა,
მწვერვალებიდან მომწყდარი ქვეზი,
თოთქოს კლდეები წერე ხარ-ირემს
ჩაყლენია ქორმუდა რქებით.
მტკიცა ყოველი ცაძარის შზარი,
მინარეთები ზედ აღმართული,
მოლას ეზანი, ხმა შესაზარი
ფავინუებული ენა ქართული.
მტკიცა თვალები ხითბოთი სავსე,
უამი ფა-ძმობის, უამი ნფონისა,
მტკიცა ოდებზე ასხმული ხავსი,
„ნენე გურა“ და „გზა მშვიდობისა“.
როგორ ვუნოდო „პამამლი“, „ფორთა“,
ფოლისყანის და ხანძთის სანახებს?
გმაფლობ, უფალო, გარდახულ დროთ
რწმენის ფიფება რომ ფამახახე.

ნინო ჭინჭარაული



გამრატოვნები მეთრავებს 70 წლი შესრულდა.
ვულოცავი და დიზანის სიცოცხლეს ვუსურვით
მავიღობითა და ღვთისშენით.



როინ მეთრავები

მაღიდითა და სიკეთით მოსიღი

მსოფლიო ისტორიაში მრავალი დინასტია ცნობილი. დინასტიებს ერთი და იგივე გვარის მეფეები ქმნიან, რომლებიც თანამიმდევრობით, მემკვიდრეობის უფლებით სცვლიან ერთმანეთს. ასეთი დინასტიები იყო: ვალუები და ბურბონები — საფრანგეთში, პამსაურები — ავსტრია-უნგრეთში, რომანოვები — რუსეთში და ა.შ.

საქართველოში IX საუკუნიდან მოკიდებული, ვიდრე 1810 წლამდე ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის ზეპის ხანაა. ვინ არიან ბაგრატიონები?


მეცნიერ-მკვლევართა მტკიცებით, ბაგრატიონები წარმოშობით ძველი ქართველი პროვინციის — სერის მკვიდრო იყვნენ. ბაგრატიონთა მემატიანე სუმბატ დავითის ძე თავის თხზულებაში „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა...“ გადმოგვცემს, რომ ბაგრატიონები ბიბლიურ წარმოშობისანი — დავითიან-სოლომონიანი ანუ დავით და სოლომონ წინასწარმეტველთა მოდგმისან არიან: „და ოთხნი ძმანი მოვიდეს ქართლს: ხოლო ერთი მათგანი სახელით გუარამ განაჩინეს ერთსთავად“. ამგვარად, პოლიტიკურ ცხოვრებაში წარმატებული პირველი ბაგრატიონი გუარამია (VI ს.), რომელიც „არს ერთსთავი ქართლისა და მამა ბაგრატიონთა. და ესე ქართლისა ბაგრატიონიანი შვილისშვილი და ნათესავნი არა მის გუარამისი“. გუარამი ისტორიაში „დიდად“ მოიხსენიება.

ნაშანდობლივია, რომ ბაგრატიონთა ბიბლიურ წარმომავლობას მხარს უჭირენ სხვა მემატიანებიც, როთაც ცდილობენ იდეოლოგიურად დაასაბუთონ ამ გვარის წარმომადგენელთა მეფობის აუცილებლობა საქართველოს სამეფო ტახტზე. „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითის“ დავით IV აღმაშენებელს ებრაელთა მეფის დავითის სამოცდამეთვრამეტე შთამომავლად მიიჩნევს: „ამიერთაგან იწყებს ნავთა ცხოვრებისათა მობერვად და ღრუბელთა მაცხოვრებისათა აღმოჭრობად, ვინათგან ათორმეტ წელს ამათ თვითო სახეთა

ჭირთა განგრძობითა ბნელსა უკუნსა შინა იწყო აღმოცისერებად მზემან ყოველთა მეფობათაგან, დიდმან სახელითა და უდიდეს-მან საქმითა, სახელმოდგმან დავით, ღმერთის მამისამან, და თვით სამეოცდამეთვრამეტე მან შვილმან ამის დავითისამან, დავით“.

საქართველოს პოლი-ტკურ ცხოვრებაში ბაგრატიონები განსაკუთრებით დაინაურდნენ მერვე საუკუნის დასასრულს. ბაგრატიონთა გვარიდან იყო ქართლის ერისმთავარი აშოტი, რომელიც ისტორიაში აშოტ I დიდად იხსენიება. იგი 826 წელს გარდაცვლილა. აშოტ I კურაპალატის ტიტულსაც ატარებდა. აშოტ I-მა დიდმა ფაქტობრივად დააფუძნა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა დინასტია. ტაო-კლარჯეთის ანუ ქართველთა სამეფოს ბაგრატიონები ორ ძირითად შტოდ იყოფოდნენ — ტაოსა და კლარჯეთის ბაგრატიონებად. ტაოს ბაგრატიონებიდან ქართველთა მეფის პატივი პარველმა ადარნასემ მიიღო 888 წელს (ზოგი ცნობით 897 ან 899 წელს). იგი იყო ძე დავით I კურაპალატისა. მეფობდა 923 წლამდე. ისტორიაში ადარნასე II კურაპალატად იწოდება. ბაგრატიონთა კლარჯეთის შტოს საფუძვლი დაუდო აშოტ დიდის უფროსმა ძემ ადარნასე (ადარნაზე).

„ქართველთა მეფის“ წოდებას ადარნასე II-დან მოკიდებული მხოლოდ ბაგრატიონთა ტაოს შტოს წარმომადგენლები (ადარნაზე II-ის მემკვიდრეები) იღებდნენ. ამ შტოს ეკუთვნოდა ერთიანი საქართველოს პრეზენტი მეფე ბაგრატ III. ბაგრატიონთა კლარჯეთის შტო XI საუკუნის ათასნ წლებში შეწყდა.





საქართველოს სახელმწიფომ თავისი ძლიერების მწვერვალს მიაღწია ბაგრატიონთა საგვარეულოს ბრწყინვალე წარმომადგენლების დავით IV აღმაშენებლისა (1089-1125 წწ.) და თამარის (1179-1213 წწ.) მეფობის დროს.

ისტორიული ძნელბედობის გამო XV საუკუნის II ნახევრიდან ერთიანი საქართველოს სახელმწიფო დაიშალა ცალკეულ სამეფო-სამთავროებად. ქართლის, კახეთისა და იმერეთის სამეფოებში მეფებიად კვლავ ბაგრატიონები არიან. ქართლის სამეფოს პირველი მეფე იყო სრულიად საქართველოს მეფის ალექსანრე I დიდის (1412-1442 წწ.) შვილშვილი კომსტანტინე II დემეტრეს ძე (1479-1505 წწ.). მისმა შთამომავლებმა ქართლში იმეფე 1658 წლამდე, ვიდრე სამეფო ტახტს ბაგრატიონთა მუხრანბატონების შტო არ დაუფლა. ამ შტოს 1512 წელს საფუძველი დაუდო ბაგრატ მუხრანბატონმა. იგი ქართლის მეფის დავით X-ის ძმა იყო და ქართლის მემარქენე სადრო-



გიორგი X

შოს სარდლობდა. მუხრანბატონების შტოდან ქართლის პირველი მეფე იყო თეიმურაზ მუხრანბატონის ძე ვახტანგი (1658-1675 წწ.) ისტორიაში შაპინავაზად წოდებული. მუხრანბატონთა შტოდან ქართლის უკანასნელი მეფე იყო იესე (1714-16 წწ., 1724-27 წწ.), ალი-კული ხანად წოდებული.

ბაგრატიონთა კახეთის შტო

დააფუძნა ერთიანი საქართველოს უკანასნელმა მეფემ გიორგი VIII-მ (1446-1466 წწ.), როთაც 1446 წელს სათავე დაუდო დამოუკიდებელ კახეთის სამეფოს. ბაგრატიონთა კახეთის შტოს წარმომადგენელი თეიმურაზ II 1744 წელს გახდა ქართლის მეფე, მისი შვილი ერეკლე II — კახეთისა. 1762 წელს ერეკლე II ქართლ-კახეთის ერთიანი სამეფოს მეფე გახდა. ამ შტოს უკანასკნელი წარმომადგენელი მეფე გიორგი XII იყო, რომლის გარდაცვალების (1800 წლის 28 დეკემბერი) შემდეგ, 1801 წელს რუსეთის იმპერატორმა ქართლ-კახეთის სამეფო გააუქმა და რუსეთის იმპერიას შეუერთა.

ბაგრატიონთა დინასტიის იმერეთის შტოს სათავე დავით VI ნარნმა დაუდო (1245/47-1293 წწ.), რომელიც იმერეთში მეფობდა 1259-93 წლებში. იმერეთის სამეფო საბოლოოდ დამოუკიდებელი 1484 წლიდან გახდა, როცა სამეფო ტახტზე ავიდა ქართლ-იმერეთის მეფის, ბაგრატი VI-ის (1479-84 წწ.) ძე ალექსანდრე II (1484-1510 წწ.). იმერეთის უკანასკნელი მეფე იყო სოლომონ II, რომელმაც მეფობა დაკარგა 1810 წელს, იმერეთის სამეფოს გაუქმებისა და მისი რუსეთთან შეერთების გამო.

ბაგრატიონთა სამეფო საგვარეულომ სათავე დაუდო რუსეთში გრუზინსკებისა და იმერეტინსკების გვარებს.

XVI საუკუნის ათიან წლებში ბაგრატიონთა ახალი განშტოება ჩნდება, რაც განაპირობა ავგიორგად წოდებული კახეთის მეფის გიორგი II-ის (1511-13 წწ.) მუხანათურმა მოქმედებამ. მან, სამეფო ტახტის მისაკუთრების მიზნით 1511 წელს მოკლა მამა — ალექსანდრე I, შეიპრო ძმა დიმიტრი, „თუალები დასწვა“ და კახეთიდან ქართლში გააძვა. დიმ-

იტრის ვაჟის, დავითისგან მოკიდებული მათი მემკვიდრეობი დავითიშვილებად (ზოგჯერ თვალდამწრობებსაც უწოდებენ) მოიხსენიებიან.

ზოგიერთი ცნობით, არსებობდა, აგრეთვე, ბაგრატიონთა გვარის რამაზაშვილების, გოჩაშვილების და ბაბადიშვების განშტოებები.

ბაგრატიონთა საგვარეულოს, მათ შთამომავლებს, ტრადიციებს, განსაკუთრებული ყურადღებითა და სიფაქიზით ეპყრობა ქართული სამოციქულო ეკლესია, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქე, უწმიდესი და უწევტარესი ილია II. ნიშანდობლივა, რომ ბაგრატიონთა არაერთი წარმომადგენელი საქართველოს ეკლესიის მიერ წმინდანადაა შერაცხული.

ბაგრატიონთა დინასტიის სხვადასხვა შტოების შთამომავლები დღსდღეობით ძირითადად საქართველოში ცხოვობენ. მუხრანბატონების სამეფო შტოს წარმომადგენლები ამჟამად ესანერთში — მაღრაძეში ცხოვობენ. ამ საგვარეულოს ერთ-ეთი წარმომადგენელი ქეთევან ბაგრატიონი იტალიაში, რომში ცხოვობს.

ქართველი ხალხი უდიდეს მადლიერებას გამოხატავს ბაგრატიონებისადმი იმ დიდი ლვიზლისათვის, რაც მათ ქვეყნისათვის გაიღეს.



ბაგრატიონ-გრუზინსკების გერბი



ბაგრატიონ-დავითიშვილების გერბი



ბაგრატიონ-ბაბადიშვილის გერბი



სოლომონ

ახალგაზრდული მოძრაობა „დავითიანის“ ორგანიზაციით ლომის ერაში გაიმართა ლიტერატურული კონკურსი პროგრამასა და კონფიდენციალური მონაცემების მიზნობრივ 121 სკოლის მოწავლეები. ლიტერატურული კონკურსი მეორე წელია რაც იმართება და ყოველწლიურ ხასიათს ატარებს. გთავაზოგთ წლევანდელი კონკურსის საუკთხოებო ნაშროვნებს

I ადგილი – ნინო მუჭათაშვილი, 57-ე სკოლა, XI კლ.

სამართლი სიცავლი

ნაზმა სიომ დაუბერა და უმწეო ყვავილები შეარჩია. მეც მომეფერა, ფაქტზე და გაშლილი თმა ამიტრალა. როგორ მესიამოვნა! დედის ალერსივით საამურია, დათვის ბელივით ფაფუკი და თოვლივით სკეტაკი. განა შეიძლება მშობლიური სიო არ გიყვარდეს?! კიდევ დიდი გზა მაქსა გასავლელი... დიდი აღმართია... ნაბიჯებს მოვუმატე. მზის ჩასვლას მინდა მივუსწრო! აღმართის ბოლოს ნაძვთა ჯარი დგას. ამაყად მიცეკრენ ზევიდან, მედიდურად და თავმომნიხედ. აბიბინებულია კვირის მდელო... სიო ნელნელა ეპარება ყვავილებს, შემდეგ კი სულ შეუბრას და ნაზად დაარწევს.

დავიდალე... გავჩერდი და გულალმა გადავ-ეშვი ყვავილთა ზღვაში. მოვეფერე და ისინც მომეფერნენ. გამიკვირდა ასეთი ალერსი. მეგონა დედა მეცერებოდა... ცას აქედე. შენითლებულიყო.

ნამოვდექ და გზა გავაგრძელე. ვუახლოვდე-ბი ნაძვთა არმიას, თითქოს ავლელდი. ნინ, დოინჯშემორტყმულ ოფიცერთა სატე დამხეა-ტა.... როგორ მყარად გაუდგამთ ფესვები მიწა-ში... ტყეში შევედი... და უცტად, მედიდურმა ნაძვებმა, სათონ გამომტყველება მიიღეს... აშ-რიალნენ და ალერსით მომესალმნენ — ესეც გამიკვირდა... ტყიდან გამოვ-დი, უკან გავიხედე და ვერ-ცერთი ოფიცერი ველარ ვნახე! მათ ადგილას ნაძვები იდგნენ და იდუმალი ღიმილით მიღი-მონენ... მეც გაფულიმე და მინდორში გავედი...

მივუსწარო!

მზის ჩასვლამდე ალბათ ათი წუთი იყო დარჩენილი. ჩამ-ოვეჯექ და ფიქრთა მჩეულებელი მონაცემით გადავ-ეშვი... ერთოს ყველაზე მაღალ წერტილზე ყვოფილვარ?!

რა ლამაზია აქაურობა, ხე-ლის გულზე რომ დაიხედავ და საზებს დაინახავ, ისე მოს-ჩას ველები, პატარა ბილიკე-


ბი, ბორცვები... გული ბაგაბუგს იწყებს... ვუყურებ ამ სილამაზეს და ჩემში გრძნობათა აბლაბუდა იძევავა....

რა ლამაზია ჩემი სამშობლო, ჩემი ტანჯული საქართველო!

პრევალად გულში აღტაცება შემოიჭრა, ფეხზე ამაყენა და ფიქრთა ქარბორბალა დამიტრიალ-და სულსა და ხორცში! ცეცხლის ბურთი ჩადიოდა მთათა შორის, ჰორბონტი ბრდლვი-ალებდა და ყველა არსება მზეს ემშვიდობებო-და, ცეცხლის ბურთი ცდილობდა, არავინ გამოეტოვებინა. იისფრად შეღებილიყო აღმო-სავლეთის მხარე, უწის ველებს კი ნელნელა ბინდი ეფინებოდა. მზე ვულკანს გავდა, დილ-ით ამოხეთქილს, მცხუნვარეს, საღამოთი კი ჩამავალს, ყვავილებზე უმწეოს. ვუყურებდი ამ სანახაობას და გული სიხარულით მევსებოდა. იციო რატომ? ასეთი სილამაზე ჩემს სამშობ-ლოში ხდებოდა.

აღტაცების გრძნობა მწუხარებამ შეცვალა! წუხილი ზამთრის სუსტივით შემოიჭრა სხეულ-ში და გულში ჩასახლდა. ბინდმა ჩემი საყ-ვარელი საქართველოს წარსული გამახსენა! რამდენ ჭირი გამოიარა. თითქოს ვიტრინი, რომ რაღაც ძალამ სამშობლოს სიყვარულზე დამაფიქრა! ფიქრთა მორცეში გადარჩენას ვცდილობდი, აზრებს ვალაგებდი.

უცბად ჩემს გონება-ში კითხვა ამიტივ-ტკივდა: რატომ მიყ-ვარს მე ჩემი სამშობ-ლო?... ჩემს თავზე გავბრაზდი, ასეთი კითხვა რომ გამიჩნ-და. უცბად მომადგა პასუხები, დაუპატიუ-ბელი სტუმრებივით, საკუთარ კითხვაზე. რატომ მიყვარს და იმიტომ, რომ მე აქ დავიბადე, გავიზარდე...





არ მომენტონა პასუხები! ერთი შეხედვით მარტივმა კითხვამ, ჩემს სულში არეულობა გამოიწვა ჩაფულრმავდი კითხვას... მზე უკვე ჩასული იყო და სინითლეც გამქრალიყო... მინდოდა, ჩემი პასუხი, ჩემთვის, ჩემი სულისთვის და გონიერისთვის დამატაყოფილებით ყოფილიყო... ერთოს ველებს სიბრელე დაპატრონებოდა... მე მიყვარს ჩემი სამშობლო... მეტცხლების ნაცვლად, ახლა, დამურები დაფრინავენ ჩემს ნინ... მივაგენ! ვიპოვე პასუხი! გულიდან ლოდი მომესნა, სადღაც თვალუწვდენელ ხრამში ჩავარდა და დაიმსხრა!..

მე მიყვარს ჩემი სამშობლო! საქართველო! ღმერთო გულიდან ამოსული, ვულკანივით ამოხეთქლი სტყვებით მინდა მადლობა გადაგიხადო! მადლობელი ვარ, რომ საქართველოში დაიბადვ ამ დალოცვილ მიწაზე ავიდგი ფეხი, პარველი სტყვა ქართულად ვთქვი და ამ, ლვოსმშობლის წილებული ქვეყნის ნაწილი გავხდი.

ახლა მივხდი, რატომ მომეფერნენ ყვავილები, რატომ მიღიმოდნენ ნაძვები... მათ იგრძეს, რომ მეც ამ ქვეყნის შვილი ვარ და რომ მეც მიყვარს ჩემი სამშობლო!

საქართველო! მე მიყვარს შენ მებრძოლი ბუნება, სილამაზე, რწმენა! მიყვარხარ დარშიც და ავდარშიც! ჭირშიც და ლხინშიც! მე მიყვარს შენ მთები, ტბები, რემასავით მორბენალი მდინარები! მიყვარს შენ სიო, ნაზად რომ მეფერება სახეზე! მიყვარს შენ ნაკადულები, ცხელ გულს რომ ელამუნება ხოლმე! აი, რატომ მიყვარს ჩემი საქართველო!

საქართველო! შენ რომ არ იყო, არც მე ვიქნებოდი, არც ეს მთები, არც მდინარეები და არც ეს სიო! შენით ცოცხლობს თითოეული ქართველი...

უნებურად გამეღიმა. ჩემი პასუხით დაწყნარებული მდელოზე წამოვნექა და ვარსკვლავებით მოჭედილ ცას აქედე... შენ ცაც მიყვარს საქართველო... უცბად ფიქრთა მდინარეს დავეჯახე, თითქოს შევენინააღმდეგე (მინდოდა ვარსკვლავებისთვის მეყურებინა), მაგრამ თერგივით ძლიერი აღმოჩნდა და გამიტაცა!

მიწიდან ძალას ვგრძნობდი, დუღლა, თითქოს ცდილობდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ვერ ახერხდა... გონებაში ვარსკვლავები მიქროდნენ, უსწორმასწორო ხაზები იბნეოდა, ვარსკვლავებს ვეღარ ვხედავდი...

* * *

— ეჟე!!! გიორგი აქ ხარ? — ერეკლე!!! აქეთ მოდი, აქეთ!.. — გაგიმარჯოს ჩემი ძმა! როგორ ხართ სახლში?

— დედაკაცი ნერვიულობს!

— ეჟ! ჩემი გიორგი, ისეთი დროება ჩამოვარდა, აკენის ბავშვიც კი ხვდება ჩვენ ბედკრული სამშობლოს მდგომარეობას.

— აბა, რა ვქნათ, ერეკლე! ჩვენ თუ არ დავიცავით სამშობლო, ყიფჩალები ვერ გვიშველიან.

— ის მაინც მანახა ჩემი ბიჭი როგორი იქნება!

— ნახავ, ნახავ... ცხეირი არ ჩამოუშვა! ვაჟაცა ეს არ შეშვენის.

— რას ამბოშ! თავი არ მენანება, ჩემი ქვეყნის გადასარჩენად! ღმერთია მოწმე!

— ჩემი ბიჭიც მოდის ომში! მამა ენაცვალოს... ჩვენ ნება რომ იყოს, ერთი მუჭა ხალხი არ ვიქნებოდით! მაგრამ ღმერთს უყვარს საქართველო! არ გაგვირავს!

ვერ ვხვდებოდი სად ვიყავი!.. ორი უცხო ადამიანი მედგა ნინ, ჩოხებში გამოწყობილი, სუვდიანები... მაგრამ ერთი შეხედვითაც ჩანდა ნამდვილი ვაჟაცები იყენენ... ჯერ კიდევ გაურკველობაში ვიყავი!

მათ შორის დავდიოდი, მაგრამ ვერ მედავდნენ. ვუყურებდი... ოშ! რა სევდა იყო მათ თვალებში... ღრმად გაედგა ფესვები, მაგრამ ვაჟაცური მხეობა მაინც იგრძნობოდა...

ცხენის ფლოქვების ხმა მომესმა, ორივე ფეხზე წამოდგა... სუნთქვაშეკრული ელოდნენ მგზავრის მოახლოებას.

აქოშინებული მხედარი მოგვიახლოვდა, ცხენიდან ჩამოხტა და წარპშეჭმუსნულმა თქვა: „მეფე გიბარებთ! ომი დაინწყო!“

ამ სტყვებმა თავზარ დამცა! მეგონა ქვეყანა დაიქცა! ყველაფერი განადგურდებოდა... ერეკლე და გიორგი მკვირცხლად წამოხტნენ...

— „აი, დედასა მტრისასა.

მოვალთ და დაგბდლვნით იქვეო,

არ გაგახარებთ ურჯულოთ,

არ გაგაცინებთ ჩვენზეო!“ უცებ თქვა გიორგიმ, გაილიმა, მოხტა ცხენს და გააჭენა...

ცხენის ფლოქვების ხმა მესმოდა... ჩემი ბიჭი როგორი იქნება... ღმერთი შეგვერა... ომი დაინწყო... წავი მომეფერა...

თვალები გავახილე, ოფლში ვიწურებოდი... გულს ბაგაბუე გაჰქინდა, ვერ ვხვდებოდი, რა მოხდა... ცას ავხედე... ვარსკვლავებით იყო მოჭედილი... ღრმად ჩავისუნთქე და წამოვჯეხ. ჩამინებოდა. გულში და გონებაში ფიქრები დაბორალებდნენ... ვხვდებოდი, რას წაშავდა სამშობლოს სიყვარული... გულისცემამ მიმატა და თვალებიდან სიხარულის ცრემლები წამომივიდა. გულიც ხვდებოდა, სულიც და გონებაც რომ საქართველო, ჩემი სამშობლო მიყვარდა.


II ადგილი – თამთა რეხვისშვილი, 47-ე სკოლა, XII კლ.

საღვას გოლ, სხლს გოსას და სხლს ზღვას ფიორ, განჯიშა...

„არავინ აღანთის სანთელი იგი,
ქვეშე ხვიმირსა“.

ჩემმა მზერამ საყურის დიდ რგოლში გაუაზრებლად გაიარა, ვიტრინებში დაწყობილ ფერად ფეხსაცმელებს გვერდი აუქცია და სიმპათიურ ყმანვილს მიაშტერდა. მერე აღმოაჩინა, რომ ეს სიმპათიური მხოლოდ მანეკენი იყო, იმედგაცრუებული ისევ უკან გამობრუნდა, წელანდელ ვიტრინას გამოსცდა, ისევ საყურის რგოლში გამოტია და ახლა ამ დიდორონი რგოლის პატრონს მიაშტერდა გაფართოებული. ჩემდა გასაკვირად, ბიჭი იყო, ოღონდ არა მანეკენი. გასაკვირად იმიტომ, რომ შუა მანეტეზე ვიდეტ, ასე თუ ისე, უსაყურო ბიჭების ქვეყნიდან და აურზაურის-გან თავბრუ მეტეორდა. იქ ძალიან გავრცელებული იყო ფრაზა: „სიცოცხლე აქ ჩემფს“. მე კი ეს უცხო მჩქეფარება ნერვებს მანინკიდა...

არაფერი ჯობია ჩემს მთანმინდის იტალიურ, თაღჩამონგრეულ ეზოს სარეცხის თოკე-



ბზე მოჩხუბარი მეზობლებითა და მემანვნე ტარელას „მანონიის“ ძალით გათენებული დილით.

ვგიდები ტარელაზე. ჩამოდგება ხოლმე ჩემს კართან და ემუსაიფება დედაჩემს:

— ჰაი, ჰაი... ისეთი მანონ მაქვს, ქაბატო-ჯან, ამის სადარი მთელს დუნიაზე არ იშოვება!

— ვიცი, ვიცი. — ელიმება დედას და ცარიელ ქალებს მანვნიანში უცვლის.

— ჰაიიტ! დაილოცოს ჩემი ღმერთიანი ნკორას ფერდები! — აგრძელებს ტარელა და ახლა სხვა აივნზე ინაცვლებს. სანდახან იტყვის ხოლმე, უმანვნონ სიცოცხლეს რა ფას აქვსო. მოწოდებით უნდა იყო მემანვნე, კარგი მანონ რომ გამოგივიდესო. მეც დავფიქრდები ხოლმე ხანდახან, მემანვნე ხომ არ ვარ მოწოდებით და ვინცობაა, ვცდები პროფესიის არჩევანში-მეთქმა, მაგრამ მანონ არ მიყვარს და ეს აზრები უცებ მიფრთხებან. საერთოდ, ეს შენ ამქეცებური ხვედრის ძიება, დიდი მაზალო რამეა. ამის გაფიქრებაზე ჩემი თავიანთხვედრნაპოვნი გმირები მიტევენ და სინდისის მეტისმეტად დავიწროვებულ სიმეზე დახტიან, აქაოდა ავახმიანოთ, გამოვაფხიზლოთ ეს შეჩვენებულიონ. მეც

მყუდროებადარღვეული

ყუდროებადარღვეული

დროებადარღვეული

როებადარღვეული

ოებადარღვეული

ებადარღვეული

ბადარღვეული

ადარღვეული

დარღვეული

არღვეული

რღვეული

ღვეული

ვეული

ეული

ული

ლი

ი...

ვფხზები და მქენჯნის ჩემს მარჯვენა მხარზე ჩამომჯდარი ფრთოსანი, რამე გააკე-

თეო. დედაჩემი იტყვის ხოლმე დროდადრო ღიმილით: „ჩემი კურტანი სიცოცხლის ბოლომდე უნდა ვზიდოო“. ეს კურტანი ჩემი უფროსი ძმაა. ვგიუდები თოკოზე, ისიც — ჩემზე. რვა თვის იყო არასწორად რომ აცრეს, ახლა ოცი წლისაა და სულ სხვანაირად უყურებს სამყაროს. თოკოს უყვარს ყველა და ყველაფერი, განსაკუთრებით დედა. ეუბნება ხოლმე ჩემი კატა ხარო და ეხუტება ძალიან მაგრად. კიდევ უყვარს „ივო“ — „ავემარია“ და ტირის ხოლმე, როცა უსმენს. თოკოს უყვარს წითელი ტრაქტორები, მხოლოდ წითელი და ხშირად დამყავს მშენებლობებზე. თოკოს აქვს დიდი მწვანე თვალები და კიდევ უფრო დიდი შავი წამწამები. თოკო არის ერთადერთი, ვისაც ხშირად ვეუბნები, რომ მიყვარს და მენატრება ყოველთვის... ჩემი მეორე ძმაა თევდორე, ეგეც კარგი ვინმეა, უპრალოდ ხანდახან ლანირაკს მექანის, არადა მხოლოდ ერთი წლითაა ჩემზე უფროსი. სამივეს სახელები იწყება თ-ზე და სამივე ვართ თ. რეხვიაშვილები. კარგია არა? ხო, ვიცით, ვიცით...

ამ ფიქრებში კარგა გვარიანად ვფხზდები და მახსენდება, რომ სულაც არ ვარ ისეთი მდორე და ტლანქა, როგორც მეგონა და,

თურმე, თქვენც შეგიძლიათ თვალებით რაღაცის დახატვა, არა ხართ შავ-თეთრები. შენ თუ ხეზე ჩემთან ერთად ამოქრები, დაგანხებ, როგორ ქაოსურად დაფუსფუსებენ ადამიანები მიწაზე პატარა მოსირობებით. ზოგი მოკლეა, დაუმაფრუბელი, ზოგი სევდაშეპარული და უაზროდ გაწელილი. ზოგიც სულ ერთი წინადადებაა და — კეთილი. ზოგი ჰეგავს მხოლოდ ერთ სიტყვას: „დამეხმარები?“ და თავადაც მოხროლია კითხვის წიშანივით. მე ვემსგავსები ძახილის წიშანს: „! ეს ქაოსური ფუსფუსია ადამის მოდგმის დაწიწულება...“ და ბოლოში მრავალწერტილები, მერე ნაწილ-ნაწილ ჩამოვდივარ ხს კენწეროდნ ძირს და მეც ვერევი ამათ ფუსფუსში... ხანდახან შექვენ შემეხარება მზერა, რომელიც ბრაზობ: „ჩამოდი ხდიან!“

მაწონიიი... მაწონიიი... ჩურჩელააა! — გაპყვირის ტარიელა. დღეს ველარ მოასწრო ჩემი გალვიძება, უკვე მეღვიძა. ჩამორიგა ტკბილ-ტკბილი ჩურჩელები თბილისის იტალიურ ეზოებში და ოდნავ ჩაგვიტკბო გვარიანად მოწარებული გულები...

სადღაც შორს, ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქთ, შუა მანეტენზე რომელილაც ცნობილ სასტუმროს აწონილ კედელს ობობა ისევ ქსელავდა და ისევ ობობობდა...

III აფილი — ადა ისმერიანი, 85-ე სეირა XII კლ.

II სილ ვია საავტორო, ვია სიკვალი, ვია საავტორო...

ქუჩაში დაფიქრებული მივაბიჯებდი, ირგვლივ წვიმისაგან დანამული სიჭრცე ბურუსში გახვეული ღრუბელივით მეჩვენებოდა. უეცრად, ჩემ წინ, მოყვითალო-მოშაო ფოთოლმა გაიშრიალა, შემდეგ კი სიოს ამოქროლვისთანავე, მოწყდა, აფრიალდა და ნელი ფარფატით იმ ფოთლების რცხვს შეუერთდა, რომლებიც მიწაზე მოფენილიყვნენ.

მივაბიჯებდი... უეცრად, ჩემ წინ, წვიმისაგან დასველებული, თითქოს გამხმარვით აყუდებული ხე დავინახე და ფიქრები გამექცა გაზაფხულის პირველი დღისკენ, როდესაც ეს გამხმარი ხე მოთეთრო-მოყვითალო კვირტებით იყო მოფენილი და ყვავილებს აქეთ-იქეთ ყველას და ყოველივეს აფრქვევდა, თითქოს ეს ყოფილიყოს წიშანი იმედისა, სიყვარულისა და ხვალინდელი დღის მშვიდობიანად გათენებისა.

მივაბიჯებდი... დაფიქრებული მივაბიჯებდი და მესმოდა რომ ამ ხების, ფოთლების, ყოველი საქართველოში დაბადებული და შემდეგ მიწად და მტვრად ქცეული კენჭის გარეშეც კი ჩემი სიცოცხლე წარმოუდგენელია!!! საქართველოს ცა — ეს ხომ ყველაზე ლამაზი ცაა, რაც კი მინახავს ქვეანაზე. თითქოს ღრუბლების გამჭვირვალე კაბადინზე ანგელოზების გუნდია შემოკრებილი, რომლებიც გვკარნახობენ, თუ როგორ უნდა გვიყვარდეს თითოეულს ჩვენი სამშობლო!

ნათქვამია: როგორც უფალი, ისე სამშობლოც, ერთადერთია ამ ქვეყანაზეო! ამის ცოცხალი მაგალითია დავით გურამიშვილის ცხოვრება, რომელიც სამშობლოსგან შორს იმყოფებოდა და მაინც სამშობლოს სიყვარულით სულდგმულობდა! მან სამშობლოსგან

შორს შექმნა უნიკალური ნაწარმოები, — „დავითიანი“, რომელიც დღემდე შეგონებასავით აქვს ქართველ ერს.

სამშობლოს სიყვარული... ეს ის თემაა, რომელიც ყველანაირი თავისებურებით არის შეზავებული, ადამიანი, რომელიც სამშობლოს სიყვარულის გარეშე ცხოვრობს, სწორედ იმ გამხმარ, სველ და აყუდებულ ხეს ემს-გავსება, რომლიც ერთ დროს მოთეთრო, მოვარდისფრო ვარდებს აფრქვევდა...

სწორედ სამშობლოს სიყვარულია იმედი იმისა, რომ ხვალინდელი დღე მართლაც გათენდება ლვთისგან ნაბოძვარი სიყვარულით და ლირებულებით, რომელიც ქართველ ერს უბოძა უფალმა.

ხანდახან მებადება კითხვა. ვინ ვარ მე?! ვინ ვარ მე უფლისგან შექმნილ, გაცისკროვნებულ, განათებულ, სამშობლოს რაღაც დავუმატო ან დავაკლო. მე მხოლოდ უფლება მაქვს... უფლება მაქვს, რომ მიყვარდეს იგი...

უსამართლობამ მაიძულა წავსულიყავი და სხვა ქალაქში ჩემთვის პატარა ბინა დამედო, მეცხოვა ჩემთვის ბედნიერად უცხო ქალაქში და საქართველოს ბედ-ილბალზე არა გამეგო...



მე საბოლოოდ საქართველოს შევავლე თვალი, მთაწმინდას მდგარმა საბოლოოდ დამშუჭე თვალი მე საბოლოოდ საქართველოს დამშემშვიდობე, მის სილამაზეს დავშორდი და გამოვეთხოვე. შემოვიარე დედამიწის ყოველი კუთხე, ყველა კარიბჭეს მივადეჭა, ყველა გავისწინე, მაგრამ როდესაც ჩემს სამშობლოს კვლავ მივაკითხე, მის სილამაზეს, ვერცერთი ქვეყნის სილამაზე ვერ მივადარე!!!

ადამიანები ვიბადებით, ვიზრდებით, ვბერ-დებით და ვკვდებით... ვკვდებით ჩვენი ლირებულებებით, ცოდვებით, შეხედულებებით და ცხოვრებით, თუმცა ეს სხვა თემაა, რომელზეც დაუსრულებლად შეიძლება საუბარი. მთავარი ის კი არ არის, რომ დავიბადოთ, ვიცხოვოთ და მოვკვდეთ, ისე როგორც ყველა! მთავარი ის არის, რას გავუკეთებთ ჩვენს სამშობლოს, რა წვლილს შევიტანთ მისი კეთილდღეობისათვის ბრძოლაში.

მე ყოველთვის ვფიქრობ სამშობლოზე, მის არსზე და ლირებულებეზე, მაგრამ ბოლომდე მის ლირსებებს ვერ ჩავწვდი, ალბათ ეს ჩემი გაუნათლებლობის ბრალია!

მე ვფიქრობ... თქენც იფიქრეთ, იქნებრამე ამოუცნობს ჩავწვდეთ!!!

შეხედე ცაა! როგორ ბრწყინავს იგი, ეს სამშობლოს ცაა! შეხედე მიწას, რომლის გამოც, იბრძოდნენ სამშობლოს სიყვარულით გამსჭვალული პატრიოტები! აი, ეს იყო სიყვარული... სამშობლოს სიყვარული!

შეხედეთ, სამშობლოზე მოტრფიალე მწერლებს, პოეტებს და თუნდაც ჩვენ უბრალო ადამიანებს, რომლებიც ვცდილობთ გამოვხატოთ სიყვარული ისე ლამაზად, როგორიც თვითონ სიყვარულია — მშვენერი და ამაღლებული.

შეხედეთ ტაძრებს, ეკლესია — მონასტრებს, შეხედეთ ხატებს, ჯვარზე გაკუულ ქრისტეს, შეხედეთ ბიბლიას, სახარებას, ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებებს, შეხედეთ საქართველოს...

აი ეს არის ჩემი სამშობლო, ჩემი სიყვარული, ჩემი საქართველო!!!



ც ა

I აფგილი - მექა შაკურაძე, 173-ე ხელოს, XI კლ.

რამდენი რამე გინახავს ცაო,
კაცობრიობის თვალი ხარ ყველგან,
ასეთი წმინდა, უმანკუო რომ ხარ
ალბათ იმიტომ შორს დგახარ ჩემგან...

რამდენი კაცის გინახავს ცრემლი,
რამდენი ტყვია ნასროლი ზურგში,
შენ ერთგულებაც ბეჭრი გინახავს,
და სიყვარული გაცვლილი ფულში.

ბეჭრი ქალაქის ნერევა გინახავს,
გლოვით მოწვდილი შენსკენ ხელები,
გამუქებულა შენს თვალწინ ხშირად
დედამინაზე მკრთალი ფერები.

ლიად დარჩენილ კაცთა თვალებში
ბეჭრჯერ იმედად ჩაგიხედია,
და უპატრონოდ მიყრილ გვამთათვის
ჭირისუფლობაც გაგიწევია.

ვინ მოსთვლის, რამდენ ცოდვის მომსწრე ხარ,
უამთამლრიცხველიც ვერ აღრცხავდა,

ტყვია არ უწვდენს, თორემ აქამდე
ადამიანი შენც დაგხვროტავდა.

არ დაგინდობდა, რადგან სიძულვილს
ამ ქვეყანაზე არ აქვს საზღვარი,
რადგან ჩვენს შორის ამ სიძულვილის
შავი ღრუბელი არის ჩამდგარი.

კაცთა ცოდვებით გაოცებული
ხშირად ღრუბლებით იფარავ სახეს,
მაგრამ იცოდე ამ ღრუბლებს მიღმა
ატირებული შენც დაგინახეს.

როცა გვიგზავნი ჭექას და ქუხილს,
თითქოს ცა მიწას მოჰკითხავს ნამუსს,
ასე მეონია, ბოროტ სამყაროს
რომ ჩემს მაგივრად შენ აძლევ პასუხს.

მე ხელით გწვდები და გეფერები
ჩემგან ყოველთვის განდიდებული,
მეც მაშინა ვარ წყნარად და მშვიდად
როცა შენა ხარ დამშვიდებული.

იავაზი

ვისაც სიცოცხლე სწყურია
დაუშრეტებელი ცხოვრებით,
გადაგვარებულ მიწაზე,
განათებული ცხოვრებით.

ვისაც სამშობლო აჩერებს
და განთიადის იმედი,
ძნელია რომ დაიჯერო,
რა არის მისთვის მცირედი.

II აფგილი - ივანე კაკუტია, I ხელოს, IX კლ.

გადაჯიშებულ ქვეყნისთვის,
გადატეხილი ტოტები,
გადაბრუნებულ ერისთვის
გადარჩენილი იმედი.

ვისაც საწუთორო აჩერებს
დღის გათენილი იმედი,
შენ თვითონ ვერ დაიჯერებ,
რა არის მისთვის მცირედი.

მზე და ადამიანი

მზე ჩამჯდარა ნავში,
მძიმედ უსვამს ნიჩბებს,—
დამდალაო, ქართ
დედამინის სივრცემ.
ჰორიზონტს თუ გასცდა
გაგრილდება წუთით,
დასცხა, სულის ტკივილს
ძლივსლა იტევს გული...
მზე რომ ზღვაში ჩავა
დაბნელდება მალე?

ხვალ ხომ ისევ მოვა
რომ დაცხრილოს ლამე?!
დედი, მზე ხომ მოვა?
ხომ გაგვითბობს გულებს?
ხომ გაგვიყოფს სხივებს
როგორც თაიგულებს?
- მზე იქნება, შვილო,
ვარსკვლავებიც, მთვარეც,
დედამინაც გაძლებს
კვლავ დაითვლის წამებს...

ისინ სულ იყვნენ,
იქნებიან გწამდეს!
ადამიანს ჯილდოდ
ერგო სამი რამე—
ამ სიცოცხლის ძალა,
სიყვარულის ნჭი
და სიკვდილის ნება
საფიქრალით დიდით.....

სხვადასხვა ნომინაციებში გამარტვებულების ნამუშევრებს უურნალის
შემდეგ ნომერში გაგარნობთ, აქ კი გთავაზობთ ლექსეს, რომელმაც
გაიმარტვა ნომინაციაში „საუკუთხესო პატრიოტული ნამუშევრი“

ოთარ მჭეფლიშვილი, 47-ე სკ. X კლ.

ოცდახუთსა თებერვალსა ქროდა ცივი ნავ-ქარი,

და ცივ სიოს ტყვია ცხელი ჭროდა, როგორც
სისხლის ძარღვი.

აქ ხეები ზუზუნებდნენ, ტაბახმელა

იწვის სისხლით,

და კოჯორც დაჭრილია ამაზრზენ ტყვიის სილვით.
ოცდახუთსა თებერვალსა ქროდა ცივი ნავ-ქარი,

და ცივ სიოს ტყვია ცხელი ჭროდა, როგორც
სისხლის ძარღვი,

აქ დროშები შინდისფერი იყო

ერთად-ერთი ვალი —

ქართველისთვის, რომ დაეცვა შშობლიური

მიწა-წყალი.

ოცდახუთსა თებერვალსა ქროდა ცივი ნავ-ქარი,
ცრემლიან სისხლის გუბე იყო

ტყვიით გადამთვრალი,

კოჯორი და ტაბახმელა კვლავ გლოვობდა,

იდგა სარი,

სარზე იყო წამოცმული საქართველოს

საფიცარი —

სამი ფერის დროშა ისევ, შინდისფერი, სანუკვარი.
იყო თოვლი და ციოდა, იყო ისევ ნავ-ქარი,
ისევ კაცის სისხლით იყო, დალოცვილი
მიწა-წყალი,

ოცდახუთსა თებერვალსა დაიღვარა წმინდა წყალი

და ქართველის იმ დროს ბედი იყო

მუხისა ფიცარი...

იყო ცივი, მტკიცნეული და წითელი თებერვალი,
როგორც მუდამ, იმ დროს ღალატს,

გამოეჩინა ისარი.

თოვლი იყო, უბერავდა, დროშაც ჩვენ გაყინული...

გაუნძრევლად იდგა, იდგა, მუხლუდრეკი და ამაყი,

იდგა, იდგა და ელოდა ისევ ფრიალს გარინდული,

და სიკვდილი მტრისაგან, ამით იყო გამიზნული.

რეკლა ზარი, რეკლა ზარი, სად სიონი

იდგა ქარში...

და ზეცისკენ აპყრობილი მას ეჭიდა მძიმე ჯვარი...

და ზეცისკენ მომზირალი გაუნითლდა უკვე თვალი.

ოცდახუთსა თებერვალსა ქროდა ცივი ნავ-ქარი

და ქართველებს სანუგეშოდ მკერდში ეკრათ


მიწა მშრალი...

ამონარიდი უნმიდესის ეპისტოლეფან



დროს უნდა ვაფასებდეთ, როგორც დეთის წყალობას და მისი გამოყენება უნდა შეგვეძლოს.
დროს უნდა აღვიქვამდეთ არა მარგო როგორც მოგად გამოვლინებას, არამედ როგორც თი-
თოეული ჩვენთაგანისათვის ამქვეყნიერი ცხოვრებისათვის მოცემულ გარკვეულ პერიოდს, რომ-
ლის განმავლობაშიც უნდა მოვასწროთ ყოველივე იმის აღსრულება, რის გაკეთებასაც ვფიქრობთ
და ვგეგმავთ, რადგან არ ეუწყით, როდის წარვდგებით მარადიულობის კარიბჭესთან. ჩვენთვის
განკუთხილი ქამი მიწიერი ცხოვრებისა აღვიდო უნდა იყოს სიკეთით, ოჯახისა და სამშობლოს
სასარგებლო შრომით, სულიერებით და არა მხოლოდ გართობითა და კომერციული საქმიანობით.

2003 წ. ქრისტეს შობიდან



პორტფორიო „ნაციონალური გიგანტი თემაზე“

კონკურსი „ნაცატები ბიბლიოსურ თემებზე“ საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის მიერ განხორციელებულ როგორცა, კონკურსის საშუალებით მოზარდეს, რომელსაც ხატვის წეჭი აქვთ საშუალება მოეცათ თავიანთი წეჭი გამოივლინათ და ეს მოახერხეს კიდეც რადგან მათი ნამუშევრები მახველთა დიდ მოწოდებას იმსახურებს.

კონკურსი დაიწყო 2009 წლის ივნისის თვეში, ახალგაზრდული ცენტრის კულტურისა და ხელოვნების ჯგუფის ორგანიზებით და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით. მასში მონაწილეობას ღებულობენ 6-დან 17-წლამდე სკოლის მოსახლეები.

ერთი თვეით ადრე ჩატარდა კონკურსის მოსამაზულებელი პროდო: 1. განისაზღვრა მისი დამწერისა და დასრულების დრო; 2. შეირჩა ისეთი თემები ძველი და ახალი აზომებით, რომელთა მიხედვითაც ბავშვები შეძლებდნენ ნახატების შესრულებას;

კონკურსი მონაწილეობის სურვილი 250-მა ბავშვება გამოიწვა, მათ შემოიტანეს განაცხადი, რომელსაც თან ერთვოდა მსურველის მიერ, თავისუფალ თემაზე შესრულებული ნახატი. 2009 წლის ივნისის თვეში მოხდა მონაწილე ბავშვებთან შეხვედრა.

ისინ გაუცნენ კონკურსის პირობებს და დაურიგდათ თემები, რომელზეც უნდა ემუშავათ ზაფხულის განმავლობაში. ამავე დღეს მოეწყო იმ ნახატების გამოფენა, რომლებიც კონკურსანტებმა გა-

ნაცხადთან ერთად შემოიტანეს. კონკურსი შედგება სამი ტურისაგან: პირველ ტურში, რომელიც ზაფხულის განმავლობაში ჩატარდა ბავშვებმა დახატეს ნამუშევრები საშინაო დაგალების მიხედვით; მეორე ტურში 61-მა მონაწილემ მიიღო მონაწილეობა. 29 ოქტომბერს სამების საკათედრო ტაძრის ეზოში მოეწყო ხატვის დღე. ამ დღისთვის სამხატვრო აკადემიამ დროებით, კონკურსანტებისათვის საჭირო ინვენტარი გამოივიყო, ასევე აქტიურ მონაწილეობა მოიღეს აკადემიის სტუდენტებმაც, რომლებიც კონკურსის მონაწილეებს ხატვის პროცესში კონსულტაციას უწევდნენ. მესამე ტურისთვის კვლავ მიმდინარეობს თემების შერჩევა ძელი და ახალი აღთქმიდან, კონკურსის მონაწილეებს ისევ დაურიგდათ თემები.

კონკურსი დასრულდება შობის დღესასწაულის დღებში, ბავშვები წამახალისებელი საჩუქრებითა და სიგელებით დაჯილდოვდებინა.

იმედი გვაქს, კონკურსი წარმატებით დასრულდება და მომდევნო წლებში კიდევ უფრო მეტი ბავშვი მიიღებს მონაწილეობას, რადგან ძალიან მნიშვნელოვანია მომავალ თაობას პერიოდებს თავისი შესაძლებლობების გამოხატვის საშუალება.

თავთა გულგიანი



ლიტერატურული განვითარების დღე

(რჩევები მშობლებს)

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. №2(3)-№3(4)-№4(5)-№6)

გაცანით თქვენს შვილებს ქართველთა ეროვნული ხასიათის უმთავრესი შტრიხები. უთხარით, რომ ჩვენ, ისევე, როგორც სხვა ხალხებს, გვაქვს ადამიანური სისუსტეები. იქნებ სხვებზე არანაკლები ამპარტავნებიცა ვართ და შურიც გვახსიათებს, სხვათა მსგავსად, მაგრამ, ამავდროულად, თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ სხვები არა-სოდეს დაგვიჩარიავს. ჩვენთვის დამახსიათებელი არ ყოფილა დაჭრობითი ომები. ხოლო თუ როგორ ექცეოდა ქართველი კაცი დამარცხებულ მტერს, კარგად ჩას პოემა „თორნიკე ერისთავში“. გავიხსენოთ, როგორ მიმართა ბარდა სკლიაროსზე გამარჯვებულმა თორნიკე თავის ჯარს:

„...გაურჩეველად,
ქართველი იყოს, გინდა სპარსელი,
გინდა ბერძნი, გინდა სომეხი
სულ ერთიანად მოჰყიდეთ ხელი!
სუკვდილი ყველას ათანასწორებს:
თვისიანს, უცხოს, მტერს და მოყვარეს!...
ვეცადოთ ყველა და ნუ დავაკლებთ
დაჭროლებს მოვლას და მკვდრებს სამარეს...
ნურვინ გაბედავს, დატყვევებულებს
რომ მიაყენოს შეურაცხყოფა!
ვაუკაცს რომ ბედი სხვას დაამონებს
დასატანჯავად ისიც ეყოფა!“

ამგვარ ჰუმანურ დამოკიდებულება გვქონდა ბრძოლანაგებული მტრის მიმართ და ამგვარვე კაცითოყვარეობით ვეჭრობოდით ჩვენს მიწა-წყალზე შემოკედლებულ უცხოტომელებს. მარტო ებრაელთა მაგალითი რად ლირს.

ყველასათვის ცნობილია, რომ საქართველო ის ერთადერთი ქვეყანაა, სადაც არასოდეს ყოფილა ანტისემიტიზმი — ებრაელთა დევნა. უფრო მეტიც, ცნობილია ფაქტი, როდესაც ქართველი კაცი ერთადერთი აღმოჩნდა, ვინც 1906 წელს ოდესაში ებრაელთა ხოცვა-ულეტას აღუდგა წინ. ეს იყო საბა კლდიაშვილი — ოდესის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი, ებრაელთა დასაცავად ქუჩაში გამოსული რომ შენირვია

მოყვასის სიყვარულს.

„დაპკარით ებრაელებს და იხსენით რუსეთი“ — ამგვარ პათოსით ცდილობდა თურმე „პატრიოტთა“ ბრძო ქვეყნის გადარჩენას ოდესაში. მაგრამ არა მხოლოდ რეალური ცხოვრება, ხელოვნებაც ანალოგიური სულისკვეთებით ყოფილა გაულენთილი. მოვიტანოთ ამონარდი ებრაელი მწერლის გურამ ბათიაშვილის წერილიდან:

„1901 წლის აპრილი. ქუთაისში საგასტროლოდ ჩამოდის მოსკოვური დასი. ქუთაისმა პატივით მიიღო თეატრი... როცა მეორე მოქმედებაში მაყურებელმა ნახა, რომ სპექტაკლის აზრი არა გაჭირვებულთა, დამცირებულთა, ბედკრულთა დაცვაა, არამედ კიდევ ერთი მოწოდება — „მაგათ დაპკათ და სამშობლო იხსენითო“, სიცილით კი არ მოიქციეს ყბები, ტაში კი არ დაუკრეს, აღსდგნენ ქუთათურები და სპექტაკლი ჩაშალეს და მოედანზე გავიდნენ, დემონსტრაცია მოაწყეს. იმ დღეს პოლიციამ იმ მოედანზე 200 ქუთაისელი დაბატიმრა, 200 კაცომოყვარე, „ვეფხისტყაოსნის“ იდეებზე გაზრდილი 200 ქალი და კაცი დააპატიმრა...“



მეორედ რომ დააპირა თეატრმა იმ პესის თამაში, მეორედაც რომ მოინდომეს სცენიდან დაეძახათ — „ჰკათ ებრაელებს და სამშობლო იხსენითო, ქუთაისელებმა ფარდაც არ გაასნევინეს“ — სპექტაკლი ჩაშალეს.

და კიდევ: ქუთაისში ერთი რუსული დასი ჩამოვიდა. გასტროლები კარგად დაიწყო, ჩინებულად. მესამე საღამოს ანტისემიტური პესა ითამაშეს. ისევ ებრაელებზე იყრიდნენ ჯავრს. სპექტაკლი არავის ჩაუშლია, არც დემონსტრაცია მოუწყვიათ (უკვე სხვა დრო იდგა, რეაქცია თარეშობდა!), დარბაზში ხმაგამენდილები ისხდნენ ნიუარაშები და ლორთქები, აბაშიძეები და წერილები, მიქელაქები და აგიაშვილები, პარშეკუმული ისხდნენ და უსმენდნენ იმას, რასაც

თვითონ არასოდეს იტყოდნენ. უხმოდ დაიშალნენ, მაგრამ...

მეორე დღეს თეატრს ეწვია ქალაქის დეპუტაცია და გასტროლიორებს განუცხადა: ქუთასიში სხვა ერებს არასოდეს ამცირებენ, ამიტომ გთხოვთ ქალაქი დასტოვოთო“...

წერილის ავტორი მიმართავს მკითხველს: „ახლა მე თქვენ დამისახელეთ მეორე ისეთი ქვეყანა, რომელშიც ასეთი რამ მომხდარა!“ თუმცა ბატონმა გურამმა წინასწარიცის ამ მიმართვის პასუხი.

ქართულ სტუმართ-მოყვარეობაზე მსჯელობისას, რა თქმა უნდა, დიდი ვაჟას, ყველა-სათვის კარგად ნაცნობ, „**სტუმარ-მასინძელსაც**“ შეეხებით. იმედია, ბავშვებს არ გაუჭირდებათ პოემის პერსონაჟებზე სათანადო აზრის გამოთქმა. აქვე გაიხსენეთ, როგორი მამა-შვილობა გაუწია ტყვეობიდან თავ-დალნეულ, უცხო მხარეში მოხვედრილ დავით გურამიშვილს კაზაკმა მასპინძელმა:

„როგორც, რომ ერთმა კაზაკმა მე მაშინ მომიარაო, როცა, რომ მყვანდა მივლიდა მეტს მამარემი არაო.“

დღევანდელობასაც შეეხეთ და უთხარით, რომ მრავალმა აფხაზმა და ოსმა უმეგობრა ქართველებს, დაიცვა და შეიფარა ისინი, ისევე როგორც, ქართველებმა შეიფარეს ოსები და აფხაზები.

აჩვენეთ „ვეფხისა და მოყმის“ ძეგლი და გაახსენეთ ამ ბალადის შინაარსი. მსგავსი ქანდაკება ხომ სანთლით საძებარია სხვაგან. ქართველმა კაცმა ძეგლი დაუდგა ხალხური პოეზიის ნიმუშს, რომელშიც დედის იდეალი სცილდება ჩვეულებრივი კაცთმოყვარეობის ზღვარს და ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობას იძენს. პოემის მიხედვით, თვით დიდი

პირადი უბედურების უამსაც კი, შვილმკვდარ, ტკივილიან დედას შეუძლია სხვა ტკივილიანი დედის გვერდით დგომა, მისთვის თანაგრძნობის გამოხატვა.

აუქსენით შვილებს, რომ ამგვარი ზნეკეთილობით გამოირჩეოდა ჩვენი აზროვნება, ასე უცხოვრობდით, ვუმკლავდებოდით ათასგარ მომხდურს და ასე მოვედით დღემდე. უთხარით, რომ დღესაც არ შეცვლილა ქართველი დედების ეს დამოკიდებულება.

თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, არც იარაღით სამშობლოს დაცვა ყოფილა მათ-თვის უცხო. წაიკითხეთ ლადო ასათიანის ლექსი „საქართველო იყო მათი საოცნებო სახელი“:

„ძველად თურმე, როცა მტრების უთვალავი ჯარები მოდიოდნენ, რომ გაეღოთ საქართველოს კარები, მამაკაცებს გვერდით ჰყავდათ, ვით ფოლადის ხარები და მტრებს მათთან ერთად სცემდნენ საქართველოს ქალები“...

ეროვნულ თვისებებზე მსჯელობისას გაიხსენეთ „ვეფხისტყაოსანი“, რომელშიც კარგად ჩანს რანი ვიყავით, რა ფასეულობები იყო ჩვენთვის პრიორიტეტული: „სჯობს სახელისა მოხვეჭა, ყოველსა მოსახვეჭელსა“; „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“; „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვან“; „რასაცა გასცემ შენია, რაც არა, დაკარგულია!“; „მით ვისწავლებით, მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა მწყობრისა“ (ეი ცოდნა იმიტომ გვინდა, რომ ზეცას, უფალს დავუახლოვდეთო)... — ამგვარი იყო ჩვენი სულიერ საზრდო, ჩვენი აზროვება.

ისაუბრეთ, თუ როგორ აწრთობდა და აყალიბებდა ერთს საუკეთესო თვისებებს ქართული ეკლესია, საერო ხელისუფლებასთან ერთად. როგორ ზრუნავდნენ ჩვენი მეფე-დედოფლები თავის ხალხის მატერიალურსა და ზნეობრივ-სულიერ მხარეზე.

გააცანით დავით ალმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“, რომელშიც მეფე-პატრონი საოცარი თავმდაბლობით გვიჩვენებს ადამიანის სულიერ სამყაროზე





ზრუნვის მაგალითს.

გააცანით არჩილ მეფის „საქართველოს ზნეობანი“, სადაც იგი ამბობს: „საქართველოში იტყვიან სამასამოცდახუთ-საო ზნეობას“.

ჰკითხეთ ბავშვებს, რას უნდა მიანიშნებ-დეს ეს როცხვი? რამდენ დღეს წელიწადში? წმინდა გიორგის რამდენ სალოცავი ყოფილა უწინ საქართველოში?

ერთად გააკეთეთ დასკვნა: ქართველს იმდენ ზნე პქნია, წმინდა გიორგის რამდენ სალო-ცავიც ყოფილა საქართველოში. მაშასადამე, თავისი სათაყვანებელი წმინდანის ცხოვრებაზე, მის პიროვნებაზე ყოფილა სწორება. ეს რიცხვი იმასაც გულისხმობს, რომ წელიწა-დის ყველა 365 დღე, ყოველი საათი და წუთი ლირსეული უნდა ყოფილიყო.

მეფე არჩილი ჩამოთვლის იმდროინდელ საქართველოში არსებულ, საკმაოდ მრავალ-ფეროვან პროფესიასა თუ ხელობას და მიგ-ვანიშნებს საარსებო საშუალებათა საკუთარი შრომით მოპოვების ზნეობრივ მხარეზე. რაოდენ სჭირდება დღეს ქართველ კაცს ამგვარი აზროვნება; დღეს, როდესაც ამ პროფესიათა დიდი ნაწილი მივიწყებულია და ჩვენს მარ-ჩენალ მიწასაც მოაკლდა გამრჯე ხელი; როდესაც საარსებო საშუალებათა საძიებლად საზღვარგარეთ გარდის ან მათხოვრად... ქცეულა ქართველი კაცი.

ასე ზრუნავდნენ ჩვენი მეფეები თავისი ხალხის არამარტო მატერიალურ, არამედ ზნეობრივ სიმაღლეზეც.

ხალხზე ზრუნვის საპასუხოდ ჩვენი მეფეები მათგან დიდ სიყვარულს იმსახურებდნენ. ამის დასტურია ის, რომ ქართველ ხალხს

ხელი არასოდეს აღუმართავს საკუთარ მე-ფის წინააღმდეგ. საპირისპირო შემთხვევები კი მრავალია ჩვენს ისტორიაში, როდესაც ქართველი კაცი მეფეს ენაცვლებოდა და მის მაგიერ იღებდა სიკვდილს.

უთხართ ისკუ, რომ არამარტო ქართველები, ჩვენს მიწა-წყალზე ცხოვრები სხვა ერთ შვილებიც ერთგულად ემსახურებოდნენ ჩვენს სამშობლოს. ერთად გაიხსენეთ დავითის, თამარის, ერეკლეს მეფობისდროინდელი... არაქართველთა თავდადების მაგალითები.

ჩამოათვლევინეთ საქართველოს წმინდა მეფე-დედოფალთა სახელები. პარალელი გაავლეთ სხვა ქვეყნების მეფე-დედოფალთა ცხოვრებასთან.

ისაუბრეთ, რა მანკიერებან გაჩნდა ჩვენში ცარისტული რუსეთის მიერ საქართველოში მეფობისა და ეკლესის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ; იმსჯელეთ პატრიონ-ყმური ურთიერთობების ბატონ-ყმურით შეცვლაზე, ხელქვეითის მიმართ მზრუნველობის ნაცვლად მისადმი უსულგულო დამოკიდებულების გაჩენაზე. გაიხსენეთ ამ მოვლენის ამსახველი ილიას „გლახის ნაამბობი“, დათიკოსა და გლახის ურთიერთობა.

ისაუბრეთ ჩვენში არსებულ სხვა მანკიერებებზე დასვით კითხვა — რა უნდა გაკეთდეს, რომ კვლავ აემაღლდეთ ზნეობრივად და სულიერად? რამდენად დაგვეხმარება ამ ნაკლებანებათა აღმოფხვრაში სახარებისეული სიბრძნე, სახარებისეული აზროვნება?

(გაგრძელება იქნება)
„ილია ზავალაშვილის სახელობის
აედაგოგთა კავშირი“

აძნონარიფი უწმიდესის ეპისტოლები



მოვეწოდებ ჩვენს ახალგამრდებს ანალიტიკური, ფილოსოფიური, ღრმა აზროვნებისაკენ. „საერთოდ ფილოსოფია ისტრაფვის სამოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე შეარიცოს გონება, გრძნობა და ხებელობა, ზნეობრივი მსოფლმხედველობის კრიტიკულმების გამომუშავების მიზნით“ (ნ. გროგი), ეს კი შობს ახალ იდეებს, რომელთაც ჩვენთვის უცნობ კითხვებამდე მივყავართ. ღრმა ანალიტისა და ძიების სურვილი კი ღმერთის შეცნობის დიდ შესაძლებლობას იძლევა. მაშ, „ეძიებდეთ და ჰპოვოთ, ორეგდით და განვეღლოთ თქვენ“. (მთ. 7,7).

თუ გვხერის ძლიერი სახელმწიფო შევქმნათ, მეტად მარგივი, მაგრამ ღრმა შინაარსის შემცველი მაცხოვრის ეს რჩება უნდა გავითვალისწინოთ: „ეძიებდით სასულეულოსა ღმრთისასა და ესე ყოველი შეგვიძინოთ“. (მთ. 6. 33). ე. უმთავრესია ღმერთთან მიმართებაში სწორი ორიენტაცია ჰქონდეს ხელისუფლებას, ხალხს, ცალკეულ ადამიანს და ყოველივე დანარჩენი, მათ შორის მაგერიალური კეთილდღეობაც, მიეცმა მათ.

2004 ქრისტეს შობიდან



ც რ უ ლ ი გ ე ნ ე ბ ი ს

ჩვენი ცხოვრების უმრავნელოვანებს ნაწილს გააზრებულად თუ გაუაზრებლად ვატარებთ ცრულწმენებით, და ამაზე თითქოს ნაფიქროც არ გვაქვს, არსებობს კ. ნ. „საზოგადოებაში დამკვიდრებული“ და პირადად „დაცდილი“ რისიმე რწმენა.

ყველაზე ხშირად ვიყრნებთ ამ ფრაზას: „**რაც გინერა, არ აგცდება**“, თითქოს ყველაფერი წინასწარ გაქვს განსაზღვრული „ბედისწერთ“. წმინდა იოანე ოქროპირი ამბობს: „თუკი აუცილებელია მოზდეს ბედისაგან გამსაზღვრული მაშინაც როდესაც ბეჯითად ვმუშაობთ და მაშინაც როდესაც გვიჩინავს, — ნუ შეაბაძს ულელში სარებს მიწათმოქმედი, ნუ გამოიტანს სახისს, ნუ გაჭრის კვალს, ნუ დასთესს, ნუ ელის წლის ხელსაყრელ დროს, ნუ იტანს სტიკეს, სანგრძლოვ წვიმსა, უბედურებებს და შრომას მთელი წლის მანძილზე, ნუ ლესას ნამგალს და ნუ მკის დათესილ პურს, ნუ ლენს თავთავს, ნუ რგას და ნუ ელის მცენარეებს, — მოიცილოს მიწათმოქმედის ყველა ზრუნვა, დაჯდეს სახლში და იძინოს: თუკი ყველაფერი ბედისაგან უჯრელად აქვს დანიშნული, სკვეთე თავისით მიუვასახლში... რატომ არ გადაწყვეტით ასე მოქცევას, თუკი მართლაც გჯროთ ბედისწერისა?..

როდემდე ვიქენებით გონებით ბავშვები? როდემდე არ შევწყვეტით უქმ ლაპარაკი? თუკი ცუდს და კარგს ბედისწერა აყალიბებს, რატომ არიგებ და აძლევ რჩევებს ბავშვი? თუკი ბედისწერა აქცევს კაცს დარბად და მდიდრად, ნუ გზავნი შვილს სასწავლებლად, ნუ აძლევ ფულს, ნუ ცდილობ გამდიდრდე და საქმე ბედს მიანდე. მაგრამ ამას ვერ ბედავ: ხედავ, არ უჯრებ მას პატარა საქმეში, დიდმი კი ეყრდნობი...

ბედისწერა რომ არსებობდეს არავინ იქნება კარგი და ცუდი. აბა, რისთვის ვაქებთ ვინმეს სკვეთისათვის? რისთვის ვამებთ? ეს ხომ მის სათნოება არაა, არამედ ბედისწერის. რისთვის ვაკცხავთ? რისთვის ვწყევლით? ცოდვა ხომ მისაგან არ მოდის, არამედ ბედისაგან, რომელმაც უბიძგა მას. ადამიანი, რომელიც საკუთარი სურვილით არ აკეთებს რამეს, არამედ ბედისგანაა იძულებული, არც კარგია და არც ცუდი. ხედავ, რა უაზრობამდე მიგვიყვნა ბედისწერაზე ლაპარაკი? არავინაა ღვთისმოსავი, არავინ — გარყევნილი, არავინ — ანგარებისმოყვარე, არავინ — სამართლიანი. სათნოებაც და ნაკლიც გაუქმებულია, ტყულად ვართ მოსულები აწინდელ ცხოვრებაში, უკეთ რომ ვთქვთ: არა ტყულად, არამედ საუბედუროდ“.

ასევე ხშირად „ვიწმენ უნდა იმავე რამდენიმეს“: **დაცემინება — დასტურის წმანა**,

დილით მახინჯი ადამიანის შეხვედრა, თვალის ციმციმი, ყავის ჩხავილი — უბედურების წმანა... წმიდა ბასილი დილი ბრძანებს: „ბეჭრ ქრისტიან წმინდას განმარტება ზანის მომტან საქმედ არ მიაჩინა. თუკი ვინმე საუბრისას დააცემინებს, იტყვიან: ამასაც მიწმენელობა აქვსო. თუკი ვიდაც ზურგიდან სახელით მოგიხმობს, გადასასვლელში თუ ფეხი დაგასრინალდა, ანდა ტანაცმელით რაიმეს წამოედები — ეს ყოველივე თითქოს იმის წმანა, რომ საქმე, რომლის გაკეთებსაც აპირებდი, არ უნდა გააკეთო. ზოგჯერ მორწმუნე ადამიანებიც კი ასეთ ცრულწმენებს მისდევენ და ამ დამლუპველ ვნებაში იძირებიან. მაგრამ იცოდე: უარყოფილია ღვთისაგან ამ უსჯულოების მიმდევრი ერთი“.

წმიდა იოანე ოქროპირი ბრძანებს: „ვინც, სახლიდან გამოსული, კოჭლსა და მახინჯს შეხვდება და ამას წმანად მიიჩნევს, იგი სატონურ საქმეს სჩადის, რადგან დღეს უბედურებად აქცევს არა ადამიანთან შეხვედრა, არამედ ცოდვილი ცხოვრება“.

„ორშაბათი მძიმე დღეა“ — ასეთ რამესაც გაიგონებთ. მართლაც, თუ შაბათ-კვირას უზომოდ გადავყვებით დროსტარებას და სამსახურში დაბრუნებულს გვიჩირს მუშაობა, ის მართლაც მძიმე იქნება. ამბობნ, რომ ორშაბათს არ შეიძლება დაიწყო ახალი საქმე, რადგან წარმატებას ვერ მიაღწევ; დაუშვებელია სადმე გამგზავრება, ან ფულის გაცემა... ორშაბათი — ჩვეულებრივი დღეა, როგორც კვირის სხვა დღეები და, თანაც, ამ დღეს უსხეულო ძალათა, ანგელოზთა სსენების დღეა. მაშასადამე, ორშაბათისადმი გაუცნობიერებელი შიში არათუ გაუმართლებელია, იგი შეურაცხმყოფელია უფლისათვის, რამეთუ ყოველი დღე ცურთხეულია უფლის მიერ, ყოველი დღე მადლობისილია უფლის ქმილებისათვის, არცერთ დღეს მოუკლია მას კაცთათვის თავისი წყლობა (დაბ. 1, 31).

„არცონდა — არცოდვაა“ — ეს უფრო თავის გამართლებაა და არცაა გამართლება. თუკი ბანქეს რამდენიმენაირი თამაში იცი, კომიუტერულ პროგრამებს ფლობ და იცი, რომელ ფილმში რომელი მსახიობი თამაშობს, იქნებ ისიც გაარკვიო, რა არის მადლი და ცოდვა, როგორ ვუმურნალოთ სულიერ დაავადებებს, როგორი უნდა იყოს ნამდვილი ქრისტიანი, როგორ უნდა ვიცხოვოთ და განვასვავოთ ნამდვილი რწმენა ცრუსაგან.

„როცა დედა წყევლის, მის ძუძუები



ჩვენს სამართლებულების კულტურული მდგრადი მოწვევის დღე



ლოცვანი — მშობლებს, განსაკუთრებით დედებს, მუდამ უნდა ახსოვდეთ, რომ, როგორც გულმზურვალე ლოცვით შეუძლიათ შვილებისათვის ღვთისაგან უსაზღვრო მადლი მიიღონ, ასევე გაღიზიანებული ნათქვამით, წყევლით, რსხვით შეიძლება შვილებს უბედურება დაატეხონ თაქს.

„თარის რიცხვი 13“ — რიცხვი 13 სრულიად ჩვეულებრივი რიცხვია. საერთოდ, ნებისმიერი საგნისა და მოვლენისათვის მისტიური მნიშვნელობის მინიჭება და შიშის გამომზევა აბიექტად ქცევა, მათ კერძად გადაქცევას იწვევს. ასეთი საგნებისა და მოვლენების უკან ბოროტი სული დგება (არა თავისთავად, არამედ იმათვის, რომელთაც მათ მიმართ ამგვარი განცდა აქვთ). ამიტომ მათი და მათ შორის რიცხვი 13-ის მოშიში, ნებით თუ უნებლიერ 13-ის გამკერძებელი, ანუ ეშმაკის მოშიში და თაყვანისმცემელი ხდება.

ქრისტიანი, რომელიც ღვთის მონა და მეგობარია, სხვას არავის ემონება და ყოველგვარი ცრულნიშნებისა და პირობითობებისაგან თავისუფალია.

„ბედნიერების“ მოტანი წერილები.

ადრე ისინი ჩვეულებრივი ფოსტითა და ხელნაწერი სახით ქრისტიანული, დღეს კი ელექტრონული სახით. თითქოსდა, გარეცელების შემთხვევაში (უნდა გაუგზავნონ 20 ადამიანს უახლოეს 1 საათში ან სხვა მნგავსი პირობები) ბედნიერებას მოუტანენ ადამიანს. ვფიქრობთ, ზემოთმოყვანილი მსჯელობის შემდეგ ზედმეტია განმვარტოთ, რატომ არის ასეთი „ბედნიერების“ მოტანი წერილებისადმი რწმენა.

უგუნურება.

თითქოს არ შეიძლება მაისში ჯვრისნერა, ვარდი ყვავილობსო... ეს აზრი არამართებულია და საერთოდ არ შეიძლება არგუმენტად იქნას მიჩნეული, პირიქთ ამ თვეს ნაკლებად უწევს მარხვის დღეები და თავისუფლად შეიძლება დაქორწინებაც.

„დღეს პირველი აპრილია, მოტყუება ადვილია“ — უფლის ბრწყინვალე აღდგომა ყველაზე ხშირად პირილის თვეში აღინიშნება და არსებობს მოსაზრება, რომ უფალი ჩვენი იესო ქრისტე სწორედ პირველ პირილს აღდგა მკვდრეთით. ისიც ყველაზე კარგად ვიცით, თუ როგორი ტყუილი მოიგონეს მაშინ უფლის ჯვარმცმელმა და უარმყოფელმა ფარისევლებმა — „იესო ნაზარეველის სხეული ღამით ფარულად მოიპარეს მისმა მოწა-

ფებმა და ახლა გაიძახიან მკვდრეთით აღდგაონ! — აი, სწორედ ამ ყოვლადმკრეხელურმა სიცრუემ დაუდო დასაბამი საპირველაპროლო ტყუილებს, რადგან ვინც ეს მოიგონა და დაამკვიდრა, მისთვის ქრისტეს აღდგომაც ტყუილია, ღმერთის ამქვეყნად ხორციელი შობაც და მისი ყოვლადშესხელი საყოველთაო მსახურებაც!

ჩვილის დაცვა ე.ნ. თილისმებით —

წმიდა იოანე ოქროპირი კორნონელთა მიმართ პირველ საუბარში ამხელს თილისმების ტარებასა და ცრულნების ნაკარნახევ მოქმედებებს. იგი ამბობს: „თავიანთი ჩვილის დასაცავად ყოველგვარი საფრთხისაგან მშობლები მრავალ სასაცილო, სმბოლურ თილისმას იყენებენ (ჩვენს დროში კი, მოგეხსენებათ, ბავშვებს ავი თვალისაგან დასაცავად ხელზე მძიეს აპამენ, რომელზეც თვალია გამოსახული)... ყოველივე ეს, მათ უდიდეს უგუნურებაზე მეტყველებს, რადგან სხვა არაფერი ქაჭირობა ჩვილს მაცხოვნებელი ჯვრის გარდა. მიუხედავად ამისა, ჯვარი, რომელმაც მოაქცია მთელი სამყარო, სძლია ეშმას და დათრგუნა მისი ძალი, — უგუნურებელყოფილია, ხოლო ქსოვილს, ნარის თუ სხვა მსგავს ნივთებს ანდობენ ჩვილის უსაფრთხოებას.

ნუთუ არ გრცხვენათ? მითხარით: შეიგნებთ კი ოდესმე, რომ სატანა ყოველ ადამიანს ბავშობის ასაკიდან უგებს მახეს და ამისთვის ყოველგვარ ხრის მიმართავს? ჩვილების დასაცავად, დემონთა ცდუნებით ნაკარნახევ თქვენს ამგვარ ქმედებას, გეჭერიაში შთაჰყავხართ! თუკი ჩვილებს ასე წარმართები იცავენ, ამაში არაფერია გასაკვირო, მაგრამ, როდესაც ამას ჯვრის თაყვანისმცემელი და მაზარებელი აკეთბენ, რომელებმაც ცნეს ღვთაებრივი სიბრძნე და ჭეშმარტება, — ეს მწარედ საჭირალია“.

უსაფუძვლოა ასევე, ზოგიერთის რწმენა, რომ ნათლია ბავშვის რამეს დაანათლავს (ჭკუას, ფულს და ა.შ.).

ასევე არასწორია, თითქოს რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს რამდენ სანთელს აანთებ (კენტს თუ ლუნს), როდის ჩააქრობ, იქ დატოვებ თუ სახლში წაიღებ, როგორ ჩააქრობ (სულის შებერვით, თუ ხელით); თითქოს რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს ადგილს ეკლესიაში. ბეჭრი ადამიანი იმდრნად ეჩვევა ტაძარში გარკვეულ ადგილს დგომის, რომ ქრისტიანისათვის შეუცერებლად გამოხატავს გულისწრომას, თუ ვინმე მისი „ტერიტორია“ დაიკავა.





ბებლი ცელთან დაბაზირებული შრომის განვითარები

ახალი წლის მოსკოვის თორეულ ჩვენგანს ახალი იმედებით და სურვილებით გვაცებს, ყველა ოჯახში იშლება სუფრა, ეპატიურიან ერთმანეთს, მოილენენ, კეთილ სურვილებს გამოიქვემდნ და ა.შ. მაგრამ ახალ წლს შევრისეთ საქმესაც ვაკეთებთ, რომელიც ცრურმენასთანაა დაკავშირებული. მათგან ზოგი გააზრებული გვაძეს და ზოგსაც გაუაზრებლად მივდევთ.

დღეს, ძალიან დიდი მნიშვნელობა ენტება და თითქოს „საჭიროება“ ვიცოდეთ, რისი წელინადი მოდის: ღორის, მამუნის, ხარის თუ სხვა ცხოველის. ამ მოსაზრებას საფუძლად უდევს ჩინური კალენდარი. გარეულებულია აზრი — რის წელინადიც მოდის, ახალ წელსაც შესაბამისად უნდა შევცდეთ, მაგ: ტანის (იგივე ღორის) წელს სუფრაზე მისი პატარა სათამაშო დევს. ასევე იმასაც დადებნ, რაც შესაბამის ცხოველს უყვარს, თითქოს უნდა ასამოვნო. იქმდეც კი მივდივართ, რომ რეალური ცხოველების გარდა, მითიური და ზღაპრული პერსონაჟების

წლებსაც „აღწოუცხავთ“, მაგ: დრაკონის წელინადი. ეს ყველაფერი არარეალური და ცრურმენა, არავის შეუძლია წნიანიარ მომავლის განსაზღვრა, მითურებეს ცხოველს.

ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია, ვინგვეულება ამ დღეს „მეკვლედ“, როგორი „ფეხი“ ექნება მას და ა.შ. მაგრამ თუ მეკვლეობა ისეთ ხარისხში იქნება აყვანილი, რომ ადამიანი მეკვლეზე დაამყარებს სასოებას, ჩათვლის, რომ მთელი წლის მანძილზე მისი „ფეხის“ მიხედვით წარმართება ოჯახის ცხოვრება. ამგვარი წარმოდგენთ ადამიანი მიიჩნევს, რომ ბედისწერის გავლენის ქვეშაა. ეკლესია კი გვასწავლის, რომ ბედისწერა არ არსებობს, ადამიანი თავის ყოველდღიური ცხოვრებით ქმნის თავის ბედს და ყოველ დღეს წლის მანძილზე თავის სის ხელით ქსოვს. „ბედისწერა“ მის ყოველდ-


ღიურ საქმიანობაზეა დამოკიდებული და არა ახალი წლის ღამეს მოსულ პიროვნებაზე — მეკვლეზე. უმჯობესა, თუ იგი იქნება ოჯახში უბრალოდ სიხარულის შემომტანი, ოჯახის დამლოცველი.

ისეთი ცრურმენაც კი არსებობს, რომ ახალი წლის წინ ყველა განათხოვებული წვთი უნდა დაიბრუნო, რადგან მთელი წლის მანძილზე ყველაფერი კარგად წარმართოს და ოჯახი სახეს იყოს.

ასევე ახალი წლის მეორე დღესთნაა დაკავშირებული ე. წ. „ბედობა“, თითქოს ამ დღეს როგორც შეხვდები ისე გაატარებ მთელ წელს. არანაკლები ცოდვაა, როცა ამ დღეს ახალგაზრდები თავის მომავალ „საბედოზე“ მცითხავით და ათას წარმართულ როტუალს ასრულებენ. წმინდა და იოანე ოქროპირი გვარებს: „თუუკი შენ გსურს, ამ წლის პირველი დღიდანაც სარგებლობა მიიღო, მაშინ ასე მოიქცი: როდესაც წლის ბოლოს მანევრ, მადლობა შესწირე უფალს, რომ მიგანია წელინადების ამგვარ წრებრუნვას,

გულის შემუსკოლებით, გამოთვალე წლები შენი სიცოცხლისა, საკუთარ თავს უთხარი: დღეები მიიფრინავნ, წლები ილევა... რა სიკეთე გვაძეს გაკუთებული?.. ქრეთ სიბრძნისმეტყველებდე თვეთა დასაწყისში, ამას მოიგონებდე წელინადთა წრებრუნვაში... დღეებს ყურადღებას აქცევდე, ქრისტიანულ სიბრძნეს არ შეეცერება, წარმართული ცდომილებისათვის არის დამახასიათებელი...

მართლაც, ქრისტიანისათვის საკვირველი და მიუტევებელია, განსაკუთრებულ კეთილდღეობას ელოდოს მთელი წლის განმავლობაში იმისდა მიხედვით, თუ როგორ შეხვდება ახალ წელს. ეკლესიის სწავლებით ხომ ჭეშმარიტი ბედნიერება და კეთილდღეობა დროთა ბრუნვაზე კი არაა დამოკიდებული, არამედ ღვთის ნებასა და ჩვენი საქმიანობის ხასიათზე.





ყოველი წლის 14 თებერვალს, ზემით აღნიშნება „ვალენტინის“ „დღესასწაული“. ერთი შეხედვით, ეს უწყინარი დღესასწაულია.

ევროპაში ვრცელდება ლეგენდა, თითქოს, III-VI საუკუნეები იყო ვინები მღვდელი ვალენტინი, რომელიც ახალგაზრდა შეუვარებულებს ჩუმად წერდა ჯვარს და „მფარველობდა“, რადგან წარმართმა მეფებმ თავის ჯარისკაცებს აუკრძალა ცოლის მოყვანა, მას მიაჩინდა რომ ქორწინებაში მყოფი ჯარისკაცები ისე კარგად ვერ იბრძოლებდნენ, როგორც უქორწინებლები. ამ ჯარისკაცებს „მხსნელად“ „მოვლინა“ ვალენტინი.

სინამდვილეში აღმოჩნდა, რომ, მღვდელი ვალენტინი, მისი ამგვარ ცხოვრებით არც მართლმადიდებლურ კალენდარშია მოხსენიებული და არც კათოლიკურში. გაირკვა ისიც, რომ იმ პერიოდში ჯვრისწერა, როგორც რიტუალი საერთოდ არ არსებობდა. მაშინ, საიდან ვგებულობთ მისი ცხოვრების, საქმი-

ანობის და საერთოდ მისი არსებობის შესახებ? კომერციული საქმიანობისთვის ხომ არ არის ეს გამოგონილი? თითქოს ამ დღეს შეს გულისხმორს უნდა „აუხსნა სიყვარული“, დაპატიჟო სადმე,

უყიდო საჩუქარი და ა.შ. მაგრამ რატომ „ვალენტინობას“? ნუთუ საყვარელ ადამიანს ყურადღება ყოველ დღე ყოველთვის არ სჭირდება? ნუთუ ყოველი დღე ჭეშმარიტი სიყვარულისთვის არ არის? ნუთუ დვთისა და

მოყვასის სიყვარულს მთელი ცხოვრება არ უნდა ვცდილობდეთ? და მაშინ რატომა და რა საჭიროა გაუაზრებლად დავივეროთ და თავი მოვიტყუოთ?


ვალენტინობის მეორე დღეს არის ერთ-ერთი შეღაზე დიდი ქრისტიანული დღესასწაული — მირქმა, ძველი აღთქმის შეხვედრა ახალ აღთქ-

მასთან, ყრმა მაცხოვის მისვლა ტაძარში და უხუცეს სიმეონის მიერ (იგი 300-ზე მეტი წლის იყო და დვთის აღთქმით, მანამ არ გარდაიცვლებოდა სანამ თავისი თვალით არ იხილავდა მაცხოვარს) მისი მირქმა. სამწეაროა, რომ ახალგაზრდების გარკვეული ნაწილი ამ დღესასწაულის განცდას და დვთის მადლს მოკლებულია.

ცრურწმენებსა და
ცრუ-დღესასწაულებზე
მასალები მოამზადა
თორნიკე კვინიკაძე



V მსოფლიო საეკლესიო კრება



ყველა სხვა კრებისგან განსხვავდით, ამ კრებაზე წამყვან საკითხად ახალი ერესის საკითხი არ განხილულა. მეხუთე მსოფლიო საეკლესიო კრება თავისი საქმიანობით მესამე და მეოთხე მსოფლიო საეკლესიო კრებებთანაა დაკავშირებული, რადგან იგი მონოფიზიტობისა და ნაწილობრივ ნესტორიანელების საკითხს არკვევდა. მიუხედავად იმისა, რომ ქალკედონის კრებაზე მონოფიზიტობა დაგმეს, ეს მწვალებლური სწავლება ბიზანტიის იმპერიის გარკვეულ პირვინციებში (ეგვიპტე, პალესტინა, სირია) კვლავ მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდა.

527 წელს ბიზანტიის იმპერატორი იუსტინიანე დიდი (527-565) გახდა. იგი შეეცადა იმპერიის სულიერ დამშვიდებას (მართლმადიდებელთა და მონოფიზიტთა შერჩებას) მონოფიზიტებმა სპეციულაცია დაიწყეს და მოითხოვეს თეოდორე მოპსუესტელის, თეოდორიტე კვირელისა და ივა ედესელის სწავლების დაგმობა. ეს მოღვაწეობა უკვე გარდაცვლილი იყვნენ. ერთიანობის აღდგენა და საკითხთა გადაჭრა, საეკლესიო კრების მოწვევის გარეშე, შეუძლებელი იყო. მართლაც, 553 წლის გაზაფხულზე, იმპერატორმა იუსტინიანემ კრება მოიწვია.

კრება 5 მაისს დაიწყო და 2 ივნისს დასრულდა. სულ 8 სხდომა გაიმართა. მას ევტიქი კონსტანტინეპოლელი თავმჯდომარეობდა. მონაწილეობდნენ დომნე ანტიოქეილი, თეოდორე აკიდა, ეკსტათი იერუსალიმელი, სულ — 165 მღვდელმთავარი. ამ დროისთვის რომის პაპი ვიგილიუსი კონსტანტინოპოლში იმყოფებოდა, მაგრამ იგი დასავლელ ეპისკოპოსთა შიშით კრებაზე არ გამოცხადდა და კრების მონაწილეებს შეუთვალა, რომ მათ გადაწყვეტილებებს შემდგომ დაეთანხმებოდა.

თავდაპირველად კრებამ თეოდორე მოპსუესტელის (350-428) სწავლება განიხილა. იგი ამბობდა, რომ მარიამმა შვა არა ღმერთი, არამედ ადამიანი, რომ ქრისტე არაფრით განსხვავდებოდა სხვა ადამიანებ-

ისგან და, მათ მსგავსად, მასაც ჰქონდა ვნებები და გულისთქმანი. ასევე ეროდებოდა „ლვთისმშობელი“ ეწოდებინა მარიამისთვის. ეს აზრები მწვალებლობად იქნა მიჩნეული, რის გამოც თეოდორე მოასუსტელი შეაჩვენეს.

ასევე წაიკითხეს თეოდორიტე კვირელის რამდენიმე თხზულება და ივა ედესელის ეპისტოლე მარიუს სპარსელისადმი, რომლებიც კრებამ დაგმო, თუმცა მისი ავტორები არ შეუჩვენებიათ — თეოდირიტე იმის გამო, რომ მან თვითონ დაგმო ნესტორი და მისი სწავლება, ხოლო ივა ედესელის ეპისტოლე ნესტორიანელების მიერ იყო დამაზრებული.

ამ კრებაზე ასევე დაიგმო ორიგენეს (185-251 წ.წ.) სწავლება. მან შექმნა უამრავი საღვთისმეტყველო ნაშრომი. დააახლოვა ანტიკური აზროვნება ქრისტიანულ სწავლებას. საფუძველი ჩაუყარა ეგზეგეტიკას. წერდა დოგმატურ, აპოლოგეტურ და დიდაქტიკურ ნაშრომებს. მან დიდი გავლენა მოახდინა შემდგომი დროის საეკლესიო მამებზე.

კრებამ დაგმო ორიგენეს სწავლება სულთა წინასწარ არსებობის შესახებ (იგი ამბობდა, ადამიანთა სულები ხილულ სამყაროზე უწინ შეიქმნაო), დაიგმო ასევე აზრი, რომ ციური სხეულები სულიერ არსებებს წარმოადგენენ. გარდა ამისა ორიგენეს ნააზრევში არა გამოკვეთილი სამების პირთა თანასწორობა, მათ შორის ერთგვარი სუბორდინაცია შეინიშნება, რომელიც არიანული სწავლების საფუძველი აღმოჩნდა. დღემდე დავის საგანა მისი ხოტეროლოგიური შეხედულებანი კერძოდ, მისი აზრით, მეორედ მოსვლისას მოხდება საყოველთაო ხსნა. ე.ი.





ცხონდება ჯოჯოხეთში მყოფი სულებიც. რაც ქრისტიანული მოძღვებისათვის მიუღებელია. ორგენეს ზემოთ აღნიშნული ნააზრევი კერ კონსტანტინოპოლის ადგილობრივი კრებამ დაგმო 543 წელს, ხოლო V საეკლესიო კრებამ მიიღო და განაჩინა ამ კრების დადგენილება. კრების დადგენილებებს პაპმა

ვიგილიუსმა ხელი მოაწერა, მაგრამ დასავლეთის ეკლესია არ აღიარებდა ამ კრებას, ვიდრე არ აღიარა რომის პაპმა გრიგოლი დიდმა VI საუკუნის ბოლოს.

მოამზადა
როლანდ სანდერაშვილება



ამონარიფები უნიფერსის ეპისფოლეფან



საერთოდ, მას შემდეგ, რაც ეშმაკმა ბრძოლა დაუწყო კაცთა მოდგმას, იფი ცდილობს, ჩვენთვის ყველაზე ამაღლებული ღირებულებების - სიყვარულის, თავისუფლების, ჰემიარიტების, მშვიდობის, განათლების... აღმნიშვნელი სიტყვების შინაარსობრივი დაგვირთვა შეცვალოს და ისინი სრულიად საწინააღმდეგო შინაარსის შემსყიდვული ცნებებად წარმოადგინოს, რათა ამით ადამიანებს ცოდნის ჩადება გაუაღვილოს.

ქრისტიანული ღირებულებები კი ყველაზე სრულყოფილი სახით მართლმადიდებლურ ეკლესიაშია დაცული, რადგან იფი ინახავს სამოციქულო ეკლესის სწავლებას. მისი უნივერსალურობა ვლინდება იმაში, რომ მართლმადიდებელ ეკლესის საეკუნეთა მანძილზე უცალებელი მრწამისა და სწავლება აქვს, რომელიც ეფუძნება წმ. წერილს, საღვთო გადმოცემას, მსოფლიო და ადგილობრივი საეკლესიო კრებების დადგნილებებს და წმიდა მამათა მოძღვრებას. ეს მის საყოველთაობას და უცდომელობას განაპირობებს.

2005 წ. ქრისტეს შობიდან



მეგად მნიშვნელოვანია ქვეყნის მთლიანობის აღდგნის საკითხი. საქართველოსთვის გარეშე ძალების მიერ თავსმოხვეული შიდა კონფლიქტები, რომელსაც არასწორად ეთნოკონფლიქტებსაც უწოდებენ, როასი წლის მანძილზე მგრული ძალების მიერ წარმობული ინფორმაციული ომის შედეგიცა.

მავანნი დღესაც ცდილობენ შეუქმნან საერთაშორისო საზოგადოებას არასწორი წარმოდგენა იმის შესახებ, თითქოს აფხაზთი და ცხინვალის რეგიონი ისეთორიულად არაქართული გერიგორიებია.

ისტორიოგრაფია, ენათმეცნიერება, არქეოლოგია... ნაწილობრივ პოლიტიკისტებული მეცნიერებებია და ბუნებრივია, ყოველი ქვეყანა, თავის ინგერესებით გამომდინარე, იყენებს მათ. ეს განსაკუთრებით დამახასიათებელია იმპერიებისათვის, რომელნიც ამ მეთოდით ცდილობენ გაიმყარონ თავისი პოზიციები (გათიშე და იბატონეს პრინციპი).

ჯერ კიდევ წმინდა იღია მართალი თავის პუბლიცისტები წერილებში ებროდა პეგერბურგის უნივერსიტეტში შექმნილ ანგიქართულ ისტორიოგრაფიულ თეორიას, რომლის მიხედვითაც ერთიანი ქართველი ერი წარმოდგენილი იყო განსხვავებული ტომების ხელოვნურ გაერთიანებად. აღნიშნული კამპანიის გაფრთხელება იყო ის, რომ იმპერიულმა ძალებმა დაიწყეს მეცნიერებებია და სამართლებრივი მეცნიერებებია დამახასიათებელია იმპერიებისათვის, რომელნიც ამ მეთოდით ცდილობენ გაიმყარონ თავისი პოზიციები (გათიშე და იბატონეს პრინციპი).

ქართული საზოგადოება წინ აღდგა აფხაზთა მუჭაკირობის (გადასახლების) პროცესსაც, ვინაიდან აფხაზები ოდითგან ჩვენი ეკულტურის და სახელმწიფოს განუყოფელი ნაწილი იყვნენ და არიან.

ასევე ჩვენი ნაწილი არაან ისები, რომელიც საუკუნეების მანძილზე საქართველოში მშვიდობინად ცხოვობს. სამწევაროდ, აფხაზებისა და ოსების ბოლო თაობები იმ იმპერიულ ისტორიოგრაფიაშე გაიძირდნენ, რომელმაც მათ ქართველებისადმი არამეცობრული დამოკიდებულება ჩამოყალიბდა.

ეს იყო ნელი მოქმედების იდეოლოგიური ნაღმი; ამ ნაღმა ჩვენ დღვეანდელ მდგომარეობამდე მიგვიყანა და მმობა და ერთობა დაგვარღვევებია მაგრამ ჩვენს მორის არსებული ნათესაური, მემობლური და მექობრული ურთიერთობების გამო მფერმა მისახს ვერ მიაღწია. ამიტომაც, მოქედავად ყველაფრისა, მმათმკვლელი თბი აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მირითადად განიხილება როგორც პოლიტიკური დაპირისპირების შედეგი და არა ხალხებს მორის მომხდარი კონფლიქტი, რისი დადასტურებაცაა თურდაც დღეს, ორივე მხარის უბრალო ადამიანების ძირითად ნაწილში კეთილგანწყობითი ურთიერთდამოკიდებულება.

ვლოცელობთ, რომ მაღე აღდგეს ნამდვილი მშვიდობა და ერთობა ჩვენს მორის.

2006 წ. ქრისტეს შობიდან





ნების უკვენდე ხეკომის მიწოდების მუნიციპალიტეტის კურულების ნინები

1863

1863 წლის 5 იანვარს, გურიის სოფელ ლიხაურში, სვიმონ თაყაიშვილის ოჯახში, მესამე ვაჟი დაიბადა. ახალშობილს ექვთიმე დაარქვეს. იგი სულ პატარა იყო, მაგა რომ გარდაეცვალა, ხუთი წლის ასაკში კი — დედა. დაობლებული ექვთიმე ბებიასთან იზრდებოდა. შეიდი წლის ბავშვი იზურგეთის სამაზრო სასწავლებელში შეიყვანეს.

იზურგეთში სწავლისას ჯერ კიდევ სულ პატარები დაუახლოებინენ ერთმანეთს ექვთიმე თაყაიშვილი და ნკო მარი. შემდეგ კი ეს ნაცნობობა დიდ მეგობრობაში გადაიზარდა. ექვთიმემ მესამე კლასიდან სწავლა განაგრძო ფოთის სამაზრო სასწავლებელში, რომელიც მან 1875 წელს დაამთავრა. ერთი წლის შემდეგ კი ქუთაისის გიმნაზიაში ჩაირიცხა. ეს ის წლებია, როდესაც საქართველოში მიმდინარეობდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.

1883 წელს ექვთიმემ წარჩინებით დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია, ხოლო 1887 წელს, პეტერბურგის უნივერსიტეტზე. პეტერბურგში ყოფილია იგი ხშირად ესწრებოდა ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს სხდომებს. საქართველოში დაბრუნების შემდეგ ექვთიმე თაყაიშვილი იწყებს პედაგოგიურ მოღვაწეობას. იგი სსავადასხვა დროს ასწავლიდა ბერძნულ და ლათინურ ენებს, ისტორიასა და გეოგრაფიას. 1887-94 წლებში იგი მასწავლებლად მუშაობდა თბილისის სათავადაზნაურო სკოლასა და კლასიკურ გიმნაზიაში, ხოლო 1894-1904 წლებში სათავადაზნაურო გიმნაზიას განაგებდა.

90-იან წლებში იგი მთელი ენერგიით იწყებს მუშაობას საქართველოს სისველეთა შეკრებისა და მათი მეცნიერული დამუშავებისთვის.

ექვთიმე თაყაიშვილმა ახლოს გაიცნო ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე. მასთან დაახლოე-

ბამ საბოლოოდ განსაზღვრა ექვთიმეს გეგმები, მან მტკიცებ გადაწყვიტა მოეკიდა ხელი ისტორიკოსის მძიმე და კეთილშობილი საქმიანობისთვის. ეს გადაწყვეტილება მაშინ იქნა მიღებული, როდესაც ჩვენ წარსულის ამსახველი ქადაგი შეუკრებელი იყო და იკარგებოდა. აუცილებელი იყო ჩვენ კულტურული ფასეულობების შენახვა და მეცნიერული მოვლა.

1889 წელს მოწინავე ინტელიგენციის თაოსნობით დაარსდა თბილისის საეკლესიო სიძველეთა საცავი. ამ დაწესებულების ფუნქცია იყო როგორც სახელიდან ჩანს, სიძველეების მოძიება, მეცნიერული დამუშავება და მათი მოვლა. დიმიტრი ბაქრაძესა და თეოდო ჭორდანასთან ერთად იგი ბეჭრს მუშაობდა ეკლესია-მონასტრებში დაცულ სიძველეთა შესწავლისა და მათი თბილისში ჩამოტანა-დაპინავებისთვის. 1888 წლის ზაფხული ექვთიმე თაყაიშვილმა სურამში გაატარა. აյ იგი საინტერესო კვლევა-ძებას ეწეოდა. მოარა იქაური ეკლესია-მონასტრები და შეისწავლა მათი სიძველეები.

მღვდელ სუხიშვილის ოჯახში ექვთიმე თაყაიშვილმა მიაგნო შესანიშნავ ქართულ ხელნაწერს, რომელიც ახლა „პარხლის სახარების“ სახელითაა ცნობილი. ხელნაწერი დათარიღებული იყო 973 წლით და გადამწერის ვინაობასაც გვამცნობდა: იგი გადაუწერია იოანე ბერს. ამ სახელმა ფარდა ახადა შატბერდის უთარილო მრავალთავსაც: შატბერდის ხელნაწერიც იმავე იოანე ბერის მიერ იყო გადაწერილი. დადგინდა ისიც, რომ შატბერდული „მოქცევაი ქართლისაი“ X საუკუნეში იყო შედგენილი. ექვთიმე თაყაიშვილის ამ ახალ აღმოჩენას გამოეხმაურა გაზეთი „ივერია“.

უფრო მეტად ნაყოფიერი იყო ექვთიმე თაყაიშვილის აქტიური თანამშრომლობა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამარცელებელ სა-



ზოგადოებაში”, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართველთა ეროვნული ინტერესების დაცვაში. ჯერ კიდევ პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტები იყო, როდესაც ექ. თაყაიშვილი დაუსწრებლად აირჩიეს „წერა-კიოხვის გამაფრცელებელი საზოგადოების“ გამგეობის წევრად. საზოგადოების გადაწყვეტილებით ექვთიმე თაყაიშვილს დაევალა სამეცნიერო კატალოგის შედგენა, ხელნაწერების დაცვის და მოვლის მიზნით. ხელნაწერთა დამზუშვების პირაცები მან დაიწყო მათი თანდათანობითი გამოქვეყნება. ამ მხრვ აღსანიშნავია 1892 წელს შატბერდისეული ხელნაწერის მიხედვით წმინდა ნინოს ცხოვრების ტექსტის გამოცემა ჭრცელი გამოკვლეულით.

ექვთიმე თაყაიშვილის სახელთან არის დაკავშირებილი საისტორიო და საეთნოგრაფო საზოგადოების შემწა. ეს საზოგადოება 1907 წელს შეიქმნა. ექვთიმე თაყაიშვილის ინიციატივით საზოგადოება პრველივე დღეს საქმეს შეუდგა და გამოსცა ორი სერია: „ძველი საქართველო“ და „საქართველოს სიძველენი“. ეს სერიები სხვადასხვა პოლიტიკისა იყო. პირველ მათგანში იბეჭდებოდა გამოკვლეულები, რევერატები და სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალები, ხოლო მეორეში სიგელ-გუჯრები და ისტორიული წერილები. საზოგადოება ანუობდა სხვადასხვა სახის გამოფენებს, უდიდეს მნიშვნელობას ანჭებდა სამუზეუმი საქმეს, მატერიალური კულტურის ნიმუშთა მოვლაპატრიონობას და სვამდა მუზეუმის აშენების საკითხს. მუზეუმის აშენება თავისი ხარჯებით იყიდა დავით სარაჯიშვილმა.

ამ საზოგადოებამ ძალიან ბეჭრი რამ გააკეთა ეროვნული კულტურის დაცვასა და მის შენარჩუნებაში, რაშიც განუზომელი დამსახურება ექვთიმე თაყაიშვილს მიუძღვის. ყოველგვარ საზოგადოებრივ საქმიანობაში, რომელიც იმ დროს საქართველოში მონინავე საზოგადოებას ანუხებდა, ექვთიმე თაყაიშვილი იღებდა მონაწილეობას. ხშირად გამოდიოდა მეცნიერული სახიათის მოხსენებით.

უნივერსიტეტის დაარსება საქართველოს მონინავე საზოგადოების ოცნება იყო. 1914 წელს მეფის მთავრობამ გამოსცა კანონი რუსეთის იმპერიაში კურძო ხასიათის უმაღლესი სასწავლებლების არარუსულ ენაზე დაარსების შესახებ. მთავრობის ეს ნაბიჯი გამოიყენეს ქართველმა პატრიოტებმა და ქართული უნივერსიტეტის გახსნა მომავლის გადაუდებელ ამოცანად დაისახეს. ქართული უნივერსიტეტის გახსნის ინიციატივა პეტერბურგში მყოფმა ივანე ჯავახიშვილმა იკისრა. 1917 წლის გაზაფხულზე იგი თბილისში ჩამოვიდა და ქართველი ხალხის მონინავე წარმომადგენლებთან ერთად ფართო პროცესით დაისახეს. ქართული უნი-

ვერსიტეტის შექმნის იდეასთან დაკავშირებით. 1918 წელს იანვარში უკვე მოგვარებული იყო უნივერსიტეტის დაარსების საკითხი. ამავე წლის 26 იანვარს დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს პრველი ქართული უნივერსიტეტი გაიხსნა. 1918 წლის 21 მაისს თბილისის უნივერსიტეტის საბჭომ ექვთიმე თაყაიშვილს დოქტორობას ხარისხი მიანიჭა.

არქეოლოგია თანამედროვე გაგებით მხოლოდ გათხრის საქმიანობას გულისხმობს. ექ. თაყაიშვილს თავიდანვე არ უფიქრია არქეოლოგიურ მოღვაწეობაზე, მაგრამ „წერა-კიოხვის გამაფრცელებელი საზოგადოების“ წესდება ითვალისწინებდა ეკლესია-მონასტრებში დაცული ძველი საეკლესიო წიგნების შეგროვებას. მანაც სწორედ აქედან დაიწყო თავისი საქმიანობა. ექ. თაყაიშვილმა რამდენიმე ათეული წლის მანძილზე სისტემატური კვლევისა და ძებნის შედეგად ბეჭრი ახალი, სრულიად უცნობი პრველხარისხოვანი ძეგლი აღმოაჩინა.

უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მის მეურალმოწილ ძველ ხელნაწერებს. 1880-90-იან წლებში არქეოლოგიური კვლევა-ძიების ფართოდ გაშლა ძალიან გაჭირდა. ენ. კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოება დაიხურა. შეძლებული კვავკასიის ისტორია-არქეოლოგიის საზოგადოებამაც შეწყვიტა არსებობა. ეს ორვე საზოგადოება ისე მაღე დაიხურა, რომ მათ სასარგებლო საქმიანობის ფართოდ გაშლა ვერ მოახერხეს. 1917 წლის რევოლუციამდე ექ. თაყაიშვილი ერთადერთი ქართველი არქეოლოგი იყო, რომელიც გათხრებს აწარმოებდა. იგი პარალელურად პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწეოდა.

1921 წ. საბჭოთა ხელისუფლების მოსვლის უმაღლესი მენშევიური მთავრობა ემიგრაციაში საფრანგეთში წავიდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ გადაწყვეტა არავისოფერის დაწესებებინა საქართველოს სამუზეუმი ნოვთები, ძვირფასეულობა, ქართველი ხალხის ეს





დიდი შემოქმედების ნაყოფი, რომლის შე-
გროვებასა და გადარჩენაში ამდენი ოფლი,
სისხლი და ცრემლი აქვს ჩაქცეული სწორედ
ექვთიმე თაყაიშვილს.

ემიგრაციაში წასვლისას საქართველოს
მთავრობაში თან წაიღო სამუზეუმო ძვირფასეუ-
ლობა, რომლის მეთვალყურედაც ექვთიმე
თაყაიშვილი დაინშნა. თავდაპირველად პარიზ-
ში ცხოვრობდა, თავის ერთგულ და თავდადე-
ბულ მეუღლე — ნინოსთან ერთად, ხოლო
შემდეგ ქალაქ ლევილში დასასლდა. ცხოვრობ-
და ძალზე ხელმოკლედ, ემიგრანტის შესაფერის
მყუდრო და მივიწყებულ პინაში.

პარიზის მეცნიერულმა წრეებმა იმთავითვე
სცენს და აღიარეს ქართველი მეცნიერის ავ-
ტორიტეტი და იგი 1924 წლის 4 თებერვალს
აირჩიეს „ნუმიზმატთა საზოგადოების“ წევრად,
ხოლო შემდეგ პარიზის „სააზო საზოგადოებ-
ის“ წევრად

1921 წლიდან 1945 წლამდე ექვთიმე თაყაიშ-
ვილი საფრანგეთში იმყოფებოდა და ღირსეუ-
ლად ასრულებდა განძის მეთვალყურის მოვა-
ლეობას, მისი უდიდესი ნებისყოფისა და თავდაუ-
ზოგავი მცდელობის შედეგი იყო საგანძუროს
დაცვა მეტად რთულ პერიოდში. გაუძლო ინ-
გლისისა და აშშ-ს მუზეუმების შემოტევებს
(მათ უნდოდათ განძის ნანილი ეყიდათ, ინგლი-
სის მუზეუმი სანაცვლოდ პირობას დებდა დანარჩენი
განძის უფასოდ შენახვაზე) ეს მოლაპარაკება
ექვთიმე თაყაიშვილმა ჩაშალა.

ყველაზე დიდი საფრთხე ქართულ საუნივე-



ენ „ობოლებსკაიას საქმეზ“ შეუქმნა. 1935 წელს
სასამართლომ გამოიტანა დადგენილება, რომ
ქართული საგანძურო შესანახად მიენდოთ ფრან-
გი მოხელისათვის, რომელსაც აქმდე რუსეთიდან
ემიგრირებული განძი პერიდა მიბარებული. სა-
განძურო მარსელიდან პარიზში გადაიტანეს და
ბანკში დააპინავეს. ფიზიკურად დასუსტებული
და სიდუსტირები მცხოვრები ექვთიმე თაყაიშ-
ვილი მაინც მუხლისაურელად იღწვოდა ეროვნუ-
ლი საუნივერსიტეტის შესანარჩუნებლად.

დრო კი გადორდა, წლები თავისას აკეთებ-
და და დადგა 1939 წელი, ფაშისტურმა გერ-
მანიამ იმი დაიწყო, იმმა მთელი მსოფლიო
მოიცავა, 1940 წლის 14 ივნისს გერმანელები
შედიან პარიზში, ინყება შიშილი, ყინვა და
ავადმყოფობა ქართველი პატრიოტისა.

სასწაულებრივი იყო განძის გადარჩენა, ჰიტ-
ლერიული ოკუპაციის დროს, გერმანელებს შეეჭყოთ
ქართული განძის არსებობისა და ადგილმდე-
ბარეობის შესახებ, მაგრამ აქაც იმავევა
ექვთიმე თაყაიშვილმა, განძი იდუმალ გააპარა
და ვერსალის სასახლის ერთ ბნელ სარდაფუში
გადაინახა.

მეორე მსოფლიო იმში საბჭოთა კავშირის
გამარჯვებამ განაპირობა ქართველთა საგანძურ-
ოს სამშობლოში დაბრუნების საკითხის დასმა.

სამშობლოს სიყვარულით გამსჭვალული და
გულანთებული ექვთიმე თაყაიშვილი ვერ გა-
ტეხა შიშილმა, დამცირებამ, მეტად მძიმე
ეკონომიკურმა მდგომარეობამ და 24 წლის
უშედავათო ბრძოლის შემდეგ მთელი განძი
უკლებლივ დაუბრუნა ესოდენ მონატრებულ
ქვეყანას.

1945 წელს სამშობლოში დაბრუნებული მეც-
ნიერი წერდა: „ორიოდე წლის სიცოცხლე დამ-
რჩენია და საბედნეროდ ისევ სამშობლოში
მინევს ცხოვრება, „მოვახმარ ჩემზე დაკისრებუ-
ლი ვალის ბოლომდე მოხდას“ ღრმად მოხუცე-
ბული მეცნიერ სულიერ განსაცდელშიც იმყო-
ფებოდა, ხელისუფლებას ყველა ემიგრანტის მი-
მართ გარკვეული ეჭვი პერიდა, მოხუცი ერთ-
გვარ იზოლაციაში მოექცა, მაგრამ მაინც გულ-
გაუტეხლად ასრულებდა თავის საქმიანობას.

ექვთიმე თაყაიშვილი 1953 წლის 21 თებერ-
ვალს გარდაიცვალა, განისვენებს მთანმინდაზე.

საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიაში
ღვაწლმოსილი მამულიშვილი წმინდანად შე-
რაცხა და ექვთიმე ღვთის კაცი უწოდა. ექვ-
თიმე ღვთის კაცის სსენების დღედ 3 იანვარი
დაწესდა.

მასალა მოამზადეს
ისტორიის ფაულტეტის Ⅲ კურსის
სტუდენტმა მარიამ ხუციშვილეა

და
ირაკლი გარებაშვილი

მამუკა...

„ამაზე ლამაზი ნუთები, რაფ
იპოლიტებთან ურთიერთობამ
მოგვანიჭა, ჩხოვრებაში არ
გვქონია!“

ევგენი მორგუნვი
გიორგი ვიწინი

„მეფისიერად ვთვლი თავს,
იპოლიტებთან რომ მომიხდა მუძამძა
ხერგები ფილიმოვი



„ეს რა გენიოს გყოლიათ“ — უთქვამს უნ გაბენს მე-20 საუკუნის გენიალურ კომედიოგრაფზე — იპოლიტე სვიჩიაზე. იური ნიკულინის დიდი სურვილიც ყოფილა იპოლიტეს პარტნიორობა; სერგეი ფილიმოვი კი ბედნიერად თვლიდა თავს, რომ ამის საშუალება მიეცა.

ქართველი მაყურებელი მას უმეტესად კინოროლებით იცნობს. ისინ კი, ვისაც უნახავს თეატრის სცენაზე მისი ცოცხალი თამაში, ამბობენ, რომ არ შეიძლება იცნობდე იპოლიტეს ისეთს, როგორიც იგი სინამდვილეში იყო, თუკი იგი თეატრის სცენაზე არ გყავს ნანახო. მათი შეფასებით, არ შეიძლება კინოფილმებით შეიგრძნო ის უსაზღვრო სითბო და სიყვარული, რასაც იპოლიტე მაყურებელთან უშუალო ურთიერთობისას გამოსცემდა...

„იპოლიტე დიდი ტრაგიკომიკოსია, ვირტუოზი, იმპროვიზაციის საოცარი ოსტატი, მე-20 საუკუნის ქართული სამსახიობო სკოლის მოპიკანი, ჩვენი ეროვნული ხასიათის, ხალხური სიბრძნის გამომხატველი. ნეტავ თუ განმეორდება კიდევ, თუ გაგვიჩნდება მეორე მისი დარი, მისი ნიჭის, მისი ტალანტის მქონე კომიკოსი?! ვარსკვლავები არ მეორდებიან, ისინ მარადისობის ჩირალდნებად იბადებიან და რჩებიან საუკუნეებში...“ (კინომცოდნე — ოლღა თაბუკაშვილი)


იპოლიტე ალექსანდრეს ქე ყვინჩია დაიბადა 1910 წლის 31 დეკემბერს სოფელ კონტუათში. ყვინჩიების მეექვსე ვაჟიშვილი, ბატონი დოდო ანთაძის ხელში იქცა იპოლიტე სვიჩიად. როცა ბატონმა დოდომ — იპოლიტეს თამაშით აღფრთვანებულმა, ეს უკანასკნელი ქუთაისის თეატრში მიიწვია და სთხოვა — „რა იქნება ეს „ყ“ „ხ“-თი შევცვალოთ“; იპოლიტეც დასთანხმებია: „თუ ვინმეს არ მოსწონს „ყ“, იქნებ „ხ“ უფრო მოეწონოს...“ ასე იქცა იპოლიტე ყვინჩია განუმეორებელ იპოლიტე სვიჩიად...

95 როლი თეატრში, 45 — კინოში. რა ბეჭრია და თანაც — რა ცოტა იპოლიტესთვის...

1932 წელი — პირველი როლი მისი შშობლიური ხონის თეატრის სცენაზე. პირველი მღელვარება, პირველი წარმატება, პირველი ტაში, პირველი თაყვანისმცემლები...

1977 წელი — 5 როლი კინოში; თითქოს ჩქარობდა, თითქოს გრძნობდა, რომ ილეოდა მისი შემოქმედებითი გზა...

1983 წელი — უკანასკნელი ეკრანული



როლი ფილმში — „მაცი-ვარში ვიღაც იჯდა“.

1985 წელი — საქართველო აცილებს თავის საყვარელ მსახიობს. ყველასაოვის საყვარელი მსახიობი, 31 იანვრის სუსტიან საღამოს აღსრულდა.

იპოლიტე ხვიჩია, ქართული საზოგადოების სიხარული, სიამაყე და ცრემლია...


საქართველოს დამსახურებული და სახალხო არტისტები, კინორეჟისორები, საოცარი სითბოთი და მონატრების ცრემლით იხსენებენ „სიცილის მაქსტროს“. იხსენებენ, თუ როგორ იღლებოდა მისი გამოსვლებისას მაყურებელი სიცილით; ერთხელ ვერუკო ანჯაფაროძესაც კი დასჭირვებია დარბაზიდან გაყვანა და მოსულიერება იმის გამო, რომ იპოლიტეს ოსუნჯობებით, სიცილისგან ვეღარ ამოუსუნთქავს... ბეჭრი იხსენებს, რომ იპოლიტე საოცარი იყო თეატრში, რომ იგი მაყურებელთან ურთიერთობისას იფურჩქინებოდა. საოცარი იმპოვიზაციის ნიჭი ჰქონია; რეჟისორები გულისტკივილით აღნიშნავენ, რომ მიუხედავად უამრავი კინოროლისა, ქართულმა კინომ მაინც ვერ მოახერხა მისი ნიჭის ჯეროვანი გამოყენება.

გადაღებებზე მისი ხალა-

სი იუმორი ბევრჯერ გამხდარა სინჯების გაფუჭების „მიზეზი“. მერაბ თავაძე (სამეფო უძნის თეატრის მთ. რეჟისორი) იხსენებს: „ფილმის „თოჯინები იცინიან“ გადაღების დროს ბატონი იპოლიტეს მოძრაობასა და რეპლიკებზე ისეთი სიცილი მივარდებოდა ხოლმე, რომ ბევრ დუბლს ვაფუჭებდი, როცა მიზეზს მეკითხებოდნენ — რა ვქნა ბატონი იპოლიტეს ასე ნორმალურად ყურება შეუძლებელია-მეთქმ, ვამბობდი. თითქოს არაფერს აკეთებდა, მაგრამ თავიდან ბოლომდე იუმორი იყო. ბოლოს დიდი მორიდებით სთხოვეს მაესტროს — დავუტოვებინეთ. „ვი ბატონო, თუ მაგი უშველის რეზიუმის, სულ წავალ სახლში, სხვა არა იყოს რა, მთელი რვა საათია სიდედრისთვის თვალი არ მომიკრავს“, — თქვა ბატონმა იპოლიტემ და იმდეს ვერავინ ვერაფერი გააკეთა...“

ხალხთან ურთიერთობისას არასოდეს დასჭირვებია ნიღაბი, თავისი მაგნიტური იუმორით იზიდავდა მათ და თუკი იპოლიტე თამაშობდა, თეატრი გადაჭედილი იყო. მას იხსენებენ, როგორც ყველას მამას, ბაბუას, მეგობარს, უაღრესად მზრუნველსა და მოსიყვარულეს...

იპოლიტე ხვიჩიას სახელი კარგა ხანია შევიდა მსოფლიოს კომიკოსთა ათეულში და მომავალშიც დარჩება, როგორც უდიდესი მსახიობი, „კომიზმის ვირტუოზი“, „სიცილის ტიტანი“... დრაგან იანკოვიჩმა მას ქართველი ბურვილი



უწოდა, უან გაბენმა — გენიოსი, ოჯახის წევრებმა — ბაუკა (სიარულის გამო), ხოლო კოლეგებისთვის იგი „იპოდ“ დარჩა.

ყველასაოვის საყვარელი მსახიობი თბილისში საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა ნეკროპოლშია დაკრძალული. მისი ნათელი ხსოვნა კი კვლავაც ცოცხლობს ჩვენს მეხსიერებაში!

თამარ არზიანი

ტელესერიალების SOS!



რა შეუძლობელი სული სიცარითელი!!!

ქართული ტელესივრცე დღეს ტელესერიალების ნაკლებობას ნამდვილად არ უჩივის. თუ ზოგისთვის ეს გამდიდრების წყაროა, ადამიანებისთვის კარგი არაფერი მოაქვს. პრევენტი საპრის ოპერა დაახლოებით 20 წლის წინ გამოჩენდა ქართულ ეკრანებზე და საზოგადოება ანდამატივით მიიზიდა. ნუთუ ასე მომზიბლავია რეჟისორების უაზრო ფანტაზიის ნაყოფის ათვისება, რომელიც ძალადობას, აგრესიას, გარყვნილებას, უხამსობასა და ათას სოსულებებს გვთავაზობს. ვინმეს აზრი რომ ჰკითხო სერიალზე, გეტყვის, რომ ცუდია, ყალბი და ვილაცის მოგონილი ამბავია, მაგრამ მაინც უყურებენ, მაინც

მულა გამოდის, რაც მეტია ხმაურიანი სერიალი, მით მეტი ფული ეძლევა ტელევიზიას.

სერიალში, სამწუხაროდ, ვერ იხილავთ იმას, რაც რაიმე სულიერ სარგებელს მოგვიტანს. მაგრამ პრობლემა ჩვენშია. იმ გადმოგდებულ საკენჭს სიამოებით ვკრეფთ, რომელიც გვლუბავს, იმ ტოტს ვჭრით, რომელზეც ვსხედვართ. ადამიანის ბუნება მიდრევილია მიბაძვისკენ და როცა, ტელევიზიით სხვას ვერაფერს ხედავ, გარდა გონიერის წამბილწველი სერიალებისა, ძალაუნებურად თუ ყველაფერში არა, ცოტათი მაინც ბაძავ სერია-





ლის გმირებს.
ბ ო ღ ი
ხანებში, თით-
ქოს იკლო ახ-
ალგაზრდების
დაინტერესებამ
სერიალების
მიმართ, მა-
გრამ ტელევი-
ზებმა მაშინვე
ახალი „საკენ-
კი“ — ე.წ.
„ახალგაზრდუ-
ბის“ სერიალე-
ბი“ შესთავაზეს
მათ.

საუბედუროდ, სერიალებით
დაინტერესება იმდენად დიდია,
რომ ტელეკომპანია „იმედის“
არსზე „საპნის ოპერებს“
გადაცემაც კი მიუძლვეს,
სადაც სერიალებიდან სხვა-
დასხვა კითხვებს უსვამენ
მაყურებელს და სწორი პა-
სუხის შემთხვევაში პრიზებია
დაწესებული. ეგ უკანასკნე-
ლი უფრო მეტი მაყურებ-
ლის მისაზიდად დააბახეს...
(არადა „ვეფხისტყაოსნიდან“
დასმულ შეკითხვებს ბევრი
მათგანი ვერ უპასუხებს).

სერიალი არარსებული სამ-
ყაროა, რომელიც ავინიროებს
ადამიანის მსოფლმხედველო-
ბას, ბილნავს და ფიტავს
მას. სულიერი სიცარიელე,
სიბილნისკენ ლტოლვა, საქ-
მის კეთების უნარობა, გე-
მოვნების დაქვეითება, ზერ-
ელე აზროვნება — ეს არის
მოკლე ჩამონათვალი იმ უკე-

თურებათა, რაც უყალიბდე-
ბათ სერიალო-მანიით შეცყ-
რობილთ. ეს არის ბოლო
უამის მომავალინებელი სუ-
ლის გამოვლინება, რომელ-
იც სულ უფრო და უფრო
ძლიერდება.

როგორ ვუშველოთ თავს?
ლმრთის რწმენით, სასოები-
თა და სიყვარულით აღვი-
ჭურვოთ, „ურთ-
იერთ სიმძიმე ვიტ-
ვირთოთ და ეს-
რეთ აღვასრულოთ
სჯული იგი ქრის-
ტეს.“



აძოარიფი უნდიდესის ეპიზოდეფან



ტელევიზიის, მობილური კავშირგაბმულობის, კომპიუტერისა და ინტერნეტის განვითარებამ მანძილი
და დრო მკეთრად შეამცირა. ეკონომიკა თანდათან კარგავს მხოლოდ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ
მნიშვნელობას და იქმნება ტრანსაციონალური კომპანიები, რომელთაც, ძირითად, საკუთარი მიმნები
ამოძრავებთ და არა სახელმწიფო ინტერნეტი. მიმდინარეობს კულტურათა ასიმილაციის პროცესიც. ეს
ყველაფერი მრავალსახოვანი გლობალიზაციის გამოვლინებაა.

ასეთ ვითარებაში ჩვენი ხალხი ახალი პრობლემების წინაშე დადგა. ეს არის დროის გამოწვევა.
კონკრეტული ძალა არ ჩანს, მაგრამ ცრუთავისუფლებაზე დაყრდნობით, მასმედიის სამუალებებით
(სერიალებით, მდარე ტელე-პროდუქციით) ხდება ზემოქმედება ჩვენი საბოგადოების, განსაკუთრებით კი
მომავალი თაობის, ცნობიერებაზე, რათა მათში დაინერგოს არაეროვნული, არაქრისტიანული მსოფ-
ლმხედველობა, რაც შედეგად გამოიწვევს ჩვენი ეთნოფსიქიის შეცვლას და ერთიანი ქართველი ერის
დაშლასა და გადაგვარებას.

უნდა გავაცნობიეროთ, რომ შეტყვა ხორციელდება თითოეული ადამიანის ამონტნებაზე, ამიტომაცაა
ყოველი ჩვენთაგანის გული და გონება ამ ბრძოლის ასპარეზი. ესა თუ ის პიროვნება ან რჩება
ქართველად, ან, თავისი შინაგანი სისუსტისა და მიმბამებელობის გამო, იყვლის ღირებულებათა სისტემას.

ეს ისეთივე მნიშვნელობის ომია, როგორც ჩვენს მამა-პაპათ გამოუვლიათ.

მოგმართავთ ყველას, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, შეინარჩუნეთ ჩვენი თვითმყოფადობა, ჩვენი
გრადიციული ქრისტიანული ცხოვრების წესი. გახსოვდეთ, მთავარი ბრძოლა ბოროტან მოგებულია.
უფალი ბრძანების: "ნუ გემინინ, რამეთუ მე მიძლევის სოფელსა" (ინ.16,33) მაშ, იბრძოლეთ, ჩვენი გმირი
წინაპრების მსგავსად, რათა საკუთარ თავში და თქვენს გარშემო დაიცვათ თქვენი წილი საქართველო.
დღეს ეგ ომია თქვენი დიდგორი, თქვენი ბასიანი.

უნდა იყოდეთ, რომ ქართული იდეა ორ უმთავრეს სვეტს ეყრდნობა. ესაა სულიერი დირებულებები
(რაც გელისხმობს მართლმადიდებლურ სარწმუნოებას და მის წეს-ჩვეულებებს) და ეროვნულ-კულტუ-
რული ფასეულობები, რითაც ასე მდიდარია ჩვენი ქვეყანა.

ქრისტეს შობიდან 2007 წ.

რ ც ტ ი ც ა


 ეპეზილოსენო, თუთიუში რომ დეასეჩასეგისარ და
კუცივით დიღ ცეშიჯაგს დგენ, რისი იხედი გევა?

შარვალი მამაკაცის შესაფერისი ტანსაცმელია მის საქმიანობისა და ანატო-
მიური აგებულების გამო. ჩაიცვამს თუ არა ქალი შარვალს, მას მაშინვე
ეკარგება ქალური სინაზე. ჩაიცვეს მასობრივად ქალებმა შარვალი და საოცრად
დაუშნოვდა გარემო. კაცური ქალი სიარულისას მამაკაცურად დიდ ნაბიჯებს
ადგამს, შეეცვალა დგომისა და ჯდომის მანერა; მრავალი ეწევა სიგარეტს;
გახშირდა მეტყველებისას უცემზურო, უარგონული სიტყვების ხმარება. ყველაფერ-
მა ამან განაპირობა მამაკაცებში ქალების მიმართ უპატივისმცემლობის განვი-
თარება, მათდამი ინტერესის დაქვეითება, ბიოლოგიური ლტოლვის შესუსტება.

ქალურმა კაცებმა გაიკეთეს საყურები, ჩამოიკიდეს სამკაულები, ინაზებიან...
საით მიდიხართ, ქართველებო?..



კობა ფარტენაძე

ქალების შესახებ



მართლმადიდებელ
სამყაროში, მისი
დაფუძნებიდან დღემ-
დე არსებობდა და არ-
სებობს ქალწულების
შესანიშნავი წესი. ქალ-
წულება უდიდესი სათ-
ნოებაა ლვოის წინაშე.
წმინდა მოციქული პავ-
ლე ბრძანებს: „რომელ-
მან იქორწინოს თავი-
სი იგი ქალწულებაი
კეთილად ჰყოფს,
ხოლო რომელმან არა
იქორწინოს, უმჯობესაა
ჰყოფს“ (კორ.7, 32-38, 38).

საქართველოში ოდითგანვე დიდი მნიშ-
ვნელობა ენიჭებოდა კეთილზნეობრივ ცხ-
ოვნებს. კლემბოსტლება და უმანკოება დღემდე
ქალის ერთ-ერთ უდიდეს ღირსებად ითვლე-
ბოდა ჩვენში. ქორწინებამდე უბინების დაცვა
მამაკაცსაც ევალებოდა.

თანამედროვე საზოგადოებაში გაჩნდა აზრი,
რომ უმანკოებას მხოლოდ ქველმოდური და
ჩამორჩენილი აზროვნების ადამიანები იცავენ
და ეს სამარცხვინოა. ხოლო ის, ვინც თავს
სრულ „თავისუფლებას“ მიანიჭებს, თანამედ-
როვედ მოაზროვნე ადამიანად ჩაითვლება.
ჩამოყალიბდა „უკომპლექსობის“ სტეროტიპი,
რომელიც მიზნად ისახავს ცოდვისმიერი

მიდრეკილების უკომპლექსობით ახსნას. გაჩნდა
ე.წ. „ვარტნიორული წყვილები“, რომელიც
ქორწინებისა და ჯვრისწერის გარეშე ცხ-
ოვრობენ ხორციელი ცხოვრებით და ეს
ნორმალურ მოვლენად მიაჩინათ.

უფალმა კაცობრობას თავად მისცა მცნე-
ბად „არა იმრუშო“, როთაც უბინების დაცვის
აუცილებლობა დაუკანონა. წმინდა მამები გვას-
ნავლიან, რომ ცხოვრებაში ორი გზა არსე-
ბობს — ცოლ-ქმრობა და ქალწულება. ეს
უკანასკნელი, შესაძლებელია, როგორც მონას-
ტერში, ასევე ერში. ვისაც შესწევს ძალა
წმინდად დაიცვას ქალწულება — ეს უმაღ-
ლესი სულიერ მდგომარეობაა ადამიანისათვის;
ხოლო ვისაც სურს ოჯახი შეემნას, აუცილე-
ბელია ქორწინების საიდუმლოს ქვეშ იმყოფე-
ბოდეს. სულის ცხონება ორივე გზით არის
შესაძლებელი. როგორც წმ. გრიგოლ ლვის-
მეტყველი ბრძანებს: „თუმცა ცოლ-ქმრობას
მიწიერი საწყისი აქვს, ხოლო უქორწინებელი
ცხოვრება შეგვართოებს ყოვლისმშენობელ მეუფე
იესოსთან; მაგრამ ხდება ხოლმე, რომ ქალ-
წულებაც დაიყვანს ადამიანს ცოდვილ მიწაზე,
და ცოლ-ქმრული ცხოვრება აღიყვანს ზეცად.
ამიტომ თუ ვინმე დაიწყებს განტექებას, ერთი
ცოლ-ქმრობისა, მეორე კი — ქალწულებისა,
ორივე ტყულს იტყვის... ასე რომ, ყოველი
გადაწყვეტილება და ნაბიჯი ლვთისგან უნდა
იყოს კურთხეული; უფალი კი მხოლოდ მაშინ
აკურიტებს ჩვენს ცხოვრებას, თუკი ლვთისგან
დადგენილი წესების მიხედვით ვიცხოვრებთ.

მარიამ გელაშვილი



გრიპის გარიგების წ 9. წ. „ლორის გრიპის უგეხსხის”




გრიპი სასუნთქი გზების მწვავე ინფექციები დაავადება. გრიპის ეპიდემია თოოქმის ფოველ წელს ფიქსირდება. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ყოველწლიურად სეზონური გრიპით მოსახლეობის 5-15% ავადდება, იწვევს 3-5 მილიონ მძიმე შემთხვევას. საშუალო სიკვდილიანობა შეადგენს 0,1%-ს, ფრინველის გრიპის შემთხვევაში შეადგენდა 50%-ს, ხოლო ახალი A(H1N1) გრიპის დროს სიკვდილიანობა შეადგენს 2%-ს.

არსებობს გრიპის ვირუსის A, B და C ტიპები (მათ აქვთ თავისი ქვეტი პეპტი), რომელიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან ანტიგენური

მახასიათებლებით. მაგალითად, A ტიპის ვირუსს გააჩნია თექვსმეტნაირი (16) H (ჰემაგლუბინი) და ცხრანაირი (9) N (ნეირამინიდანა). A ტიპის ვირუსი იწვევს პოტენციურად მძიმე დაავადებას, ეპიდემიებისა და პანდემიების. სწრაფად ცვალებადი ვირუსია. B ტიპის – ჩვეულებრივ ნაკლები სიმძიმით მიმდინარეობს, იწვევს ეპიდემიებს, ნაკლებად ცვალებადია. C ტიპის ვირუსი იწვევს მსუბუქ ან უსიმპტომო დაავადებას, მინიმალურ ზეგავლენას ახდენს საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე.

სეზონური გრიპის ვირუსი გადაეცემა დაავადებული ადამიანიდან პაერ-წვეთოვანი გზითა და უშუალო კონტაქტით. კლინიკურად ახასიათებს შემდგები ნიშნები: უეცარი დასაწყისისი, თავის ტკივილი, ცხელება $39\text{-}40^{\circ}\text{C}$ -მდე, შემცირება, მიაღვია (კუნთების ტკივილი), სისუსტე ხველა, ყელის ტკივილი, ციანოზი. გაურთულებელი შემთხვევების დროს გაუმჯობესება აღინიშნება 2-5 დღეში, თუმცა ხველა შეიძლება დარჩეს 1-2 კვირის განმავლობაში.

სეზონური გრიპის უმრავლესი შემთხვევა გამოჯანმრთელდება ნარჩენი მოვლენების გარეშე. გართულებები უფრო ხშირად აღინიშნება 64 წელზე მეტი ასაკის პირებში, ორსულებსა და ქრონიკული დაავადებების მქონე პაციენტებში (გულისა და სასუნთქი სისტემის, თირკმლის დაავადებები, შაქრიანი დიაბე-



ტი, იმუნოსუპრესია, ჰემოგლობინოპათიები და სხვ.). სეზონური გრიპის კველაზე ხშირ გართულებას წარმოადგენს პნევმონია (ფილტვების ანთება). ასევე, გრიპის შემდგომი ასთენია (რამდენიმე კვირის განმავლობაში დაღლილობა და სისუსტე), ბავშვებში შუა უკრის ანთება, მიოზიტი, მიოკარდიტი, ჰერიკარდიტი, იშვიათად ენცეფალიტი, მენინგიტი და სხვა.

A(H1N1) გრიპის ახალი ვირუსია, რომელიც იწვევს ადამიანთა დაავადგებას გრიპით. ახალი ვირუსი პირველად დაფიქსირდა აშშში, 2009 წლის აპრილში, ამჟამად დარეგისტრირებულია მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში.

თავდაპირველად, ახლად გამოვლენილ გრიპის ვირუსს უწოდებდნენ ეწ. „ლორის გრიპს“, რადგან ლაბორატორიულმა ტესტირებამ აჩვენა ამ ვირუსის გენეტიკური შემადგენლობის მსგავსება იმ გრიპის ვირუსისადმი, რომელიც ჩვეულებრივ ჩრდილო ამერიკაში დორებში ცირკულირებს. შემდგომი კვლევებით დადგინდა, რომ ეს ახალი ვირუსი მნიშვნელოვნად განსხვავდება ჩრდილო ამერიკაში დორებში ჩვეულებრივ მოცირკულირე ვირუსისგან. ახალი ვირუსის ორი გენი ეკრიპტასა და აზიაში ღორებში მოცირკულირე გრიპის ვირუსისაა, ხოლო დანარჩენი ადამიანთა და ფრინველთა გრიპის ვირუსის გენებია. არ არსებობს იმის მტკიცებულება, რომ ამჟამად ღორები არიან ინფიცირებული ამ ვირუსით, მაგრამ ასევე ცნობილია, რომ ეს არის გრიპის ის ვირუსი, რომელსაც ჩვეულებრივ შეუძლია გრიპის გამოწვევა ღორებში.

დღეისათვის არსებული მონაცემებით, გრიპის ახალი **A(H1N1)** ვირუსი გადამდებია და ვრცელდება ადამიანიდან ადამიანზე. მაგრამ, არ არის ცნობილი, რამდენად იოლად ვრცელდება ვირუსი ადამიანებს შორის.

A(H1N1) გრიპის ვირუსის სიმპტომები მსგავსია ადამიანის ჩვეულებრივი გრიპის სიმპტომებისა და მოიცავს შემდეგს: ცხელება, ხეჭლა, ყელის, კუნთებისა და სახსრების, თავის ტკივილი, შემცირება, საერთო სისუსტე, ზოგჯერ დიარეა და პირდებინება, იშვიათად – კონიუნქტივი. ეს ვირუსი ვრცელდება ისევე,

როგორც სეზონური გრიპის ვირუსი. ამჟამინდელი აფეთქება გამოწვეულია ადამიანიდან ადამიანზე გადაცემით. დაავადებული ადამიანის ხველის ან ცემინების დროს დაინფიცირებული წვეთები ხვდება მათ ხელებზე, აგრეთვე სხვადასხვა ზედაპირებზე ან დისპერსიონდება ჰაერში ერთი მეტრის მანძილზე. ჯანმრთელი ადამიანი შეიძლება დაინფიცირდეს კონტაქტის გამოწვეული ჰაერიდან ან დაინფიცირებულ ხელებთან, ზედაპირებთან შეხებისას, თუ იმავე დაუბანებლი ხელით შეეხება საკუთარ თვალებს ან ცხვირ-პირს. როგორც პალევებით დადგინდა, ადამიანის დაავადების უნარს ზედაპირებზე მოხვედრილი **A(H1N1)** გრიპის ვირუსი ინარჩუნებს 2-8 საათის განმავლობაში.

ლორის ხორცის დამუშავების ან საკუთარ გამოყენების დროს ადამიანის დაინფიცირება არ ხდება. სათანადოდ დამუშავებული ღორის ხორცი და მისი პროდუქტები ამ მხრივ უსაფრთხოა. ამ დაავადების გადამტანად არ განიხილება ონკანის წყალი, რომელიც გადის სათანადო დამუშავებას. ასევე უსაფრთხოა სათანადოდ დამუშავებული სარეკრეაციო წყლები, აკვა პარკები, შაბრუნები, საცურაო აუზები და სხვა.



დღეისათვის არსებული ინფორმაციით, გრიპის ამ ვირუსით დაავადებული ადამიანი, ისევე, როგორც სეზონური გრიპით დაავადებული, გადამდება სიმპტომების გამოვლენამდე 1 და გამოვლენის შემდეგ 7 დღე. პატარა ბავშვები გადამდებნი არიან უფრო სანგრძლივად.

ვირუსი ინაგენირდება მაღალი ტემპერატურის 70°C ზემოქმედებით. ქიმიური ნივთიერებებიდან ვირუსის გამანადგურებელი თვისებებით გამოირჩევა ქლორი, ჰიდროკარბონატები.

სიდი, ანგისეპტიკური საპონი და სარეცხი საშუალებები, იოდიფორი, სპირტის შემცველი ანგისეპტიკური საშუალებები.

დაავადების თავდან ასაცილებლად საჭიროა გატარდეს გრიპის პრევენციის ზოგადი ღონისძიებები:

მოერიდეთ კონტაქტს იმ ადამიანებთან, რომელებიც თავს შეუძლოდ გრძნობენ, აღენიშ-



ნებათ ცხელება და ხველა. ეცადეთ, არ შექმნოთ იმ ზედაპირებს, რომლებიც დაბინძურებული შეიძლება იყოს გრიპის ვირუსით. ხშირად და საფუძვლიანად დაიბანეთ ხელები საპნითა და წყლით; ეცადეთ იცხოვროთ ჯანსაღი ცხოვრების წესით, იყოთ კარგ ფიზიკურ ფორმაში. კარგად გამოიძინეთ, იყვათ ფიზიკურად აქტიურნი. თავი აარიდეთ სტრესებს, მიიღეთ საქმარისი რაოდენობით სითხე და სასარგებლო საქვები.

თუ გრიპის ამ ვირუსის მსგავსი დაავადების სიმპტომები შეამჩნიეთ (ხველა, ცემინება, ტემპერატურა, კუნთებისა და სახსრების ტკივილი, ყელის ტკივილი, გულისრევა, პიოდებინება ან დიარეა) დაუკავშირდით თქვენს ექიმს ან სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელს და აცნობეთ, რა სიმპტომები გაქვთ. აუხსენით, რატომ გგონიათ რომ გაქვთ გრიპი (მაგ. ახლახანს იმოგზაურეთ ისეთ ქვეყანაში, სადაც ადამიანებში აღინიშნება ამ დაავადების შემთხვევები). გაითვალისწინეთ ის რჩევები, რომლებსაც მიიღებთ; თუ ვერ ახერხებთ დაკავშირებას სამედიცინო მიმწოდებელთან, მაშინ მთავრობეთ უახლოეს სამედიცინო დაწესებულებას და მისკლისთანავე აცნობეთ, რომ ინფექციის შესახებ გაქვთ ჟეპ. მგზავრობის დროს პირსა და ცხვირზე აიფარეთ ნიღაბი.

სახლის პირობებში ავადმყოფის მოვლა საჭიროა ასე:

* ავადმყოფი უნდა იყოს განცალკევებით, ოჯახის სხვა წევრებისაგან, სულ მცირე, 1 მეტრის მოშორებით;

* ავადმყოფის მოვლის დროს ცხვირსა და პირზე



აიფარეთ ნიღაბი. ამ მიზნით შეგიძლიათ გამოიყენოთ როგორც კომერციული, ასევე ის ნიღაბი, რომელსაც თავად გააკეთეთ ხელმისაწვდომი ქსოვილისგან. გამოყენების შემდეგ ნიღაბი უნდა გადაიყაროს ან სათანადოდ გასუფთავდეს (გაირეცხოს, გაუთოვდეს);

* ავადმყოფთან ყოველი კონტაქტის შემდეგ კარგად დაიბანეთ ხელები საპნითა და წყლით;

* ხშირად გაანიავეთ ის ადგილი, სადაც წევს ავადმყოფი;

* საოჯახო პირობებში გამოიყენეთ გამწმენდი საშუალებები, რათა თქვენს ირგვლივ არსებული გარემო სუფთა იყოს.

ბავშვები, რომლებსაც აღენიშნებათ საგანგაშო სიმპტომები – გახშირებული ან გართულებული სუნთქვა, კანის სილურჯე, სითხის სმის შემცირება, მიგარდინილობა, არაკონტაქტურობა, გადიზიანებადობა, მაღალი სიცხე და ხველა გრიპისმაგვარი სიმპტომების მიუხედავად, ცხელება და გამონაყარი, საჭიროებენ გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას.

მოზრდილებში გადაუდებელი სამედიცინო დახმარების საგანგაშო სიმპტომებია: გახ-

შირებული ან გართულებული სუნთქვა, ტკივილის ან სიმძიმის შეგრძნება გულმკერდის ან მუცლის არეში, უეცარი თავბრუსხევა, მოუსვენრობა, შფოთვა, მძიმე ან შეუჩერებელი პირდებინება. A(H1N1) ახალი გრიპის ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა არ არსებობს, ამიტომ ჯანმრთელობის დაცვისათვის უნდა გამოიყენოთ თავდაცვის სხვა საშუალებები:

* ხელისა და ცემინების დროს მიიფარეთ ცხვირსახოცი, გამოყენების შემდეგ ცხვირსახოცი გადააგდეთ ან გარეცხეთ და დაიბანეთ ხელები;

* რაც შეიძლება ხშირად დაიბანეთ ხელები წყლითა და საპნით, განსაკუთრებით, ხელისა და ცემინების შემდეგ. ეფექტურია ალკო-





შეზღუდავს ვირუსის შემდგომ გავრცელებას.

კვლევების საფუძველზე დადგინდა, რომ ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებსა და საზოგადოებრივი თავშეერის ადგილებში ნიღბების გამოყენება რეალურად ამცირებს დაინფიცირების რისკს. ნიღბების გამოყენება მოიცავს ლინისძიებებს, რომლებმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს მათ ეფექტურობაზე. მაგ. ცოდნა სწორი გამოყენების, გამოცვლის რეზიმის, ხმარების შემდგომ უსაფრთხო განად-

პოლის შემცველი ხელსაწმენდების გამოყენება;

✿ არ შეეხოთ ხელებით თვალებს, პირს, ცხვირს. მორიცე დაავადებულ ადამიანთან ახლო კონტაქტს;

✿ დარჩით სახლში სიმპტომების გამოვლენიდან 7 დღის განმავლობაში ან სიმპტომების

გაქრობიდან 24 საათის ან უფრო მეტი დროის განმავლობაში; ეს დაიცავს სხვა ადამიანებს დაავადებისგან და

გურების შესახებ. ნიღბების გამოყენების ეფექტურობა საზოგადოების მიერ და ტერიტორიულზე დადგენილი არაა, განსხვავებით დახურული სათავსებისაგან, სადაც შესაძლოა მოხდეს ახლო კონტაქტი დაავადებულ ადამიანთან.

დალზე მნიშვნელოვანია გახსოვდეთ, გრიპის გავრცელების შეზღუდვის მიზნით საზოგადოებრივი თავშეერის ადგილებში ქცევის მირთადი წესების დაცვა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ნიღბის გამოყენება.

გაბდა მეშველიანი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის VI კურსის სტუდენტი

გამოყენებული ლიტერატურა:

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ გამოცემული სახელმძღვანელო – „ვრისის ეფექტურამძღვლობა და კონტროლი“ (2009 წელი);

სახელმძღვანელო უმაღლესი სამედიცინო სახელმძღვლების სტუდენტებისა და ექიმებისთვის – „ინფექციური დაავადებები“ (ე. ბოცაძე; 2000 წელი);

სახელმძღვანელო უმაღლესი სამედიცინო სახელმძღვლების სტუდენტებისა და ექიმებისთვის – „დაზნოსტიკური მედია მინაგ სწულებათა კლინიკაში“ (გ. ქავთარაძე; 2009 წელი)

ამონარიფი უნიდესის ეპისტოლება



ესეც უნდა ვიცოდეთ: ყველაზე დიდი განსაცემიც კი, რომელშიც შეიძლება ნებისმიერი პიროვნება ან ქვეყანა აღმოჩნდეს, უმცირესია იმასთან შედარებით, რასაც ის, თავისი სულიერი მდგომარეობიდან გამომდინარე, იმსახურებს.


ამიგომ ქრისტიანი თუნდაც პატიმარი იყოს, ან დევნილი, ან მმიღე სნეული, თუნდაც შეიღმენდარი მშობელი, ყოველდღიურ ლოცვებში ამბობს: „გმაღლობ შენ, წმიდაო სამებაო, რამეთუ მრავლისა სახიერებისა და სულგრძელებისა შენისათვის, არა თანაწარმწყმიდე უსჯულოებათა შინა ჩემთა, არამედ ჩვეულებისამებრ კაცომოვარე მექმენ მე...“

მაშ, ჩავიხედოთ ჩვენს გულში, გადახედოთ ჩვენს განვლილ გზას და გავცეთ პასუხი კითხვას: გვაქვს კი ჭეშმარიფი ერთგულება ღვთისა?! გვაქვს კი განცდა იმისა, რომ არავისჩე და არაფერმე არ გავცვლით მის სიყვარულს, და შევძლებთ, პავლე მოციქულის სიგყვების გამეორებას:

„ვერც სიკედილი, ვერც სიცოცხლე, ვერც ანგელოზი, ვერც მთავრობანი, ვერც ძალნი, ვერც აწმე, ვერც მომავალი, ვერც სიმაღლე, ვერც სიღრმე, ვერც რაიმე სხვა ქმნილება ვერ განგვამორებს სიყვარულს დმრთისას“ (რომ. გ. 38-39).

თუ ასეთი სარწმუნოება გვაქვს, ხეგარება ჩვენ!

2008 წ. ქრისტიან შობიდან



და თქვენი კახა იყოს თქვენი მაღისიცა და თქვენი საქახი – თქვენი ნამაღი

ჯანსაღი ცხოვრების წესის ერთ-ერთი ძირითადი და აუცილებელი კომპონენტია ჯანსაღი, სრულფასოვანი კვება. კვება ერთ-ერთი სასიამოვნო მოვლენაა, რომლის ხასიათი დამოკიდებულია ტრადიციებზე, კულტურაზე და გარემო პირობებზე. ადამიანები იკვებებიან მადის და შესაძლებლობების შესაბამისად, მოიხმარენ იმ სურსათს, რომელსაც ისინი ანიჭებენ უპირატესობას. კვებაზე უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის მიერ დახარჯულ ენერგიას, რომელიც დამოკიდებულია ზრდაზე, ასაკზე, სხეულის მასაზე, ცხოვრების პირობებზე, საქმიანობაზე, ადამიანის ფიზიოლოგიურ მდგომარეობაზე (ფეხმიმობა, მეძურურობა). საკვები ნივთიერებების, მიკრო და მაკრო ელემენტების განსაზღვრულმა რაოდენობამ, უნდა უზრუნველყოს ადამიანის ორგანიზმის ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები. სურსათი უნდა იყოს ადამიანის ორგანიზმისათვის უვნებელი და უნდა განაწილდეს სწორად დღის განმავლობაში. დღესაც თანამედროვედ უდერს ჰიბრიდურ სიტყვები

„და თქვენი კვება იყოს თქვენი მედიცინა და თქვენი საკვები — თქვენი წამალი“.

ეჭვგარეშეა, რომ ადამიანის ჯანმრთელობა დამოკიდებულია სწორ ბალანსირებულ კვებაზე. ადეკვატური კვებით შესაძლებელია მთელი როგორ ქრონიკული დაავადებების (დიაბეტი, ავთვისებიანი სისმისური დაავადებები, იოდის (ჩიყვი), რკინის (რკინადეფიციტური ანემია) და სხვა მიკრონუტრინგტების დეფიციტით გამონვეული დარღვევები, ოსტეოპოროზი, სიმსუქნე, კარიქსა და სხვა) თავიდან აცილება, რომელთა სვედრითი წილი მსოფლიოში საერთო სკვდილიანობის დაახლოებით 60%-ს შეადგენს. საქართველოში მოსახლეობის კვების ნორმალიზაცია სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემას წარმოადგენს. უკანასკნელ წლებში საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების ერთ-ერთი მიზეზი არა-ჯანსაღი კვებაა. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი არასრულფასოვანი კვების, მიკროელემენტების (იოდი, რკინა სხვა), ვიტამინების მწვავე დეფიციტს განიცდის. მათი კვების რაციონში სჭარბობს პური, ბურლულეული, კარტოფილი. (არაერთი კვლევა ჩატარდა საქართველო-

რუბრიკას უძლვებს
ახალგაზრდა ფერმერთა სახლი



ში „კვების სტატუსის შესწოვლა მოსახლეობაში“, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით წარიმართა.

შემოგთავაზებთ ზოგიერთ ძირითად რჩევას:

* იკვებეთ ბალანსირებულად მიირთვით მრავალფეროვანი სურსათი, ამასთან უპირატესობა მიანიჭეთ მცენარეული წარმოშობის სურსათს ცხოველურთან შედარებით.

* მიიღეთ მრავალფეროვანი ბოსტნეული და ხილი, სულ მცირე 400 გრამის ოდენობით დღეში, უმჯობესია ახალი და ადგილობრივი წარმოების. თავი შეიკავეთ შავი ჩაის მიღებისაგან მაშინ, როცა მიირთმევთ რკინით მდიდარ სურსათს (ბოსტნეული, პარკისნები და სხვა), ვინაიდან ჩაი ხელს უშლის რკინის შეთვისებას.

* აკონტროლეთ ცხიმების მიღება. შეამცირეთ ცხიმიანი სურსათის მოხმარება და უპირატესობა მიანიჭეთ მცენარეულ ცხიმებს (ზეთებს) ცხოველურთან შედარებით.

* მიირთვით ნაკლებცხიმიანი რძე და რძის პროდუქტები მარილის დაბალი შემცველობით.

* დღეში რამდენჯერმე მიირთვით პური, მარცვლოვანი პროდუქტები, მაკარონის ნაწარმი, ბრინჯი.

* შეცვალეთ თქვენს მენიუში ცხიმიანი ხორცი და ხორცის ნაწარმი უცხიმო ხორცით, თევზით, შინაური ფრინველის ხორცით ან ლობიოთი და სხვა პარკისნებით.

* აირჩიეთ სურსათი, რომელიც შეიცავს ნაკლები რაოდენობით მარილს. შეზღუდეთ მისი მიღება 5 გრამამდე დღეში (კერძში და სურსათში არსებული მარილის ჩათვლით). მოიხმარეთ მხოლოდ იოდიზირებული მარილი.

* მოამზადეთ კერძები ჰიგიენური წესების დაცვით. შეინახეთ სურსათი უსაფრთხო პირობებში.

ეკა მელიქია,
„ახალგაზრდა ფერმერთა სახლი“



ჭეშმარიგი სიყვარული ადამიანს ენიჭება სულიწმიდით, („ღმერთის სიყვარული განფენილია ჩვენს გულებში სულიწმიდის მიერ“ - რომ. 5,5). იგია უძლურთა მკურნალი, ნაკულურევანთა აღმავსებელი და ნუგეშინისმცემელი უსაბლვრო მაღლი, რომლისადმიც ლოცვას („მეუფეო ზეცათაო“) ყოველდღე გულმოძგინედ უნდა წარმოვთქვამდეთ, მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ნებისმიერი ჩვენი ღვთისსათნო საქციელი ჩვენი დამსახურება კი არ არის, არამედ იგი სულიწმიდის შეწევნით ხორციელდება; ამისთვის უნდა ვმაღლობდეთ მას და ვცდილობდეთ, ჩვენი სიგვა და საქმე (ჩვენი შესაძლებლობისამებრ) იყოს გამოხატულება მოყვასისადმი ღვთის მრუნვისა, ღვთის სიყვარულისა, ღვთის სიმართლისა. ჩვენ ყველანი მართალია, უფლის წინაშე ინდივიდუალურად ვცოდავთ, მაგრამ, ამავე ღროს ვცოდავთ, როგორც ქრისტიანთა კრებული. დავვიტრებულვართ იმაზე, ვართ თუ არა ჩვენ ის საბოგადოება, რომელიც მოსაწონია ღვთისათვის? სხვადასხვა ერი შემოქმედმა სხვადასხვა ნიჭით დაჯილდოვა. ჩვენ აქედან უფრო მეტად სიყვარულის უნარი განვავითარეთ (ყველაზე მთავარი თვისება ღვთისა), ეს მაღლი საუცნების განმავლობაში ათას განსაცდელს გამოვაგარეთ და დღესაც, მრავალი პრობლემის მიუხედავად, ღვთის შეწევნით, შევინარჩუნეთ. ამის თქმის საფუძველს მაძლევს თუნდაც ის, რომ თითქმის 20-წლიანი გარდამავალი მძიმე პერიოდის პირობებში აფხაზეთსა და სამაჩაბლოში განვითარებული მოვლენების მიუხედავად, ჩვენი ერი არავის მიმართ მგრობის სურვილით არ აღძრულა; საშინელ ჭირ-ვარამგამოვლილი დევნილი მოსახლეობაც სულით არ დაცემულა და არ გაბოროვებულა. ამიგომაც მჯერა, ათასი საცდერის მიუხედავად, კვლავაც შევძლებთ ღვთის გბით სიარულსა და მის ულვე სიყვარულთან ნამდვილ თანამიარებას. ჩვენს თავს მოწევნული განსაცდელი, ჩვენი გამოსწორებისათვის არის დაშვებული და ამიგომაც, სიმბიმის მიუხედავად, თავმდაბლობითა და მაღლობით უნდა მივიღოთ იგი. თუმცა ქართველი ერი ვერასოდეს შეეგება შექმნილ უსამართლობას. ჩვენ ყველასთან მშვიდობა გვინდა, მაგრამ არა ტერიტორიების დაკარგვის ხარჯზე. ისიც მჯერა, ადრე თუ გვიან, აფხაზებიც და ოსებიც მიხვდებიან, რომ მათი გადარჩენა საქართველოსთან ერთობაშია და ეს დღე მით უფრო მაღე დადგება, რაც უფრო მაღე მოხდება მათიც და თითოეული ჩვენგანის, - საერთოდ ჩვენი საბოგადოების, შემდგომი სულიერი ამაღლება. საქართველო აუცილებლად გამთლიანდება და გაბრწყინდება! საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესის ყველა შვილს, - ქართველთ და არაქართველთ, სამშობლოს მკვიდრთ და უცხოეთში მყოფთ, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონის მცხოვრებთ, - სრულიად საქართველოს, მთელს მართლმადიდებელ სამყაროსა და მსოფლიოს გულითადად ვულიცავთ იმედის, სიხარულისა და ნუგეშის მომცემ საყოველთაო დღესასწაულს - ქრისტეს შობას.

დღეს, მეომობს ცა და დედამიწა, კაცთა მოდგმა და ანგელოზთა დასი; დღეს დღეა სიყვარულისა, დღეა ღმერთთან და ერთმანეთთან შერიგებისა, ევას გლოვის დასასრულისა და ჩვენი მეოხისა და მფარველის, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის გამობრწყინვებისა. მაში, მივუძღვნათ ჩვენი გული ბეთლემში მობილ ყრმას და შევიყვაროთ იგი ყოვლითა სულითა, ყოვლითა გულითა, ყოვლითა გონიერითა და ყოვლითა ძალითა, რათა კეთილი გვეყოს ჩვენ და ვიხარებდეთ ორსავე სოფელსა შინა, ამინ!